

F244
1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა
სამართალი

178/3



1958

საბჭოთა სამხარეთი

№ 1

იანვარი—თებერვალი
1958 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა
და უმაღლესი სასამართლოს
ორთვიური ჟურნალი

F2162

უნიტარული

მოწინავე — თავისუფალ ერების ძმურ ოჯახში	83
მ. ლომიძე — გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინა- აღმდეგ	3
გ. ფარქოძე — მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებათა გაფართოება	6
ს. ბელიავესკაია — გავაუმჯობესოთ მუშაობა არასრულწლოვანთა საქმეებზე	14
ა. ხოჭოლავა — საცხოვრებელ ბინაზე უფლების ახალი სახეები	19
	25

საბჭოთა კანონმდებლობის კოლიფიკაციის საკითხები

გ. ნტიძე — საბჭოთა შრომის კანონმდებლობის სისტემის საკითხისათვის	30
გ. მაისურაძე — დამნაშავეს ან დანაშაულის კვლის დაფარვისათვის სისხლის სამარ- თლის პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხები	35

ავამაღლოთ კადრების იურიდიული კვალი

ი. ყორღანია — მეტი ყურადღება საგამომძიებლო დარგის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს	39
---	----

გამოცდილების გაზიარება

ო. მგელაძე — სრულყოფილად გამოვიყენოთ კრიმინალისტური ექსპერტიზის შესაძლე- ბლობანი	44
მ. გიორგობიანი — აღმოვფხვრათ სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები	47
გ. შეწირული — ავამაღლოთ სასამართლო პროცესის კულტურა	49

მკითხველის ტრიბუნა

ბ. წერეთელი — სახალხო მეურნეობის სისტემაში იურიდიული სამსახურის განმტკი- ცებისათვის	51
ს. ქაჯაია — ბოლო მოუღოთ საქმის უსაფუძვლო აცილებას	54
გ. ყვანიანი — საკითხი, რომელიც დავას არ უნდა იწვევდეს	57
ბ. მოსულიშვილი — საექსპერტიზო ქონების დატაცების კვალიფიკაციისათვის	60

იურიდიული ტერიტორიებისათვის

გ. ბერიძე — უზენაესი და უმაღლესი!	62
---	----

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები

სამოქალაქო შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ	64
--	----

სასამართლო პრაქტიკა

I—სისხლის სამართლის საქმეები	71
გ. ბ II—სამოქალაქო საქმეები	75
გ. ბ იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას	78



С О Д Е Р Ж А Н И Е

Передовая — В братской семье свободных наций	63
М. Ломидзе — Усилить борьбу против хищений социалистической собственности	14
В. Паркосадзе — Расширение законодательных прав Союзных Республик	19
С. Белявская — Улучшить работу по делам несовершеннолетних	25
А. Хочолава — Новые виды прав на жилые помещения	25

ВОПРОСЫ КОДИФИКАЦИИ СОВЕТСКОГО ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА

Е. Неидзе — К вопросу о системе Советского трудового законодательства	30
В. Майсурадзе — Некоторые вопросы уголовной ответственности за сокрытие преступника или следов преступления	35

ПОВЫСИТЬ ЮРИДИЧЕСКУЮ КВАЛИФИКАЦИЮ КАДРОВ

И. Жордания — Больше внимания повышению квалификации работников следственных органов	39
--	----

ОБМЕН ОПЫТОМ

О. Мгеладзе — Полностью использовать возможности криминалистической экспертизы	44
М. Георгобиани — Искоренить факты нарушения Советской законности	47
Г. Шецирули — Повысить культуру судебного процесса	49

Трибуна Читателя

Н. Церетели — К укреплению юридической службы в системе народного хозяйства	51
С. Каджая — Положить конец неосновательному отводу дел	54
В. Жвания — Вопрос, который не должен вызывать спора	57
Н. Мосулишвили — К вопросу о квалификации хищения церковного имущества	60

К ЮРИДИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

В. Беридзе — Верховный и высший!	62
--	----

ПОСТАНОВЛЕНИЯ ПЛЕНУМА ВЕРХОВНОГО СУДА СССР

О судебной практике по гражданским трудовым делам	64
---	----

СУДЕБНАЯ ПРАКТИКА

I. — По уголовным делам	71
II. По гражданским делам	75
ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ ДЛЯ НАСЕЛЕНИЯ	78

თავისუფალი ეკლესიის ძეგლ ოჯახში

25 თებერვალს შესრულდა ოცდაჩვიდმეტი წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან.


1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ბოლო მოუღეს მენშევიკების ბატონობას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს. ამ დროიდან დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში—შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნისა და თავისუფალი განვითარების ერა.

ძველი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური განაპირა მხარიდან საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში გადაიქცა სუვერენულ სახელმწიფოდ—საბჭოთა რესპუბლიკად, თავისი ტერიტორიით, თავისი კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. საბჭოთა წყობილების პირობებში ქართველმა ხალხმა მიიღო და განავითარა თავისი სახელმწიფოებრიობა, მოკლე ისტორიულ პერიოდში ააშენა სოციალიზმი და საქართველო გახდა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული განვითარების გზაზე შედეგია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორად და თანმიმდევრულად განხორციელებისა, ქართველი ხალხის ურყევი მეგობრობით შეკავშირებისა საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხებთან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, რომლის პროდუქცია მეტად მრავალფეროვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდუსტრიის ისეთი დარგები, როგორცაა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ენერგეტიკა. ამჟამად საქართველო აწარმოებს კოქსს, თუჯს, ფოლადს, ლითონმჭრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ექსკავატორებს, ავტომობილებს, ელექტრომაგლებს, კვების მრეწველობის ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორცაა ჩაი, ღვინო, კონსერვი და სხვ.; ფართო მოხმარების საქონელს—ფეხსაცმელს, შალის, აბრეშუმის, ბამბის ქსოვილებს და ა. შ.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის დარგშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველწლიურად მატულობს მარცვლეულის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავალი. რესპუბლიკის გარეთაც ფართოდაა ცნობილი და ფრიად მაღალ შეფასებას იმსახურებენ საქართველოს ღვინოები, ციტრუსები, ხილი, თამბაქო, დაფნა, ეთერ-ზეთოვანი კულტურები და სხვ.



საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულმა თვალსაჩინო წარმატებებმა კანონზომიერად გამოიწვიეს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მძლავრი აღმავლობა. ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს სხვა რესპუბლიკებში, საქართველოში გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

სკოლების ქსელის სიხშირისა და ათას სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში, რესპუბლიკის 19 უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად ათასობით სპეციალისტს აწვდის სახალხო მეურნეობას. სხვადასხვა დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა 180-ზე მეტი ინსტიტუტი. სამეცნიერო მუშაობის დიდ ცენტრს წარმოადგენენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, რომელიც ბევრ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საცდელ სადგურსა და ლაბორატორიას აერთიანებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე ბოლო დროს იმ სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის განვითარება, რომლებიც ეწევიან კვლევით მუშაობას ფიზიკის, ქიმიის და ტექნიკის დარგში. ასეთებია მაგალითად, ელექტრონიკის, ავტომატიკის და ტელემექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გამომთვლითი ცენტრი, ხელსაწყობმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ინსტიტუტი და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა იურიდიული განათლებისა და იურიდიული მეცნიერების განვითარებას. უკანასკნელ დრომდე ქართული იურიდიული მეცნიერების ერთადერთ ცენტრს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამჟამად კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს და სამართლის მეცნიერების განვითარების მეორე ცენტრი სამართლის სექტორის სახით.

მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მიღწევებზე ნათლად მეტყველებს სამკურნალო დაწესებულებათა და ჯანმრთელობის კერების ქსელის გაფართოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის 30 ექიმი, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში—13 ექიმი, ინგლისში—9, თურქეთში—3, ხოლო ირანში—1. საქართველოს კურორტებზე არის 126 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, რომლებშიც 22.000 ადგილია და ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ნახევარ მილიონამდე ადამიანი.

ღენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში თანმიმდევრულად გატარების საფუძველზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ზრუნვას იჩენენ მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის განვითარებაზე, მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებაზე. უკანასკნელ წლებში გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებისაკენ სამე-

ურნეო და კულტურულ მშენებლობაში, აგრეთვე კანონმდებლობისა და სასა-
პართლო წარმოების დარგში.

ამ ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს მოკავშირე რესპუბ-
ლიკების მშრომელთა, მათ შორის საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა
და ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, საბ-
ჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალისტური სამშობ-
ლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართვე-
ლოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობას, რომლის გადაწყვეტილებები
მათთვის წარმოადგენენ სამოქმედო საბრძოლო პროგრამას. ამ გადაწყვეტი-
ლებებით შეიარაღებული ქართველი ხალხი ახალ წარმატებებს მიაღწევს
კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანის განხორციე-
ლებაში.



გავეპქიჩიკოთ ბკომდა სოციალისტური საკუთიკების დაჯახეების წინააღმდეგ

მ. ლოშიკა

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხს ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-4 მუხლის შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებული მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად.

საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია. მათ, ვინც ხელყოფს ამ საკუთრებას, ჩვენი კონსტიტუციის 131-ე მუხლი ხალხის მტრებად აღიარებს. ამიტომ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს საბჭოთა კანონი ყოველთვის მკაცრად სჯიდა.

სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონმა, რომელმაც სახალხო დოვლათის დატაცებისათვის მკაცრი სასჯელი დააწესა. 7 აგვისტოს კანონის ცხოვრებაში მტკიცედ და ურყევად გატარებამ დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვას კლასობრივი მტრების — კულაკების და ყველა სხვა ჯურის დამტაცებელთა ხელყოფისაგან. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა 1947 წლის 4 ივნისს გამოსცა ახალი კანონი — სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ კანონმა დაამყარა ამ მხრივ ერთიანობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და საგრძნობლად გაადიდა სასჯელის ზომა.

ამ კანონის მეხუთე მუხლით დაწესებულია მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტის განუცხადებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადო ქონება დატაცებულია დიდი რაოდენობით ან დატაცება ჩადენილია მტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ. განუცხადებლობა ისჯება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტური საკუთრების დატაცება სისტემატურ ხასიათს ატარებს. ბრძანებულებების ამ მუხლში გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კონსტიტუციის მოთხოვნამ იმის შესახებ, რომ „სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზო-

გადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო“ . ი. ბ. სტალინი სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმზრდელი მუშაობას, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისადმი საბჭოთა საზოგადოების მიერ აქტიურ მხარდაჭერას, ქურდ-ბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და საზოგადოებრივი სიძულვილის ატმოსფეროს შექმნას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ უკანასკნელ 2—3 წლის მანძილზე არაერთხელ განიხილა საკითხი სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ამ მიმართულებით მან საჭირო ღონისძიებებიც განახორციელა, რამაც, უეჭველად, დიდად შეუწყო ხელი ამ სახის დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებას და გაფლანგვა-მტაცებლობის შემთხვევების საგრძნობ შემცირებას.


მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცების ფაქტები ჯერ კიდევ ხშირია, რის გამოც გასული წლის 19 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ კვლავ განიხილა ეს საკითხი, აღინიშნა, რომ სამინისტროებისა, უწყებებისა და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ არ იყო მიღებული სათანადო ზომები სოციალისტური ქონების დატაცებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. სხვა მიზეზებთან ერთად, სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებას ხელს უწყობს ისიც, რომ ვაჭრობისა და სამეურნეო დაწესებულებების ზოგიერთ ხელმძღვანელთა პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც კადრების, განსაკუთრებით მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკების შერჩევა ხდება პირადი ნაცნობობისა და მეგობრობის მიხედვით. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევაც, როცა მატერიალურ ფასეულობას ანდობენ წინათ სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის ან სპეკულაციისათვის სამართალში ნამყოფ პირებს, რომლებიც ახალ სამუშაოზე კვლავ ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას.

ჭიათურის რაიკავშირის კოოპერატივის № 3 მაღაზიის გამგედ დანიშნულ იქნა შ. თოდაძე, რომელსაც 1952 წელს გაფლანგვისათვის მისჯილი ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. თოდაძემ გამყიდველ ჩხვიძესთან ერთად ახალ სამუშაოზე კვლავ მიითვისა და გაფლანგა 51 ათას მანეთზე მეტი თანხა.

დ. კვინიხიძე 1953 წელს მსჯავრდადებული იყო საკოლმეურნეო ქონების დატაცებისათვის. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი დანიშნულ იქნა მაიაკოვსკის სოფლის კოოპერატივის მაღაზიის გამგედ, სადაც მან 1956—57 წ. წ. გაფლანგა 32.336 მანეთი. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია.

ზოგიერთ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მატერიალურ ფასეულებათა აღრიცხვისა და რევიზიის ჩატარების საქმე. ხშირად რევიზიები ტარდება იმდენად ზერელედ და უპასუხისმგებლოდ, რომ ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი წლების მანძილზე გამოუვლინებელი რჩება.

ოჩხამურის სადაზო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მეგრელიშვილი და მოანგარიშე სულაბერიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდნენ



სახელმწიფო თანხების მითვისებას. მითვისებულმა თანხამ საბოლოოდ 47.000 მანეთს გადაჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთის რაიადმასკომის საფინანსო განყოფილებამ ამ ხნის განმავლობაში სამჯერ ჩაატარა რევიზია ოჩხამურის სადაბო საბჭოს აღმასკომში, გაფლანგვა გამოვლინებული ვერ იქნა.

ასეთსავე შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასულ წელს ადიგენის რაიკავშირში, სადაც გაფლანგული და დატაცებული აღმოჩნდა რამდენიმე ასეული ათასი მანეთი.

საჭირობ კერძოდ და სამუდამოდ აღიკვეთოს მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე ნდობადაკარგული პირების მიღება და გადაჭრით გაუმჯობესდეს სამინისტროებისა და უწყებების სარევიზიო მუშაობა, რევიზიების ხარისხი უნდა აყვანილ იქნას მაღალ დონეზე.

პროკურატურის ორგანოები საერთო ზედამხედველობის წესით სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხთან დაკავშირებულ დადგენილებათა შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის დადგენილებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან გაფლანგვა—მტაცებლობის წინააღმდეგ, რომ სახალხო სასამართლოები საქმათ კონტროლს არ ახორციელებენ განაჩენების აღსრულებაზე, გაფლანგვა—მტაცებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით დასახა მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარება დიდად შეუწყობს ხელს სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლას.

სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის საქმეში სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის კრიტიკა, მოცემული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, უდავოდ სწორი და დამსახურებულია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანოების მიერ გაფლანგვა—მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ მათ მუშაობაში ამ მიმართებით ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება პროკურატურის ორგანოებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გამოძიების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე სწორი განაჩენების დადგენისათვის, სახალხო დოვლათის დამტაცებლებთან ქვედითი ბრძოლისათვის. სამწუხაროდ, მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, წინასწარი გამოძიების ხარისხი ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია.

გასული წლის 9 თვეში სასამართლოების მიერ დაბრუნებულია დამატებითი გამოძიებისათვის 5.20% გაფლანგვა—მტაცებლობის საქმეებისა. ზოგჯერ სასამართლოები უსაფუძვლოდაც აბრუნებენ საქმეებს პროკურატურაში დამატებითი გამოძიებისათვის, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სასამართლო ორგანოები თავიანთ წარმოებაში ღებულობენ ცუდად გამოძი-

ებულ საქმეებს, რის გამო სასამართლოს განაჩენები ასეთ საქმეებზე უქმდეა. ეს კი იწვევს საქმეთა გაჭინურებას, ხელს უწყობს დამტაცებლებს დანაშაულის კვალის დაფარვაში და ასუსტებს ბრძოლას გაფლანგვა—მტაცებლობასთან. გამოძიების დაბალი ხარისხის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს.

1957 წლის 5 მარტს ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის მილიციის მუშაკების მიერ დაკავებულ იქნა ყრუმუნჯთა საზოგადოების გორის განყოფილების ტყავის წარმოების გამგე ი. ხ. სერებრიცკი, რომელსაც საკუთარ ავტომანქანაში აღმოაჩნდა წარმოებიდან დატაცებული 7.118 დეციმეტრი ლაქის ტყავი, ღირებული 9754 მანეთად.

გარეუბნის პროკურატურამ ზერელად აწარმოა ამ საქმეზე გამოძიება და სერებრიცკის დანაშაული დააკვალიფიცირა როგორც საწყობიდან საქონლის გატანა სათანადო გაფორმების გარეშე და არა როგორც დატაცება. გარეუბნის სახალხო სასამართლომ, გაიზიარა რა ამ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლის შუამდგომლობა, სერებრიცკის ერთი წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა მიუსაჯა. საქ. სსრ პროკურორის პროტესტით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს მიერ განაჩენი სერებრიცკის საქმეზე გაუქმებულ იქნა და საქმე დაუბრუნდა რესპუბლიკის პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის.


რესპუბლიკის პროკურატურის გამოძიებით დადგენილ იქნა სერებრიცკის მიერ სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტი და საქმის ხელმეორედ განხილვის დროს გასული წლის 7—14 ოქტომბერს საზოგადო ქონების დატაცებისათვის სერებრიცკის მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჩხორიწყუს რაიონის სახალხო სასამართლომ თავის წარმოებაში მიიღო ნ. ა. ლემონჯავას, ს. მ. ლემონჯავას და სხვ. საქმე. ნ. ლემონჯავას 66.513 მანეთის მითვისების დაფარვაში ხელი შეუწყვეს მასხარაშვილმა და ქობულიამ. მიუხედავად ამისა, მათი ქმედობა დაკვალიფიცირებული იყო არა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. ბრძანებულებით სსკ 17 მუხლის წამძღვარებით, არამედ აღნიშნული ბრძანებულების მე-5 მუხლით, როგორც განუცხადებლობა.

სახალხო სასამართლომ, გარდა იმისა, რომ თავის წარმოებაში ცუდად გამოძიებული საქმე მიიღო, სხვა სერიოზული დარღვევებიც დაუშვა, სწორად არ შეაფასა ჩადენილი დანაშაულის სამიშროება და დამნაშავეებს მეტად ლობიერი სასჯელი განუსაზღვრა: მთავარ დამნაშავეს ნ. ლემონჯავას, რომელმაც 66 ათას მანეთზე მეტი გაფლანგა და შემდეგ მალაზიას ცეცხლი წაუკიდა, რითაც 191 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა კოოპერაციას, 16 წლით პატიმრობა აკმარა, ემელიან ლემონჯავას და მასხარაშვილს საბოლოოდ იძულებითი მუშაობა და პირობითი სასჯელი განუსაზღვრა, ხოლო ქობულია უსაფუძვლოდ გაამართლა.

სახალხო სასამართლომ ამ საქმის განხილვის დროს უხეშად დაარღვია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საპროცესო ნორმები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 27 თებერვ-



ლის დადგენილებით უკანონო განაჩენი ამ საქმეზე ძალში იქნა დატოვებული.

საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა ამ საქმეზე სახალხო სასამართლოს განაჩენი და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის პროკურატურას დაუბრუნდა.

ჯერ კიდევ იშვიათი არ არის დამნაშავეთაღმა სასამართლო ორგანოების ლიბერალური დამოკიდებულებისა და პოლიტიკური სიფხიზლის მოღუწების ფაქტები.

წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 1 ივლისს უსაფუძვლოდ გაამართლა ე. სინჯიაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა დაახლოებით ათი ათას მანეთად ღირებული მატერიალური ფასეულობის დატაცება, რის გამო უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ 26 აგვისტოს დადგენილებით განაჩენი ამ საქმეზე გაუქმებულ იქნა და საქმე გადაეცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას ხელმეორედ განსახილველად.

აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დამნაშავედ ცნო ა. სარია 110 ათასი მანეთის საქონლის დატაცებაში, მიუსაჯა მის 10 წლით პატიმრობა და ისედაც ლმობიერი სასჯელი სრულიად უსაფუძვლოდ გაუნახევრა. პროკურორის პროტესტით განაჩენი ამ საქმეზე უმაღლეს სასამართლოს მიერ გაუქმებულია და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის პროკურატურას დაუბრუნდა.

გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში ადგილი აქვს აგრეთვე შეცდომებს სოციალისტური საკუთრების დატაცების კვალიფიკაციის დროს.

ბრეთის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსმა კალმახელიძემ, რომელიც მოსავლის აღების დროს სავლე საწყობის გამგედ მუშაობდა, სხვადასხვა დროს დაიტაცა 2212 კილოგრამი ხორბალი და გარდა ამისა რაზმიაშვილთან ერთად შეეცადა დაეტაცებინა 2100 კილოგრამი ხორბალი. კალმახელიძის ეს დანაშაული წინასწარი გამოძიების მიერ სწორად იქნა დაკვალიფიციარებული „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით, მაგრამ ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე გასული წლის ოქტომბერში განახილა, უსაფუძვლოდ შეცვალა ეს კვალიფიკაცია აღნიშნული ბრძანებულების 1 მუხლით, რის გამო განაჩენი გაუქმებულ იქნა და საქმის მეორედ განხილვის დროს კალმახელიძეს 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით 12 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ი. არსენიძე, რომელმაც კოლმეურნეობის საწყობიდან 158 მანეთად ღირებული 4 ცალი მილი მოიპარა, ცნობილ იქნა დამნაშავედ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების 1 მუხლით და 7 წლით პატიმრობა მიესაჯა. სწორად მოიქცა საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს კოლეგია, რომელმაც ამ საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს არსენიძის დანაშაული 1955 წლის 10

იანვრის ბრძანებულების 1 ნაწილით დააკვალიფიცირა, რადგან დატაცებულ ქონება, როგორც თავისი რაოდენობით, ისე ღირებულებით წვრილმანი დატაცებაა. არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც სოციალისტური საკუთრების ისეთი დატაცება, რომელიც 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დაკვალიფიცირებას ექვემდებარება, კვალიფიცირდება 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სისხლს სამართლის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოები ზოგჯერ უხეშად არღვევენ საპროცესო ნორმებს, რის გამო განაჩენები უქმდება და საქმეთა დამთავრება თვეობით ჭიანჭურდება.

ჩხორაწყუს რაიონის სახალხო სასამართლოში ყვანიას, იზორიას და სხვ. საქმეზე განაჩენის დადგენაში მონაწილეობა მიიღო სახალხო მსაჯულმა ამხ. ქუცურამ, რომელიც ამ საქმეზე სასამართლო პროცესში მონაწილეობდა როგორც დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენელი. ცხადია, კანონის ასეთი უხეში დარღვევის გამო განაჩენის ძალაში დატოვება შეუძლებელი იყო.

სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის საქმეში არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქმეთა უმოკლეს ვადაში გამოძიებასა და განხილვას, დამტაცებელთა ქონებაზე დროულად ყადაღის დადებას და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს ამ მიმართებითაც სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნიათ. გასული წლის 9 თვის განმავლობაში სასამართლოების მიერ დაწესებულ ვადაში განხილულ იქნა მხოლოდ 66,6% ამ კატეგორიის საქმეებისა.


ბ. მ. გაბელიას საქმე ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ თავის წარმოებაში მიიღო 1957 წლის 7 იანვარს, ხოლო არსებითად განიხილა და განაჩენი გამოიტანა 29 მარტს ანუ 2 თვისა და 22 დღის შემდეგ.

ა. ე. ქოთივას საქმე ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ მიიღო 1957 წლის 27 თებერვალს, არსებითად განიხილა 20 აპრილს.

წითელწყაროს რაიონის პროკურატურაში 1956 წლის 30 აპრილიდან 1957 წლის 4 მარტამდე გრძელდებოდა გამოძიება გ. ზ. იაკობაშვილის საქმეზე.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მხრივ. ამ მიმართულებით სახალხო მოსამართლეებისა და აღმასრულებლების მუშაობა, უფრო მეტი რომ არა ვთქვათ, დაუდევრობის ნიმუშს წარმოადგენს. 1957 წლის სამ კვარტალში სასამართლო აღმასრულებლების მიერ ამოღებული ამოსაღები თანხის მხოლოდ 12,2%.

სასამართლოს აღმასრულებელთა ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მი-



მართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები სხვაც ბევრია.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გასული წლის 18 ოქტომბერს მოქ. ტიკარაძეს დაეკისრა ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კოოპერატივის სასარგებლოდ 5700 მანეთის გადახდა. აღმასრულებელი ფურცელი 6 დეკემბერს გადაეცა აღმასრულებელს, მაგრამ მიმდინარე წლის 25 იანვრამდე არავითარი ზომები აღნიშნული თანხის ამოსაღებად მიღებული არ ყოფილა.

ამ საქმეში არანაკლები ბრალი მიუძღვის წინასწარი გამოძიების ორგანოებს, რომლებიც ყოველთვის არ ღებულობენ ოპერატიულ ზომებს გამფლანგველთა ქონების დროულად აღწერისა და ყადაღის დადებისთვის, რის შედეგად დამნაშავენი ახერხებენ ქონების გადამალვას ან გასხვისებას. ხშირად ისეთ ქონებაზე ხდება ყადაღის დადება, რომელზედაც კანონის თანახმად არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

ადიგენის რაიონში გამფლანგველ რეხვიაშვილის ქონებაზე ყადაღა დადებულ იქნა საქმის აღძვრიდან ორი კვირის შემდეგ.

საჩხერის რაიონში გ. ცერცვაძისა და სისვაძის ქონებაზე, რომელთა მიმართ საქმე აღიძრა 1957 წლის 23 თებერვალს, ყადაღის დადების შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნა 5 აპრილს, ხოლო ყადაღა ფაქტიურად დაედო 1957 წლის 27 აპრილს.

მახარაძის რაიონის პროკურატურის მიერ ბრალდებულ გობრონიძის ქონებაზე ყადაღა დადებულ იქნა 1957 წლის 21 იანვარს, ათქმის 4 თვის შემოიგვ საქმის აღძვრის დღიდან.

ამრევად, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაობაში სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ამ ორგანოების მუშაკებმა სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 19 ნოემბრის დადგენილებიდან და გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა გამფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლის საქმეში. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და გამფლანგველთა საქმეების გამოძიებისა და განხილვის გაჭიანურებას, გამფლანგველთა დროულად გამოუმჟღავნელობას, მკვეთრად უნდა ამაღლდეს საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ხარისხი. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები ვალდებულნი არიან თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში დროული და ენერგიული ზომები მიიღონ სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ ლმობიერი განაჩენების გამოტანა: ქურდები, გამფლანგველები და სახალხო დოვლათის ყველა ჯურის მტაცებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ. მათ მიმართ, ვინც ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, ასუსტებს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს, სასამართლო-პროკურატურის ორგანოები ულმობელნი უნდა იყვნენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასმულია საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური მართლწესრიგის სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტკიცედ დაცვის ამოცანა.

სასამართლო—პროკურატურის ორგანოები, სამინისტროები და უწყებანი
ბები ვალდებულნი არიან განუხრელად შეასრულონ მშობლიური პარტიის
მითითებანი და უახლოეს დროში მიაღწიონ დადებით შედეგებს სოციალის-
ტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოკავშირე კავშირების საკანონმდებლო უწყებათა გაუქმობა

3. ფარდობაში,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ძლიერმოხილი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში. XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა გმირმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.


ყრილობის მიერ განსახორციელებლად დასახულ ყველა სხვა ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად, აღსანიშნავია ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათი ორგანოების უფლებათა გაფართოების დარგში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს საკავშირო სახელმწიფოს, მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითა და თანასწორუფლებიან ფედერაციას, სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებას. საბჭოთა ფედერაციის მრავალეროვან სისტემაში მოკავშირე რესპუბლიკა უმაღლესი ნაციონალური სახელმწიფოებრივი ერთეულია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებისას, რაც 1922 წლის დეკემბრის თვეში განხორციელდა, მოკავშირე რესპუბლიკებმა ნებაყოფლობის საფუძველზე გადასცეს სსრ კავშირს თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილი, რამაც თავისი დაკანონება სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჰპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ხალხების ნაყოფიერი შრომის შედეგად გაიზარდა, განმტკიცდა და კიდევ უფრო ძლიერი გახდა თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა, აღიზარდა ახალი ნაციონალური კადრები. დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს სსრ კავშირის ფედერაციაში შემავალმა მოკავშირე რესპუბლიკებმა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროშიც.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები სოციალისტური კანონმდებლობის განვითარებისა და სასამართლო ორგანოების მოწყობის ხაზით. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ „ყრილობა სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა იმ უფლებების მტკიცედ დაცვისათვის, რომლებიც გარანტირებულია საბჭოთა კონსტიტუციით და ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს



ფხიზლად იდგნენ კანონიერების სადარაჯოზე, გადაჭრით და მკაცრად ემდგომიან თონ უკანონობის, თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინებანი, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევები“ (გვ. 25, 1956 წ. გამოც.).

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ნაკარნახევი იყო შემდეგი გარემოებებით: დიდად გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების დონე, აღიზარდა და გამოიბრძმედა ახალი ნაციონალური კადრები, მომწიფდა წარმოებისადმი უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობის პირობები, შეიქმნა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ახალი ბაზები ადგილობრივი რეზერვებიდან, საჭირო გახდა სახელმწიფო აპარატი კიდევ უფრო მეტად მიახლოებოდა პრაქტიკულ საქმიანობას, მატერიალური დოვლათის შემქმნელ ადამიანებს, მასებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიზანია თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა გადააქციოს ეკონომიურად და პოლიტიკურად მძლავრ სახელმწიფოდ, მაღალი განვითარებისა და კულტურის მქონე ქვეყნად, მტრებისათვის მიუვალ ციხესიმაგრედ, რომ მიღწეულ იქნას მათი მაქსიმალური დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა საერთო სისტემაში.

ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ განსაზღვრა საბჭოთა კანონმდებლობისა და სოციალისტური მართლმსაჯულების ხაზით მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება.

1957 წლის 11 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების, მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“.

ამრიგად, აღნიშნული კანონის ძალით მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას ამიერიდან მიეკუთვნა კანონმდებლობა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობისა და სასამართლო წარმოების შესახებ. მათვე მიეკუთვნა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების შემუშავებისა და გამოცემის უფლება.

სსრ კავშირის გამგებლობაში დარჩა მხოლოდ სასამართლოთა მოწყობისა და სამართალწარმოების კანონმდებლობის საფუძვლების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება.

სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში ამჟამად გაჩაღდა მუშაობა სამართლის სხვადასხვა დარგების კოდიფიკაციისა და ახალი კოდექსების შესამუშავებლად და მისაღებად. დიდი მუშაობა ჩატარდა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაშიც.

შეიქმნა კომისიები სამართლის ცალკე დარგების მიხედვით კოდექსების შესამუშავებლად. კომისიებმა ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ჩატარეს, რის გამოც ამჟამად უკვე მზად არის შრომის კანონთა კოდექსის პროექტი, სოჯახო, საქორწინო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტი, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის პროექტი. უახლოეს პერიოდში მზად იქნე-

ბა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინიციატივით 1957 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში, ჩატარდა თათბირი სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების პროექტის დაზუსტების მიზნით, იმ საკითხების გათვალისწინებით, რომ კიდევ უფრო გაფართოებულიყო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარგში და გამოთქმულიყო აზრი, თუ რა ხასიათის საკითხები შეიძლებოდა კიდევ გადასულიყო სსრ კავშირის კომპენტენციიდან უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკების კომპენტენციაში.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. ი. დენისოვი. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იურისპრუდენციის მეცნიერმა და პრაქტიკულმა მუშაკებმა და ზოგიერთი სხვა უწყების წარმომადგენლებმა. თათბირზე წამოყენებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დონისძიებამ მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებათა გაფართოების ხაზით დიდად გაზარდა მოკავშირე რესპუბლიკების პასუხისმგებლობა, ინიციატივა და ავტორიტეტი ახალი და დამოუკიდებელი კანონმდებლობის დაწესების დარგში. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაიწყო გაცხოველებული მუშაობა ახალი საკანონმდებლო აქტების შესაქმნელად.

დიდად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების უფლებები კანონთა კოდიფიკაციისა, სისტემატიზაციისა და ახალ კანონთა პროექტების შემუშავების საქმეში. იუსტიციის სამინისტროში ჩამოყალიბდა კოდიფიკაციის სპეციალური განყოფილება 5 სამუშაო ერთეულით, განყოფილების გამგისა და ოთხი უფროსი კონსულტანტ-კოდიფიკატორის შემადგენლობით. ასეთივე, ხასიათის ცვლილებები მოხდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების სტრუქტურაშიაც. ეს ფაქტი ნათელიყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები გახდნენ საკანონმდებლო ხასიათის აქტების, პროექტების შემუშავების ცენტრებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1954 წლის 14 აგვისტოს მიიღო ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოს შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნამ საგრძნობლად გააძლიერა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების უფლებები და გაზარდა მათი ავტორიტეტი. ამყამად სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები იწყება და მთავრდება თვით მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებში. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს ზედამხედველობის წესით განაჩენები და გადაწყვეტილებები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მხოლოდ ორ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია საერთო

საკავშირო კანონი ან როდესაც შელახულია რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესები.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლების გაზრდაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობით შეყვანილ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში წევრად და მისი მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმზე სავალდებულოდ იქნა მიჩნეული.

აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა და განამტკიცა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების როლი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სასამართლო ორგანოს მიმართ სასამართლო ზედამხედველობის განხორციელების დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებათა გაფართოებამ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების როლის გაზრდამ შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კომპენტენციისა და ფუნქციების შეცვლის პირობები.

მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის მიცემის მიზნით, საკანონმდებლო და საკოდიფიკაციო უფლებების გაზრდისა და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებისადმი უფრო მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 30 მაისს მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლის ძალითაც გაუქმებულ იქნა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და მისი ფუნქციები მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობის სფეროში გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს.

ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკებში იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობა და მათი ორგანიზაცია მთლიანად მოკავშირე რესპუბლიკებს მიენდო. პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო. გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებისა და სასამართლო ორგანოების ინიციატივა და პასუხისმგებლობა. სასამართლოების საქმიანობის სწორი ორგანიზაციის საკითხების გადაჭრა უფრო ოპერატიულად და სწრაფად ხდება. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადების საფუძველზე განხორციელდა სახალხო სასამართლოების გაერთიანება, ლიკვიდირებულ იქნა სახალხო სასამართლოების ორგანიზაციის საუბნო სისტემა და შეიქმნა რაიონის და ქალაქის ერთიანი სახალხო სასამართლოები, სწრაფი ტემპით გაჩაღდა ახალი კოდექსების პროექტების შემუშავების საქმე.

საგრძნობლად გადიდა იუსტიციის მინისტრის უფლებები იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ოპერატიული, ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ხაზით, კადრების შერჩევის, აღზრდის, საშტატო ერთეულების გადაჯგუფების დარგში და სხვ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაარსდა ახალი ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს და პროკურა-

ტურის ორთვიური ორგანო, რომელიც აქტიური, კოლექტიური აგიტაციის როლს შეასრულებს სოციალისტური კანონიერების პროპაგანდის საქმეში.

კანონმდებლობის დარგში კიდევ მრავალი საკითხი დგას გადასაჭრელად მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე. ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით განახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკები ურთიერთშორის განუყრელი კავშირის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული დახმარების საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა მნიშვნელოვანი გაფართოება ნათელი გამოხატულებაა ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდა მალენკოვის, კაგანოვიჩის და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად გამოამყვანა და ამხილა ანტიპარტიული ჯგუფის წევრები, ჩაშალა მათი ზრახვები და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ბირთვი გაწმინდა მერყევი და არამტკიცე ელემენტებისაგან.

თავისთავად ცხადია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოება კანონმდებლობის დარგში სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკები გამოეთიშნენ საერთო საკავშირო კანონმდებლობას და შეიქმნა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი კანონმდებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სისხლხორციელადაა დაკავშირებული სსრ კავშირის კანონმდებლობასთან, სსრ კავშირში არსებობს ერთიანი და მწყობრი სისტემა საბჭოთა სოციალისტური კანონმდებლობისა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის და ეს გასაგებბიცაა, რადგან ჩვენი დიადი კავშირის ყველა რესპუბლიკას ერთიმეორესთან მჭიდროდ აკავშირებს საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, საერთო მიზნები, საქმე და ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ერთგულია ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი კავშირის ხალხებს შორის მეგობრობას და უზრუნველყოფს ნაციონალური მოკავშირე რესპუბლიკების დიად გამარჯვებებს კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

გაგაუთავსოთ მუშაობა აკადემიკოსთან საქმეებზე

ა. გელიაშვილი,
საქ. სსრ პროკურორის მოადგილე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავმა ზრუნვამ საბჭოთა ბავშვების აღზრდის, საბჭოთა ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჯერ კიდევ ომამდელ წლებში უზრუნველყო ბავშვთა უპატრონობის, უმეტევალყურეობისა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის საგრძნობლად შემცირება. ამ მხრივ საბჭოთა კავშირი მკვეთრად განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც ადგილი აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდას.


ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიებათა ფედერალური ბიუროს დირექტორი ჰუვერი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულობას ემჩნევა „განუწყვეტელი პროგრესი და რომ დანაშაულობის პრობლემა — ეს ძირითადად ახალგაზრდობის პრობლემაა“. 1955 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილია 2.262.450 სერიოზული დანაშაული, ამასთან ამ დანაშაულთა 42 პროცენტი ჩადენილია 18 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდების მიერ, ხოლო მათ შორის თითქმის ნახევარი — 15 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდების მიერ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირში 1955 წელს ყველა დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის 18 წლის ასაკამდე ახალგაზრდობის ზვედრითი წონა შეადგენდა მხოლოდ 5,6 პროცენტს, ხოლო 1956 წელს — 5,2 პროცენტს, რაც შეეხება 16 წლამდე მოზარდებს, მათი ზვედრითი წონა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა საერთო რიცხვიდან 1955 წელს შეადგენდა 1,2 პროცენტს, ხოლო 1956 წელს — 1,0 პროცენტს¹.

ბავშვთა უპატრონობის, უმეტევალყურეობისა და არასრულწლოვანთა დანაშაულების სრული ლიკვიდაციის შესახებ კომუნისტური პარტიის მიერ დასმული ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებს. პროკურატურის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა სათანადო კანონთა და დადგენილებთა შესრულებაზე და მიიღონ ზომები არასრულწლოვანთა დანაშაულებასთან აქტიური ბრძოლის ორგანიზაციისათვის.

ბავშვთა უპატრონობასა და უმეტევალყურეობასთან ბრძოლის უშუალოდ განხორციელებისათვის მოწოდებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მილიციის საბავშვო ოთახებს.

¹ დეპუტატ რ. ა. რუდენკოს გამოსვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე, ვახ. „იზვესტია“, 1957 წ., 13 თებერვალი.



მაგრამ პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები ცხადყოფენ, რომ მილიციის საბავშვო ოთახების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები. მილიციის ორგანოები ბევრ შემთხვევაში კმაყოფილდებიან მხოლოდ უბატრონო და უმეთვალყურეო ბავშვებისა და მოზარდების შესაბამის საბავშვო დაწესებულებებში გაგზავნით ან მშობლებისათვის ჩაბარებით, არ არკვევენ ბავშვთა უბატრონობისა და უმეთვალყურეობის გამომწვევ მიზეზებს და არ ღებულობენ ზომებს ასეთის აღსაკვეთად.

მილიციის საბავშვო ოთახებში მიყვანილ ბავშვთა და მოზარდთა უმრავლესობა მშობლებთან ცხოვრობს, მილიციის საბავშვო ოთახები კი იშვიათად იყენებენ ბავშვთა უმეთვალყურეობის აღსაკვეთად დაწესებულ ისეთ ქმედით ზომას, როგორცაა მშობლების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემა და ასეთი შემთხვევის შეტყობინება მშობლების სამუშაო ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის.

ამასთან პრაქტიკაში შემჩნეულია მშობლების უკანონო დაჯარიმება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი წვრილმანი ქურდობისათვის, ქუჩაში ვაჭრობისათვის, მათხოვრობისათვის და სხვ., ე. ი. არასრულწლოვანთა ისეთი მოქმედებისათვის, რომლისთვისაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სრულიად საქავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 31 მაისის დადგენილებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული.

მაგალითად, 1957 წლის მაისში ქ. თბილისის კიროვის რაიონის მილიციის განყოფილების საბავშვო ოთახში მიიყვანეს 14 წლის ასაკის თ. რ. რუსტამოვიტროლებუსში ქურდობის მცდელობისათვის და აგრეთვე 16 წლის ხ. მ. გურიელაშვილი. ორივე მოზარდი არსად არ სწავლობდა და არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ ეწეოდა. იმის მაგივრად, რომ გადაეწყვიტათ მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ან ბავშვთა აღმზრდელი კოლონიაში გაგზავნის საკითხი, მათი მშობლები უკანონოდ დაჯარიმეს.

შემოწმებით დადგენილია აგრეთვე, რომ მილიციის მუშაკების მიერ საბავშვო ოთახებში წარმოდგენილი ყოფილან ბავშვები, რომლებსაც არავითარი დარღვევა არა აქვთ ჩადენილი, ანდა ჩადენილი აქვთ იმდენად მცირემნიშვნელოვანი დარღვევა, რისთვისაც მათი ბავშვთა ოთახში მიყვანა არ შეიძლებოდა.

მაგალითად, შარშან ქ. თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების ბავშვთა ოთახში მიყვანილ იქნა საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოწაფე, 13 წლის ასაკის ვ. ა. ჯაბანაშვილი „კვაკავშირის მალაზიასთან უმიზნოდ ყოფნისათვის“. ქ. თბილისის კიროვის რაიონის მილიციის განყოფილებაში მიყვანილ იქნა საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოწაფე, 14 წლის გ. გ. ოსეფაშვილი იმის გამო, რომ ის საკოლმეურნეო ბაზარზე ხილს ყიდულობდა!

ბავშვთა უბატრონობასა და უმეთვალყურეობასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშემშლელ ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებული უდღემამოდ დარჩენილი ბავშვების მომწყობი კომისიების სუსტი მუშაობა.

შემოწმებით დადგენილია, რომ ეს კომისიები ცუდად აწყობენ იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას, რომლებიც მონაწილეობენ

ბავშვთა უპატრონობასა და უმეტვეალყურეობასთან ბრძოლაში. მათ არა აქვთ დამყარებული კავშირი საბავშვო დაწესებულებებთან, არ ზრუნავენ საბავშვო დაწესებულებებზე საწარმოების შეფობის ორგანიზაციისა და მოზარდთა შრომითი მოწყობისათვის.

ზოგიერთ რაიონში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, წულუკიძის, სტალინის, ჯავის რაიონებში, უდემამოდ დარჩენილი ბავშვების მომწყობი კომისიები ამ ბოლო დრომდე ფაქტიურად სრულიად უმოქმედოდნენ.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1956 წლის 14 ივლისის ბრძანება № 83 „არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ“ პროკურატურის ორგანოებს ავალბს: არ შეასუსტონ ბრძოლა მეტად საშიშ დანაშაულობებთან (განზრახ მკვლელობასთან, ყაჩაღობასთან, ძალადობასთან და ბოროტ ხულიგნობასთან) და ამავე დროს არ დაუშვან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მცირემნიშვნელოვანი დანაშაულისათვის, თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია მათ მიერ პირველად, შემთხვევით გარემოებებში.

16 წლის ასაკამდე მოზარდთა სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვითვალისწინებდეთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ხოლო 12-დან 14 წლამდე ბავშვების მიმართ აუცილებლად მსჯელობის საგნად უნდა გახდეს ბავშვთა აღმზრდელობითი კოლონიაში გაგზავნის შესაძლებლობის საკითხი.

მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის როდი სრულდება სსრ კავშირის პროკურატურის მოთხოვნები არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისა და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის შესახებ.


ქ. თბილისის სტალინის რაიონის პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული 1936 წელს დაბადებული, ქურდობისათვის ორჯერ გასამართლებული დ. ა. გასოევი და არასრულწლოვანი ტ. ზ. კალაშევი.

დადგენილ იქნა, რომ დ. ა. გასოევმა 1957 წლის 27 სექტემბერს საკოლმეურნეო ბაზარზე მყიდველს სასურსათო ჩანთიდან მოპარა 20 მანეთი და გადასცა კალაშევს, რომელმაც სცადა მიმალულიყო, მაგრამ ორივენი დაკავებული იქნენ.

13 წლის კალაშევი, მანამდე ნასამართლობის არამქონე, მუშაობდა მოწაფედ არტელში, ცხოვრობდა დედასთან. საქმიდან ჩანს, რომ კალაშევი ჩაბმულ იქნა ამ დანაშაულში გასოევის მიერ. პროკურატურამ არ იმსჯელა კალაშევის ბავშვთა აღმზრდელობითი კოლონიაში გაგზავნაზე და იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა, შემდეგ კი საქმე კალაშევის მიმართ წარმოებით მოისპო.

გამომძიებლები ხშირად ივიწყებენ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების გამოძიებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს არასრულწლოვანის დანაშაულისათვის წამქეზებლის გამოვლინება და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

მაგალითად, გორის რაიონის პროკურატურაში არ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში არასრულწლოვანის წაქეზებისათვის საქარ-



თველოს სსკ 82 მუხლით სრულწლოვანი ციცავი, რომელმაც ქათმების ქურდობაში ჩააბა არასრულწლოვანი, 15 წლის მოსწავლე ო. ნაოჩაშვილი. ციცავი მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ პროკურატურაში გამოძიება წარმოებს ბრალდებულთა ასაკის გამოურკვეველად.

ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა გუდაუთის, წყალტუბოს, ქ. თბილისის კიროვის და ხსვა რაიონების პროკურატურაში.

ამგვარი დარღვევები დაუშვებელია. მოზარდ ბრალდებულთა ასაკის ზუსტად დადგენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად, ისე სასამართლოების მიერ სასჯელის განსაზღვრისას და განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესში, კერძოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „18 წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების წესის შესახებ“ 1954 წლის 24 აპრილის ბრძანებულების შეფარდებისას.

პროკურორებს უფლება არა აქვთ დაამტკიცონ საბრალდებო დასკვნა მოზარდთა საქმეებზე და გადასცენ ასეთი საქმეები სასამართლოს ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ბრალდებულთა ასაკის დაუდგენლად.

სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვისას მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამორკვევა. ეს ამოცანა მოსამართლეების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, თვითეულ საქმეზე გამორკვეულ უნდა იქნას მოზარდის ოჯახური პირობები, ყოფაქცევა სკოლაში და სკოლის გარეთ, საწარმოში და სხვ.

სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს კერძო დადგენილება და გაუგზავნოს ის შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებებს, როდესაც სამსჯავრო გამოძიების დროს დასტურდება მშობლებისა და სკოლის მიერ ახალგაზრდობის არასწორი აღზრდის, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუსტი მუშაობის ფაქტები და სხვა მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წარმოშობას.

ამ მხრივ დამანასიათებელია ქ. სოხუმის სახ. სასამართლოს მიერ შარშანწინ განხილული საქმე მოზარდების რ. ოტირბას, გ. ძაძამიას, ნ. ხვინგიას და სხვების ბრალდების შესახებ. რ. ოტირბამ და გ. ძაძამიამ ქ. სოხუმში გაიტაცეს მოქ. ნ-ს კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანა და ქ. ზუგდიდში ნ. ხვინგიას დახმარებით მიყიდეს სოფ. ანაკლიის მცხოვრებ კ. გაბელაიას.

სასამართლოში დადგენილ იქნა, რომ მათი აღზრდის საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამ ბოროტმოქმედ მოზარდთა მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ როგორმე დაეხსნათ თავისი შვილები სამართლიანი სასჯელისაგან ტყუილი ჩვენებების მიცემით, ხოლო რ. ოტირბას დედას

პასპორტის გაყალბებაც კი დაუდასტურდა. მიუხედავად ამისა მშობლებმა უკანონო მოქმედება სასამართლოს ყურადღების გარეშე დარჩა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ მოთავსდა კორესპონდენცია სათაურით: „რატომ არ გამოიტანა სასამართლომ კერძო დადგენილება“¹.

არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ დიდი აღზრდელობითი მნიშვნელობა აქვს პირობით სასჯელს, მაგრამ პრაქტიკაში პირობითი სასჯელის აღსრულებას თან ახლავს სერიოზული ნაკლოვანებები. ჩვეულებრივ სასამართლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არაფერს არ აკეთებენ პირობითად მსჯავრდადებულ მოზარდის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად. მოზარდი კვლავ გვხვდება ისეთსავე პირობებში, რომლებმაც ის ბრალდებულის სკამამდე მიიყვანეს, და იშვიათი როდია რომ, როგორც ეს გ. ძაძამიას მიმართ ზემოთ იყო აღნიშნული, გამოსაცდელი ვადის პერიოდში იგი ხელახლად იდენს დანაშაულს.

მოსამართლეს უნდა ახსოვდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 17 თებერვლის დადგენილება. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს სასამართლოებმა არ უნდა შეუქმნან არასრულწლოვანს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ის ჩადენილი დანაშაულისათვის დაუსჯელი დარჩა. სასამართლომ უნდა განუმარტოს ბრალდებულს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იგი დაისჯება პირველი დანაშაულისათვისაც. ამასთანავე სასამართლომ თავისი განაჩენით ან კერძო დადგენილებით უნდა დაავალოს სახალხო განათლების მეურვეობის ორგანოებსა და მშობლებს მსჯავრდადებულის ყოფაქცევაზე და აღზრდაზე ყოველდღიური მეთვალყურეობის განხორციელება.

არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანები მოითხოვენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას და ამ საქმეში საზოგადოებრიობის უფრო ფართო მონაწილეობას. კ. ე. ვოროზვილოვმა თავის სიტყვაში სკკპ XX ყრილობაზე აღნიშნა: „პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, განათლების მუშაკები, მშრომელები მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა უნერგავდნენ ბავშვებს, თვითეულ ახალგაზრდას სოციალისტურ დამოკიდებულებას, ე. ი. სიყვარულს შრომისადმი და პატივისცემას სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და წესებისადმი. ამასთან ერთად ყოველი ღონისძიებით უნდა ვაძლიერებდეთ და გავაუმჯობესებდეთ ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას.

კომუნისტები და კომკავშირელები გვერდს ვერ აუვლიან ზოგიერთი ახალგაზრდის არასწორ ქცევას ყოფაცხოვრებაში, საზოგადოებრივ ადგილებში. არ შეიძლება არცერთი ანტისაზოგადოებრივი საქციელი დაგტოვოთ ისე, რომ არ გავარჩიოთ და არ გამოვუტანოთ საზოგადოებრივი გაკიცხვა“².

ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი საზოგადოებრივი სიძულვილის ასეთი ატმოსფეროს შექმნაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სამართლის პროპაგანდამ და ახალგაზრდობის სოციალისტური მართლშეგნების აღსაზრდელად კარგად ორგანიზებულმა მუშაობამ.

არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობის სწორი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ამ უკანასკნელ

¹ გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 16 საქტემბერი, 1956 წ.

² კ. ე. ვოროზვილოვი, სიტყვა სკკპ XX ყრილობაზე, სახელგამი, 1956 წელი.

დროს საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების მიერ. მიღებული ზომები ადგილებზე არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების გამოძიებასა და განხილვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გაძლიერებულია ზედამხედველობა ბავშვთა აღმზრდელობით კოლონიებში კანონის შესრულებაზე. საგამომძიებლო საქმეების ანალიზის საფუძველზე და ჩატარებულ შემოწმებათა მასალების განზოგადების შედეგად ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შეტანილია წარდგინებები არასრულწლოვანთა შორის უმეტესადაც ურთობისა და დანაშაულობასთან ბრძოლის შესახებ, რესპუბლიკის საწარმოებში მოზარდთა შრომის დაცვის თაობაზე მოქმედი კანონების შესრულების შესახებ და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მივიღოთ ყველა ღონისძიება ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებას „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ მთელი რიგი ცვლილებები შეაქვს საცხოვრებელ ბინაზე უფლების შინაარსსა და ამ უფლების მოპოვების საკითხში. აღნიშნული დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით იმ ორგანიზაციების წინაშე, რომლებიც საბინაო მშენებლობას ეწევიან, წამოიჭრა რთული საკითხები.

ა. ხოჭოლავა,

საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი

გარდა ისეთი მშენებლობისა, რომელსაც სახელმწიფო თავისი სპეციალიზირებული სამშენებლო საწარმოების საშუალებით ახორციელებს, აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს კიდევ ორი სახის მშენებლობას, რაც მოქალაქეთათვის წარმოშობს განსხვავებულ სუბიექტურ უფლებას საცხოვრებელ ბინაზე.

პირველ შემთხვევაში საწარმო საბინაო მშენებლობას ახორციელებს „სამრეწველო საწარმოო ძალებით, მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით“. მეორე შემთხვევაში მშენებლობა წარმოებს „ინდივიდუალურ მენაშენეთა ძალებით შრომითი ურთიერთდახმარების საწყისებზე, რომელთაც დახმარებას უწევენ სათანადო სახელმწიფო ორგანოები კრედიტითა და სამშენებლო მასალებით“.

პირველი სახის მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით შემდეგი კითხვები ისმის: როგორ უნდა განხორციელდეს საბინაო მშენებლობა მუშა-მოსამსახურეთა „შრომითი მონაწილეობით“ და რა ხასიათის უფლებას მოიპოვებს ბინაზე შრომითი მონაწილე?

საწარმოების პრაქტიკაში ეს საკითხები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ქარხანაში შემდეგი უბრალო წესია მიღებული: საბინაო მშენებლობაში ნებაყოფლობით მონაწილე მუშას ეწერება შრომადღებები სათანადო გამოანგარიშებით, შრომადღებების რაოდენობამ უნდა განსაზღვროს მისი უფლება ბინაზე. ამასთანავე შრომითი მონაწილე იღებს ხელფასს ჩვეულებრივი წესით. რსფსრ-ის ზოგიერთი ქალაქის საწარმოები უფრო დეტალურად განსაზღვრავენ მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის პირობებს. ამ მხრივ ზოგადი მნიშვნელობა აქვს ქ. სოჭის გაზეთ „კრასნაია ზნამიას“ 1957 წ. 24 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ცნობებს აღნიშნულ საკითხებზე. აქ პირველად იქნა აღწერილი მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის პირობები. ჩვენი ცნობების მიხედვით ქ. სოჭის მშე-

ნებელთა პრაქტიკა ემთხვევა სხვა ქალაქებში არსებულ პრაქტიკას. ამის პირობები:

საწარმოსთან, რომელიც მშენებლობას აწარმოებს, არსდება მშენებლობის დამხმარე საბჭო, რომელშიც შედიან ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო ადგენს იმ პირობების სიას, რომელთაც სურთ მიიღონ ბინები შრომითი მონაწილეობის გზით. თუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება გასანაწილებელი ბინების რაოდენობას, ჩაწერილ პირთაგან შეარჩევენ მონაწილეთა საჭირო რაოდენობას. საბჭო ადგენს ხელშეკრულების პროექტს, რომელიც უნდა დაიდოს საწარმოს ადმინისტრაციისა და მშენებელთა შორის. როგორც წესი, მშენებლები მუშაობენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ სხვა სამუშაოს შესრულებაც.

გადაწყვეტილია მშენებლობაზე ყოველდღე მუშაობა სამი საათის განძავლობაში. მშენებელს ერიცხება ხელფასი. გარკვეული ნაწილი ამ ხელფასისა გადაიღება ავეჯის შესაძენად და სხვა ხარჯებისათვის, ნაწილი კი ინახება მშენებლის პირად ანგარიშზე. ყოველმა მშენებელმა წინასწარ იცის, თუ რომელ ბინას მიიღებს, რადგან სახლის პროექტსა და საცხოვრებელი ბინების განაწილებას მათ წინასწარ აცნობენ.

აღნიშნული წესები შემუშავდა სამშენებლო საწარმოების პრაქტიკაში და ამის გამო ისინი ვერ აკმაყოფილებენ სხვა სახის საწარმოების მშრომელთა მოთხოვნილებებს. ამიტომ უნდა შემუშავდეს დებულება მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დებულების შემუშავება შედის მოკავშირე რესპუბლიკების კომპენტეციაში. საქართველოს სსრ პირობებში დებულება, ადმინისტრაციისა და მშენებელთა ურთიერთვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გარდა, უნდა ითვალისწინებდეს მშენებლის მაგიერ მისი ოჯახის წევრის მუშაობის შესაძლებლობას და აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენებას გარკვეულ პირობებში.

საკითხი იმის შესახებ, სანივთო თუ ვალდებულებითი ხასიათისაა შრომითი მონაწილის მოთხოვნა ბინაზე, წარმოადგენს ყველაზე უფრო სერიოზულ საკითხს მშენებლებისა და საწარმოებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ საწარმოსა და შრომის მონაწილეს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ვალდებულებითი სარჩელი ვერ უზრუნველყოფს შრომითი მონაწილის ინტერესს. ასეთი სახის უფლების განხორციელება საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია კვლავ საწარმოზე, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მისცეს მოსარჩელეს ახალი ბინა, არაუფექტიანია, მისი იძულებითი წესით სისრულეში მოყვანის შეუძლებლობის გამო. ამასთანავე ვალდებულებითი სარჩელი გაპირობებულია მოპასუხის პიროვნებით და იმ შემთხვევაში თუ სახლის მშენებელი ორგანიზაცია შეიცვალა, უფლების მონაცვლე ვალდებულია მისცეს ბინა მშენებელს გარკვეულ პირობებში და ისიც სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მაგრამ არც სანივთო უფლების (ე. ი. უფლებისა უმუშაოდ ბინაზე) მინიჭება შეიძლება ყველა შემთხვევაში შრომითი მონაწილისათვის. როგორც ცნობილია, სანივთო უფლების განხორციელება შესაძლებელია ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრულ ნივთზე, ხოლო ბინა კი, რომელიც მშენებ-

ლობის პროცესშია და არ არის ინდივიდუალიზებული, არ შეიძლება იყოს სა-
ნივთო უფლების ობიექტი.

საწარმოების პრაქტიკაში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მშენებ-
ლობაში შრომით მონაწილე პირს უნდა ჰქონდეს განსხვავებული უფლება
ბინის მიღებისა იმ პირთან შედარებით, რომელიც რიგის მიხედვით ან სხვა
საფუძვლით იღებს ბინას საერთო წესით. ჩვენის აზრით საკითხი შრომითი
მონაწილის უფლების ბუნების შესახებ გადაწყდება იმის მიხედვით, თუ
მშენებლობის რა სტადიაში წარმოიშვა კონფლიქტი შრომით მონაწილესა და
მშენებელ ორგანიზაციას შორის. თუ დავა წარმოიშვა სახლის მშენებლობის
დამთავრებამდე, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციას შეიძლება დაეკისროს
მშრომელზე სხვა ბინის მიცემა, ან მოსარჩელის მშენებელთა სიაში შეყვანა,
თუ რაიმე არასაპატიო მიზეზის გამო ის გამორიცხულია მშენებელთა სიიდან,
ან ფულადი კომპენსაციის გადახდა გაწეული შრომის ასანაზღაურებლად.
ამგვარად, ამ სტადიაში დავა მხარეთა შორის განიხილება ვალდებულებითი
სამართლის მიხედვით.

დავა, წარმოშობილი სახლის დამთავრების შემდეგ, უნდა გადაწყდეს
როგორც ვალდებულებითი სამართლის, ისე სანივთო სამართლის პრინციპე-
ბის თვალსაზრისით, იმის მიხედვით, შესრულებული აქვს თუ არა მშენებელს
ყველა ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია შრომითი მონაწილე-
სათვის. უკანასკნელ შემთხვევაში შრომით მონაწილეს უნდა მიეკუთვნოს
კონკრეტული ბინა, მაშინაც კი თუ მასში მცხოვრები პირი კეთილსინდისი-
ერი მობინადრეა.

ამგვარად, შრომითი მონაწილის უფლება გაივლის რამდენიმე სტადიას.
არასასარჩელო მდგომარეობიდან (ე. ი. ისეთი მდგომარეობიდან, როდესაც
მშენებელს აქვს მშენებელთა სიაში მოხვედრის უფლება, მაგრამ
არ შეუძლია მოითხოვოს ეს სასარჩელო წესით), მეორე სტადიაში შრომითი
მონაწილეობის შედეგად, ასეთი უფლება გადაიზრდება ვალდებულებითი
სასარჩელო უფლებად და ამ სტადიაში მშენებელს უფლება აქვს მოითხოვოს
მშენებელთა სიაში აღდგენა და სხვ., ხოლო უკანასკნელ სტადიაში, ე. ი. მშე-
ნებლობის დამთავრების შემდეგ გარკვეულ ფაქტიურ პირობებში მშენებელს
წარმოეშვება სანივთო უფლება, ე. ი. უფლება გარკვეულ ბინაზე. ასეთი უფ-
ლება ძალაშია როგორც მოპასუხის, ისე მესამე პირის მიმართ.

გადავდივართ მეორე სახის მშენებლობასთან დაკავშირებულ ცვლილე-
ბებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე სახის მშენებლობა ხორციელ-
დება: „ინდივიდუალურ მენაშენეთა ძალებით, შრომითი ურთიერთ დახმარე-
ბის საწყისებზე“.

მშენებლობის შედეგად თვითეულ მენაშენეს მრავალბინიან სახლში
წარმოეშვება პირადი საკუთრების უფლება ცალკე ბინაზე (31 ივლისის დად-
გენილების მუხ. 24). მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს პი-
რადი საკუთრების უფლებას ცალკე ბინაზე, პირიქით—შენობა უფლების ერთ
განუყოფელ ობიექტად ითვლება.

როდესაც საკუთრების თანამონაწილე ასხვისებს თავის წილს, მხარეები
ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ შენობის იდეალური და არა რეალური
წილის გასხვისებას.

საერთო საკუთრების ინსტიტუტიდან გამომდინარეობს ორი შედეგი:

პირველყოვლისა, იგი ანიჭებს თანამესაკუთრეს შენობის წილის უპირობო საღ შეძენის უფლებას, თუ მეორე თანამოზიარე დააპირებს თავისი წილის განსხვისებას (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი), მეორეს მხრივ, ასეთი თეორია აკმაყოფილებს საჯარო მოთხოვნასაც, რადგან შენობის საერთო მფლობელები პასუხს აგებენ სოლიდარულად ქალაქის კეთილმოწყობისათვის და სხვა საჯარო ხასიათის ვალდებულებათა შესრულებისათვის. მაგრამ ამ თეორიას თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. საერთო საკუთრება ზოგიერთ შემთხვევაში მალავდა ერთპიროვნულ საკუთრებას დიდ შენობაზე, რომელიც ფიქტიურად ნაწილდებოდა იდეალურ წილებად, უმთავრესად ოჯახის წევრთა შორის. ამავე დროს ეს თეორია ზღუდავდა მესაკუთრეს, რადგან მას არ ჰქონდა უფლება თავისი წილის თავისუფლად გასხვისებისა მეორე თანამონაწილის ნებართვის გარეშე. სწორედ ეს გარემოება და საბინაო კონფლიქტების თავიდან აცილება აქვს მხედველობაში 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებას, როდესაც იგი აწესებს 1958 წლიდან თვითეული ოჯახის ცალკე ბინაში შესახლებას (მუხ. 29). ეს დადგენილება გავლენას იქონიებს მანამდე აგებული შენობის უფლებრივ რეჟიმზედაც, რადგან შეუძლებელია არსებობდეს ორგვარი უფლებრივი რეჟიმი შენობებზე იმის მიხედვით, თუ როდის იქნა აგებული შენობა—1957 წ. 31 ივლისამდე, თუ ამის შემდეგ. ამის გამო სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი არ გავრცელდება შენობებზე, რომელთა დანაწილება შესაძლებელია იზოლირებულ ოთახებად, თვითეული თანამესაკუთრისათვის საკუთრების უფლების მინიჭებით.

მშენებელთა ურთიერთდახმარება, რომელზედაც ლაპარაკია 31 ივლისის დადგენილებაში, ფაქტიურად წარმოადგენს სამშენებლო ამხანაგობის ფორმას. ასეთი ამხანაგობა ამჟამად არსებულ სამშენებლო ამხანაგობისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში მონაწილეობა გაპირობებულია შრომითი თანამშრომლობით, მაშინ როდესაც დღემდე არსებულ სამშენებლო ამხანაგობისათვის საკმარისია სახსრებით მონაწილეობა.

საქართველოს სსრ-ში უნდა დამუშავდეს ინდივიდუალური მშენებლობის დებულება და შრომითი ამხანაგობის ხელშეკრულების ტიპური პროექტი. ჩვენის აზრით, დებულება უნდა ითვალისწინებდეს მენაშენისა და მისი ოჯახის წევრის შრომას, სახსრების ამხანაგობაში შეტანას და დაქირავებული შრომის გამოყენებას გარკვეულ პირობებში. შრომითი მონაწილეობის წესით წარმოებული მშენებლობის პირობებისაგან ინდივიდუალური მშენებლობის პირობები უნდა განსხვავდებოდეს იმით, რომ ეს უკანასკნელი უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე პაის შეტანას ამხანაგობაში. განსხვავებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით გათვალისწინებული წესისა, რომლის თანახმად მშენებელს მიწა გამოეყოფა ინდივიდუალურად უვადო სარგებლობაში, 31 ივლისის დადგენილება ითვალისწინებს მიწის ნაკვეთების გამოყოფას საწარმოსათვის, რომელიც შემდეგში მიწის ნაკვეთს „მიუჩინეს“ თვითეულ ინდივიდუალურ მენაშენს. ასეთი წესი საშუალებას უსპობს მენაშენს სახლის მშენებლობის დამთავრებამდე და თავის ვალდებულების შესრულებამდე მიწის ნაკვეთი გადაცეს სხვას.

ამ რაციონალურმა ღონისძიებამ უნდა შეცვალოს მიწის სარგებლობის წესი იმ ინდივიდუალური მშენებლებისათვისაც, რომელთაც მიწის ნაკვეთი

გამოეყოთ ინდივიდუალურად და მშენებლობას ეწევიან 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე. კერძოდ, ასეთ მშენებლებს უნდა აეკრძალოთ სახლის მშენებლობაში სხვა პირის თანამონაწილეთ შეყვანა, ვინაიდან ფაქტიურად ასეთი გარიგება მალავს მიწის ნაკვეთით სარგებლობის გადაცემას სხვა პირზე, რაც ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არაერთგზის მიუთითა სახალხო სასამართლოებს, რომ საერთო შენობის მესაკუთრეთა შორის წარმოშობილი დავა გაუყოფელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესახებ წარმოადგენს 'სამოქალაქო სამართლებრივ დავას'; ხოლო დავა მიწის შესახებ სხვადასხვა სახლთმფლობელთა შორის განხილვა ადმინისტრაციული წესით, რადგან მიწათმოწყობის საკითხი არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში¹.

იმასთან დაკავშირებით, რომ 31 ივლისის დადგენილება მენაშენეთა შორის მიწის დაყოფას ავალებს. საწარმოს, იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მენაშენეთა შორის წარმოშობილი დავა მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესახებ განხილულ იქნას სასამართლოს მიერ, თუ ეს დავა განხილვა ადმინისტრაციული წესით? ჩვენის აზრით, მენაშენეზე მიწის მიჩენის შემთხვევაში საწარმო ასრულებს არა სამიწათმომწყობო ფუნქციას, არამედ ჩვეულებრივ ტექნიკურ ფუნქციას. ამასთან, საწარმო არ წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოს. ამის გამო არ არსებობს არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ ასეთი დავა სასამართლო განხილვას დაექვემდებაროს.

1957 წლის 31 ივლისის დადგენილების თანახმად 1957—1960 წლებში საქართველოს სსრ-თვის დაწესებულია ინდივიდუალური მშენებლობის გეგმა 1,9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ოდენობით. როგორც დადგენილების 28-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, ინდივიდუალური მშენებლობისათვის გეგმით გამოყოფილი საშენი მასალა უმთავრესად უნდა მოხმარდეს ამავე დადგენილებით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ მშენებლობას. ამის გამო 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით გათვალისწინებული ინდივიდუალური მშენებლობის ფორმა, თუმცა არ არის გაუქმებული, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი თანდათანობით შეიზღუდება.

ეს გარემოება განსაზღვრავს 31 ივლისის დადგენილებიდან გამომდინარე ორგანიზაციულ-იურიდიული საკითხების დიდ მნიშვნელობას. ამის გამო საქ. სსრ-ში ეს საკითხები უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო გზით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.



¹ „Судебная практика Верховного суда СССР“ № № 4 და 7, 1950 წ.

² „Бюллетень Верховного Суда СССР“ № 1, 1957 წ.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობის სისჯავის საკითხისათვის

დოცენტი მ. ნიქიძე

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა შრომის კანონმდებლობის შემდგომი განვითარების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

ამასთან დაკავშირებით დასახულია ამოცანა: შევიმუშაოთ საბჭოთა შრომის კანონმდებლობის ახალი სისტემა, რადგანაც ამ დარგში ბევრი რამ უკვე მოქველდა, ანდა თავისი ახსნა ვერ ჰპოვა თვით ამ კანონმდებლობის დარგობრივი გამოქვეყნის ნიშნის მიხედვით (მისი არა შრომის კანონმდებლობისათვის, არამედ კანონმდებლობის სხვა დარგისათვის მიკუთვნების გამო). ამჟამად ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული კანონმდებლობის სისტემის გარკვევას.

მე წელმა განვლო საბჭოთა შრომის კანონთა მეორე კოდექსის შედგენის შემდეგ. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მომხდარ ცვლილებებს არ შეეძლო არ წარმოეშვა ახალი სამართლებრივი ნორმები, რომელთა დანოშნულებასაც შეადგენს შეხაზამის უფლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება. ამიტომაც ამ ცვლილებებთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხისა და სამართლის ინსტიტუტის გადაგუფება და უფრო მეტიც — უფლებრივი ურთიერთობის სფეროს გაფართოება ამ ურთიერთობათა გამაერთიანებელი საკვალიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1938 წლიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება დისკუსია საბჭოთა შრომის სამართლის, როგორც სამეცნიერო დარგის და მოუყოლებელი და არადამოუკიდებელი (მოზაიკური — ზოგიერთთა გამოთქმით) ბუნების შესახებ. გარდა ამისა, სხვადასხვაგვარად განმარტავენ და აკვალიფიცირებენ შრომის ურთიერთობას კოლმეურნეობაში, ამ საკითხების საბოლოო გადაწყვეტას საბჭოთა შრომის კანონმდებლობის სისტემის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარი მერყეობის აცილება შრომის სა-

მართლის სამოქალაქო სამართლისაგან დამოუკიდებლობის საკითხში, მკვიდრ საფუძველს ქმნის საბჭოთა შრომის სამართლის მეცნიერების საგნისა და სისტემის დასადგენად, ხოლო მეორეს მხრით, შრომითი უფლებრივი ურთიერთობის უფრო სრული ნათელყოფისათვის, ხელს უწყობს შრომის სამართლის ყველა ინსტიტუტის დაზუსტებას, მისი სისტემის უფრო სრულქმნილად ჩამოყალიბებას.

საბჭოთა შრომის სამართლის საგნისა და სისტემის განსაზღვრის ირგვლივ შეიქმნა ძირითადად ოთხი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. ავტორთა ერთი ჯგუფი იცავს შრომის სამართლის სამოქალაქო სამართლის საერთო სისტემაში გათქვევების პოზიციას. მეორე შეხედულების თანახმად, მიზანშეწონილია შრომის კანონმდებლობის სფეროს გაფართოება იმგვარად, რომ იგი მუშა-მოსამსახურეთა შრომით უფლებრივ ურთიერთობასთან ერთად, საწარმოო კოოპერაციის წევრთა და შემოქმედებითი შრომის წარმომადგენელთა ამავე სახის ურთიერთობასაც აწესრიგებდეს. მესამე ჯგუფის ავტორთა მოსაზრებით, შრომის კანონმდებლობის სისტემა საჭიროა შემოიფარგლოს უმთავრესად შრომის კანონთა კოდექსის არსებულ სისტემით გათვალისწინებული ინსტიტუტებით, რომლებიც მარტოოდენ მუშა-მოსამსახურეთა შრომით ურთიერთობას აწესრიგებენ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ავტორთა ეს ჯგუფი, მომხრეა შენარჩუნებულ, იქნეს შრომის კანონმდებლობის არსებული სისტემა (Senzus quo). მეოთხე შეხედულების მიხედვით კი შრომის კანონმდებლობის სისტემა მუშა-მოსამსახურეთა შრომით ურთიერთობასთან ერთად მოიცავს საწარმოო კოოპერაციის წევრთა (სარეწაო კოოპერაციული არტელის წევრთა და კოლმეურნეთა) შრომით ურთიერთობასაც.

აღნიშნულ შეხედულებათა განხილვამდე წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ყველა ცდა, მიმართული იმისკენ, რომ გამოინახოს რაღაც საერთო ქონებრივსა და შრომით ურთიერთობას შორის და დაესვათ მათ იგივეობის ნიშანი — იმას ნიშნავს, რომ არ ვხედავდეთ სო-

ციალ-ეკონომიურ გარდაქმნათა უდიდეს შედეგებს სსრ კავშირში, სადაც თვითუფლები კეთილსინდისიერი მოქალაქის შრომა წარმოადგენს უპირველეს მოვალეობას, მისი ღირებულება და ღირსების საქმეს.

თუ რევოლუციამდელი ცივალისტი პროფ. გულიაივი სამუშაო ძალას ათანაბრებდა ჩვეულებრივ ქონებრივ ობიექტთან და სავსებით მისაღებად თვლიდა უფლებრივი ურთიერთობა დამქირავებელს და დაქირავებულს შორის ჩათვალა ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებებით ხასიათის ურთიერთობად (განურჩევლად იმისა — ცხენი, ნივთი თუ ადამიანი ქირავდებოდა), ახლა ჩვენს პირობებში გასაგებია, რომ შრომითი და ქონებრივი ურთიერთობის ამდაგვარი იდენტიფიკაციისათვის საფუძველი არ არსებობს.

ის გარემოება, რომ შრომითი ურთიერთობაში ვგვდებით ქონებრივ ელემენტს და ასევე ქონებრივ ურთიერთობაშიც ვლინდება შრომის ელემენტი, სრულებითაც არ ამტკიცებს ამ ურთიერთობათა ერთგვაროვან ხასიათსა და შინაარსს.

სოციალისტური შრომითი ურთიერთობანი, წარმოადგენენ რა ძირითადად ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებას, შეუძლებელია გათქვევით იქნას ქონებრივი ხასიათის ურთიერთობაში.

ცნობილია, რომ შრომა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში წარმოადგენს მშრომელთა დამონების საშუალებას, სოციალიზმის პირობებში კი შრომა გადაქცეულია მშრომელთა განთავისუფლებისა და ყოველმხრივი განვითარების საშუალებად, მათი გმირობის საქმედ. საბჭოთა საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობა განისაზღვრება მისი პირადი შრომით და არა ქონებრივი მდგომარეობით, შრომის საზოგადოებრივი ხასიათი ენიჭება.

1. მიუხედავად ამ ნათელი დებულებისა, შრომითი ურთიერთობის სამოქალაქო ურთიერთობაში გათქვევების მომხრენი ყოველივე ამას სხვაგვარად ხსნიან. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო პროფ. მ. აგარკოვი, რომელიც ეჭვდნობოდა რა შრომით უფლებრივ ურთიერთობაში ქონებრივ მხარეს, შრომის სამართალს სამოქალაქო სამართალს აკუთვნებდა¹.

სოციალისტური შრომითი უფლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებათა და თავისებურებათა უარყოფა ეთანაბრება საბჭოთა მოქალაქის შრომითი უფლება-

მოვალეობების უგულვებელყოფას. იხილეთ კითხვა: რა სარგებლობა შეუძლია შრომითი უფლებრივი ურთიერთობის წლობით დადგენილი ცნების შეცვლასაკენ

აკრიტიკებს რა პროფ. მ. აგარკოვის მოსაზრებას, პროფ. ა. პაშერსტნიკი სწორად თვლის, რომ შრომითი უფლებრივი ურთიერთობის მთლიანი შინაარსის ქონებრივ მხარედ დაუყვანა შეუძლებელია².

პროფ. აგარკოვის აღნიშნულმა შეხედულებამ ზოგადი განსხვავებით თავი იჩინა კვლავ ამ უკანასკნელ ხანებშიც.

დოც. ი. მრეველიშვილის აზრით სამოქალაქო სამართალი, როგორც თავის ორგანულ რგოლს, — შრომით ურთიერთობასაც უნდა აწესრიგებდეს. ამასთან ერთად იგი აუცილებლად თვლის, რომ ურთიერთობანი საავტორო და საგამომგონებლო დარგში მიუახლოვდნენ შრომით ურთიერთობას, იმ გაგებით, რომ ისინი, წარმოადგენენ რა შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ სახეობას, მაინც საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიერ უნდა იქნენ მოწესრიგებული.

დოც. ი. მრეველიშვილის მოსაზრება ამ ნაწილში ერთგვარად ემთხვევა იმ შეხედულებას, რომელიც ასახულებს შრომითი უფლებრივი ურთიერთობის სფეროს გაფართოების საპირობებს. ძირითადად განსხვავებას ჩვენ ვხვდებით მხოლოდ იმაში, რომ დოც. ი. მრეველიშვილი შრომითი ურთიერთობის მთელ სფეროს სამოქალაქო სამართლის მოწესრიგებას უქვემდებარებს, ხოლო შრომითი ურთიერთობის სფეროს გაფართოების მომხრეებს მაინათ, რომ აღნიშნული საავტორო და საგამომგონებლო ურთიერთობანი შრომის სამართალში უნდა მოაწესრიგოს და არა სამოქალაქო სამართალში, რამდენადაც ერთგვაროვანი ხასიათის ურთიერთობანი უნდა წესრიგდებოდეს სამართლის შესაბამისი დარგის მიერ.


განსაკუთრებული ადგილი აღნიშნული შეხედულების გასავითარებლად, დაიკავა დოც. ვ. თადევოსიანმა, რომელიც მთელ საბჭოთა სამართლის სისტემას, ჭყოფს რა სამ ნაწილად (სახელმწიფო სამართლად, სამეურნეო სამართლად და სამოქალაქო სამართლად), უკანასკნელში ათავსებს მოქალაქეთა უფლებამოვალეობებთან დაკავშირებულ ქვედარგების სახით საოჯახო სამართალს, შრომის სამართალს, საბენსიო უფლებას, საავტორო უფლებას და ა. შ.³

ავტორი წინადადებას იძლევა რა კონცენტრირებულ იქნას სსრ კავშირის მოქალაქეების

¹ М. М. Агарков, Предмет и система Советского гражданского права („Советское государство и право“, 1940, № 89, гл. 55—56).

² А. Е. Пашерстник, Теоретические вопросы кодификации общесоюзного законодательства о труде, 1955, гл. 52—59.

³ იხ. В. С. Тадевосян, Некоторые вопросы системы Советского права („Советское государство и право“, 1956, № 8, гл. 99—108).



უფლება-მოვალეობათა თვალსაზრისით სხვადა-სხვაგვაროვანი უფლებრივი ურთიერთობანი, მხედველობიდან უშვებს, რომ ამ ურთიერთობათა სირთულე, მოქალაქეთა უფლებებთან (მათ შორის შრომის უფლებებთან) ერთად, — მეორეს მხრივ დაკავშირებულია მოცემულ უფლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეთა, ხანელდობრ იურიდიული პირების უფლება-მოვალეობების რეგლამენტაციასთან. აღნიშნულის გარეშე კი წარმოუდგენელი არის თუნდაც ისეთი ურთიერთობა, როგორც არის შრომითი ურთიერთობა. სამართლის სისტემის კონსტრუირების სირთულე მდგომარეობს ამა თუ იმ დარგის ინსტიტუტების შემადგენლობაში, მათს თანამიმდევრულ განლაგებაში.

ამიტომ ვ. თადევოსიანის წინადადებას მივყევართ დამოუკიდებელ უფლებრივ ურთიერთობათა არა მარტო გამარტივებამდე, არამედ ერთმანეთში გათქვევამდეც, იმ დროს, როდესაც ეს ურთიერთობანი წესრიგდებათ კანონმდებლობის ცალკე დარგების მიხედვით. ამ დარგებს კი საფუძვლად აქვთ სამართლის ამა თუ იმ დარგისათვის მეცნიერულად დამუშავებული სისტემა.

არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შარყოფითი შეფასებით დამთავრდა შრომის სამართლის სამოქალაქო სამართალში გათქვევების მეორე ცდაც.

2. პირველი წინადადება შრომითი ურთიერთობის სფეროს გაფართოების შესახებ ეკუთვნის პროფ. დ. გენკინს. ეს წინადადება მან გამოთქვა ჭერ კიდეც 1940 წელს. მისი აზრით შრომითი ურთიერთობა გამოვლინდება არა მარტო შრომის ხელშეკრულების ფორმით, არამედ საწარმოო კოოპერაციის წევრობით და სხვა შესაძლებელ უფლებრივ ფორმებში, მათ შორის გამომგონებლობასა და ავტორობაში. პროფ. გენკინი სამოქალაქო სამართლის შრომის სამართლისაგან გამოიჯივრებს საფუძველს ხედავს იმაში, რომ შრომითი ურთიერთობის ყველა სახეობა, მათი უფლებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად წარმოადგენს საბჭოთა შრომის სამართლის საგანს და არა საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა. ამის გამო იგი შრომითი ურთიერთობის პირველ წამყვან ფორმად თვლის შრომის ხელშეკრულებას, მეორე ფორმად — სარეწაო კოოპერაციის და კოლმეურნეობის წევრობიდან გამომდინარე ურთიერთობას. შრომითი ურთიერთობის მესამე ჯგუფს კი იგი აკუთვნებს — ავტორობასა და გამომ-

გონებლობას, ხოლო უკანსკელ ჯგუფს მოქალაქეთა მიერ შესრულებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამოიხატება სანარდო და დავალების ხელშეკრულებათა ფორმებში.

სავსებით დეთანხმა ამ მოსაზრებებს პროფ. დანილოვა, რომლის აზრითაც ყველა ურთიერთობა, სადაც კი უშთავრესი ადგილი შრომას უკავია, თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს შრომის კანონმდებლობაში¹.

უნდა ითქვას, რომ შემდეგში შრომითი უფლებრივი ურთიერთობის შესახებ ამ „ყოვლის შემცველმა“ შეხედულებამაც სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები გამოიწვია².

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ შეხედულება შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ფარგლების გაფართოების შესახებ სხვა დანარჩენ შეხედულებებთან შედარებით უფრო მეტად მყარ ნიადაგზეა აგებული. ამ შეხედულების სასარგებლოდ მოგვეპოვება არაერთი მამტიციტებელი მოსაზრება. აქ მოგვეყავს (რამდენადაც ამის ნება გვაძლევს სასურნალო წერილის მოცულობა) მხოლოდ შემდეგი:

ა) თუ თვით შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ცნება და არსი წმინდა სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით საწინააღმდეგე მოსაზრებებს არ იწვევს, გაუგებარია, საავტორო და საგამომგონებლო შრომითი ურთიერთობანი (თუნდაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის სისტემის წინააღმდეგ) სამოქალაქო სამართლის სფეროში რატომდა უნდა მოექცინენ? ასეთ არგუმენტაციაზე, რომ უარის ვთქვათ, მაინც იძულებული ვიქნებით, საავტორო და საგამომგონებლო ურთიერთობანი შრომასა და სამოქალაქო ურთიერთობათა შორის შუალედობრივ ურთიერთობებად ვაღიაროთ. ამას კი თავისთავად გაურკვეველობის მტკი არაფერი არ მოაქვს. სამართლებრივ ცნებათა ასეთი ორჭოფული მდგომარეობა თავის გამართლებას ვერ პოულობს აგრეთვე მატერიალური და პროცესუალური მხრითაც. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ავტორი — თუ იგი მოსარჩელეა პროცესუალურად გათანაბრებულია მუშა-მოსამსახურე მოსარჩელესთან. კანონი თანაბარ პირობებში, როგორც მუშა-მოსამსახურეებს, ისე ავტორებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებს. თუმცა ორივე ამ კატეგორიის მშრომელთათვის სარჩელის ხანდაშმულობის ვადები სხვადასხვაა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის დავის არსს, რომელიც შრომის გამოყენების ნიადაგზეა

¹ იხ. Информационный бюллетень ВИОН-а, 1940, № 2, აგრეთვე Д. М. Генкин, Предмет и система советского трудового права. („Советское государство и право“, 1940, № 2, გვ 55—71).

² იხ. П. Д. Каминская, Понятие трудового договора в советском праве, („Вопросы трудового права“, 1. 1948, გვ. 83—85); Г. Москаленко, Задача науки трудового права; „Социалистический труд“, 1956, № 10 გვ. 31) და აგრეთვე В. С. Антамонов, Е. А. Флейшиц, Авторство и трудовое правоотношение („Советское государство и право“, 1956, № 5, გვ 51).

წამოჭრილი, ანუ საერთოდ სასამართლო წესით შრომითი ხასიათის დავის განხილვის მიზნითაა აღძრული;

ბ) გამომცემლობასთან დადებული საავტორო ხელშეკრულება არის იმავე შრომის ხელშეკრულების სახესხვაობა. ფართო ვაგებით შრომის ხელშეკრულება ნიშნავს ყველა იმ პირთა მიერ დადებულ შეთანხმებას, რომლებიც შრომითის ვალდებულებებს კისრულობენ სახალხო მეურნეობის, მმართველობისა და კულტურის ყველა სფეროში. ყველა ეს პირი (მათ შორის ავტორიც და მუშა-გამომგონებელიც) ასრულებს შრომითის ფუნქციას, ახორციელებს ამა თუ იმ სამუშაოს პირადი შრომით, მათს სამსახურებრივსა და ინდივიდუალურ (შემოქმედებითი უნარის) შესაძლებლობისა და მუშაობის პირობების შესაბამისად;

გ) შრომითი ურთიერთობის სუბიექტად უნდა ვცნოთ ავტორი და გამომგონებელი კიდევ უფრო იმ ნიშნის გამოც, რომ მათი ქმედუნარიანობა წარმოიშვა არა საერთო ქმედუნარიანობის (სრულწლოვანების) დადგომის დღიდან (18 წლის ასაკიდან), არამედ მათი შრომითი მონაწილეობის მომენტიდან (კონკრეტული სარგებლობის მოტანის დღიდან), მათ მიერ დახარჯული შემოქმედებითი შრომის შედეგად. 16 წლის მსატყარი ან პოეტი სარგებლობს ისეთივე შრომითი უფლებებით, როგორც რომელიმე მშენებლობის ან საწარმოში მომუშავე მოწარმე (არასრულწლოვანი). არასრულწლოვან გამომგონებელ-კონსტრუქტორისა და მღებავი მუშის შრომის უფლებრივი შედეგები ერთნაირად თანაბარია და შეუძლებელია, რომ უფლებრივი თვალსაზრისით იდენტური იყოს იმ არასრულწლოვან პირთან, რომელიც შრომითი ურთიერთობის მონაწილე არ არის.

მ. შესამე შეხედულების მომხრენი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წინადადებას იძლევიან უცვლელად იქნას შენარჩუნებული შრომის კანონმდებლობის სისტემა, ე. ი. მისი მოქმედების სფერო შემოიფარგლოს მართოდენ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობით. ამ პოზიციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა 1940 წელს დისკუსიაზე სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ირგვლივ. დოც. გ. მოსკალენკოს აზრით კონსტიტუციის მხედველობაში აქვს მხოლოდ შრომის კანონმდებლობა და არა საერთოდ

შრომითი უფლებრივი რეგულირება. მისი აზრით ჩვენ არ მოგვეპოვება შრომის კანონები კოლმეურნეთა და სარეწაო არტელის წევრთა შრომის შესახებ, რადგანაც წესდებით ხდება მათი შრომის მოწესრიგება. ამიტომ შრომის კანონმდებლობა ესება მხოლოდ მუშებსა და მომსახურეებს. იგივე აზრი ამ ავტორმა გაიმეორა 1956 წელსაც.

შრომითი უფლებრივი ურთიერთობანი, წარმოადგენენ რა ერთგვაროვან ურთიერთობებს სავსებით არ გამოირიცხავენ მათ სპეციფიკურ ხასიათს და ამ ურთიერთობათა სხვადასხვაფორმების არსებობას. აქ ლაპარაკია არა აბსოლუტურად თანაბარ მნიშვნელოვან სტანდარტულ ურთიერთობაზე, არამედ ისეთ ურთიერთობაზე, რომლის განსაზღვრულ ნიშნებსა და სავანს წარმოადგენს ადამიანის შრომა, რომელიც უფლებებში შეზღუდული არ არის.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს შრომითი უფლებრივი ურთიერთობის წამყვან ფორმად, მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ შრომის კანონმდებლობა იზღუდებოდეს მხოლოდ ერთი ფორმით, ე. ი. ვიცნოთ აუცილებლობა მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა უფლებრივი ურთიერთობისა. საკითხის ამგვარად დააწვევება უდრის იმას, რომ ჩვენ ვეღარ შევძლოთ დანახვა საზოგადოებრივი შრომის მეტად მრავალიცხვანთ წარმომადგენლებისა.

4. ერთ-ერთ შეხედულებას წარმოადგენს ის, რომ შრომითი უფლებრივი ურთიერთობა თავისი მოქმედების სფეროში მუშა-მოსამსახურეების შრომასთან ერთად საწარმოო კოპერაციის წევრთა შრომასაც ათავსებს.


ამ შეხედულების მომხრენი არიან პროფ. ა. პაშერსტნიკი² და პროფ. ნ. ალექსანდროვი³, რომლებიც შრომითი უფლებრივი ურთიერთობის მთლიან ცნებაში გულისხმობენ მუშა-მოსამსახურეთა შრომით ურთიერთობასთან ერთად სარეწაო კოპერაციის წევრთა და კოლმეურნეთა შრომით ურთიერთობასაც, რამდენადაც ეს ურთიერთობანი დაკავშირებული არიან სოციალისტური საკუთრების ორ ფორმასთან — სახელმწიფო და კოპერაციული-საკოლმეურნეო საკუთრებასთან.

პროფ. ნ. ალექსანდროვი, აღიარებს რა შრომითი ურთიერთობის აღნიშნულ ორ ძირითად სახეობას, ამავე დროს შედმეტად თვლის კოდიფიკაციის დროს შრომისა და საკოლმე-

¹ უფრო ვრცლად კრძოთ იმ საკითხზე, წარმოადგენენ თუ არა საავტორო და საგამომგონებლო და აგრეთვე საკოლმეურნეო შრომითი ურთიერთობანი შრომითი ურთიერთობის მოლიანი ცნების შემადგენელ ნაწილებს, ავტორს განზრახული აქვს ცალკე გამოაქვეყნოს წერილები ამ ჟურნალის სხვა №№-ში.

² იხ. А. Пашерстник, О системе советского трудового права, („Советская юстиция“ 1939, № 17, — 18, გვ. 21; დასახელ. — Информационный бюллетень“ 1940, № 2, გვ. 10, აგრეთვე დასახ. „Теоретич. вопр. кодификации“. 1955, გვ. 42.

³ იხ. проф. Н. Г. Александров, „Советское трудовое право“. 1954, გვ. 133, აგრეთვე მისივე „Некоторые вопросы трудового права“ в свете решений XX съезда КПСС, („Советское государство и право“, 1956, № 3, გვ. 45—46).



ურნო სამართლის ნორმების ერთმანეთში შერევას და ამდენად იგი გვევლინება უფრო მესამე შეხედულების მომხრედ, ვიდრე ამ უკანასკნელი შეხედულებისა.

წელთა ნამსახურობისათვის და ხელფასის სხვა სახის დანამატები; შრომითი ანაზღაურება და დამატებითი ანაზღაურების წესი კოლმეურნეობაში.

ყველა ზემოაღნიშნულ შეხედულებათა განხილვის შემდეგ მეორე შეხედულების შესაბამისად გადავივარტ უშუალოდ შრომის კანონმდებლობის სისტემის გადმოცემაზე:

- 6. კომპენსაციები:
 - ა) მივლინების დროს;
 - ბ) მუშაკთა გადაყვანისა და ადგილგადაცვლების დროს;
 - გ) მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის დროს.

1. ზოგადი დებულებანი.

2. შრომითი ურთიერთობა და მისი სუბიექტები: ა) მუშები და მოსამსახურეები, ბ) გამომგონებლები, რაციონალიზატორები, (ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მუშები), გ) შემოქმედებითი დარგის მუშაკნი (ავტორები), წევრები მწერალთა კავშირისა; კომპოზიტორთა კავშირისა და სხვა, დ) საწარმოო კოლპერაციის წევრები (სარტყაო კოლპერაციული არტელის წევრები და კოლმეურნეობის წევრები).

7. შრომითი შემოსავლიდან და ხელფასიდან დაქვითვა:

- ა) ხელფასიდან და სხვა სახის შრომითი შემოსავლიდან დაქვითვა სხვადასხვაგვარ ვალდებულებათა გამო;
- ბ) ხელფასიდან დაქვითვები მუშაკის ბრალით გამოწვეული მოცდენისა და წუნისათვის;
- გ) დაქვითვები შრომითი შემოსავლიდან მიწოდებითი სამუშაოს არაკეთილსაჩინოვნად შესრულებისათვის;
- დ) აღმინისტრაციული დანარჩენები;

3. ხელშეკრულებანი და ფიზიკურსა და იურიდიულ პირთა შორის შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის სხვა დანარჩენი უფლებრივი საფუძვლები:

8. შრომითი შემოსავლისა და ხელფასის შენარჩუნება და გაცემის წესი:

- ა) შრომითი შემოსავლისა და ხელფასის შენარჩუნება მშრომელთა ყველა კატეგორიის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს;
- ბ) შრომითი შემოსავლის სხვადასხვა სახეებისა და ხელფასის გაცემის წესები და ვადები.

- ა) კოლექტიური ხელშეკრულება;
- ბ) შრომითი ინდივიდუალური ხელშეკრულება;
- გ) საავტორო ხასიათის ხელშეკრულება (საგამოცემლო, სადამდგემლო, საცენარო, რადიოგადაცემის; მექანიკური ჩანაწერის, ქორეოგრაფიული შესრულებისა და ა. შ.);
- დ) შეთანხმებანი გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან.

9. შრომის უფლებათა დაცვა და პასუხისმგებლობა შრომის დაცვის მოქმედი წესების დარღვევისათვის:

- ა) სამუშაო დღის ხანგრძლივობა (ნორმალური და შემცირებული სამუშაო დღისა);
- ბ) დასვენების სახეები (შესვენებანი, უქმე დღეები, შვებულებები და სხვა).
- გ) არასრულწლოვანთა შრომის უფლებრივი მოწესრიგება;
- დ) ქალთა შრომის უფლებრივი მოწესრიგება;
- ე) საავტორო და საგამომგონებლო შრომითი ხასიათის უფლებათა დაცვა;
- ვ) ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის ძირითადი წესები;
- ზ) საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის ძირითადი წესები;
- თ) შრომის უფლებათა დაცვის წესების დაუცველობისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

4. კადრების მომზადება და მათი უფლებრივი მდგომარეობა: ა) მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება;

ბ) მუშა-ანაზღაურდობის მომზადება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების წესით;

გ) მომზადება და განაწილება იმ კადრებისა, რომლებიც სწავლობენ საშუალო სპეციალურსა და უმაღლეს სასწავლებლებში;

დ) მეცნიერების მუშაკთა მომზადება და განაწილება;

ე) ხელოვნების მუშაკთა მომზადება და განაწილება.

5. შრომის ანაზღაურება:

- ა) მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ანაზღაურების სატარიფო სისტემა;
- ბ) დროითი ანაზღაურების სისტემა;
- გ) სანარდო ანაზღაურების სისტემა;
- დ) საავტორო მონორარი;
- ე) საგამომგონებლო და რაციონალიზატორული გასამრჩელო;
- ვ) პრემიები, პრიცენტული დანამატები

10. შრომის დისციპლინა და შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა ამ სახით დაშვებულ დარღვევათათვის.

ა) მუშა-მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, თავის მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის და იურიდიული პირისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის შემთხვევებში;

ბ) ავტორისა და გამომგონებლის პასუხისმგებლობა მათ მიერ ხელშეკრულებით თუ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის და მეორე მხარისადმი ზიანის მიყენებისათვის;

გ) საწარმოო კოოპერაციის წევრთა პასუხისმგებლობა ანალოგიური დარღვევისათვის და ზიანის მიყენებისათვის;

დ) თანამდებობის პირების (ადმინისტრაციის) და გაერთიანებათა მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა დადგენილი შრომის შინაგანაწესების, დებულებების, წესდებებისა და შრომის დისციპლინის მომწესრიგებელ სხვა აქტების მოთხოვნათა დარღვევისათვის და ამ ხაზით დაშვებული სამსახურებრივი უმოქმედობისათვის.

11. შრომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესები:

ა) შრომითი დავის განხილვის სამომრიგებლო წესი—შრომითი დავის განმხილველ ორგანოებში მუშა-მოსამსახურეთათვის და მათ შორის გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის!.

ბ) შრომითი დავის განხილვის სასამართლო წესი მშრომელთა ყველა კატეგორიებისათვის (მათ შორის გამომგონებლებისათვის, ავტორე-

ბისათვის, საწარმოო კოოპერაციის წევრთათვის და ა. შ.)

გ) შრომის დავის ადმინისტრაციული განხილვის წესი იმ პირთათვის, ვინც სარგებლობს მუშაკთა სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან განთავისუფლების უფლებით და სხვა თანამდებობის პირთათვის, რომლებიც არიან სათანადო ნომენკლატურულ სიაში.

12. სოციალური უზრუნველყოფა:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევა; კოოპერაციული დაზღვევა;

ბ) დახმარებანი დროებით შრომის უნარის დაკარგვისათვის;

გ) პენსიები;

დ) სხვა სახის დახმარებანი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით.

13. პროფესიული კავშირები და მათი საწესდებო უფლება-მოვალეობანი მუშა-მოსამსახურეთა შრომის უფლებათა დაცვის დარღვევაში.

14. სხვა პროფესიული გაერთიანებანი (მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, მხატვართა კავშირი და სხვა) და მათი საწესდებო უფლება-მოვალეობანი შემოქმედებითი მუშაკების შრომის უფლებათა დაცვის საქმეში.

15. საწარმოო კოოპერაციის მმართველი ორგანოების საწესდებო უფლება-მოვალეობანი შესაბამის კოოპერაციულ გაერთიანებათა წევრების შრომის უფლებათა დაცვის მხარე.

დამნაშაუვის ან დანაშაულის კვალის დაუპირისუთვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომებიანი საქითხები.

იურიდ. მეცნ. კანდიტატი ვ. მაისურაძე

დანაშაულის კვალის ან დამნაშაუის დაფარვა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც საზოგადოებრივად საშიში მოქმედება.


ჩვენი სახელმწიფოს განვითარების პირველ ხანებში, როდესაც სახელმწიფოებრივ დანაშაულთან ბრძოლა განიხილებოდა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, დამნაშაუვების დაფარველების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებულყო იმავე ზომითა და ინტენსივობით, როგორც დანაშაულის აღმსრულებლების წინააღმდეგ.

1918 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინი

წერდა: „არ უნდა შეეჩერდეთ არავითარი მსხვერპლის წინაშე იმ დიდი ამოცანების მისაღწევად, რომლებიც ამჟამად დაკისრებული აქვს წითელ არმიას, განსაკუთრებით სამხრეთ ფრონტზე“ და მოითხოვდა წითელ ტერორს „არა მარტო პირდაპირი მოლატეებისა და მესაბოტაჟეების წინააღმდეგ, არამედ ყველა ლაჩართა, წამლეჯთა, მიმნებებელთა და დამფარველთა წინააღმდეგაც“.

დადარვა, როგორც „რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში“ (მუხ. 24), ისე რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 16) განიხილებოდა, როგორც

1 საწარმოო კოოპერაციის წევრთათვის ანალოგიური წესით შრომის დავა განხილვა უნდა ხდებოდეს მათ გაერთიანებათა მმართველ ორგანოებში. ვ. 6



დანაშაულში თანამონაწილეობა დახმარების სახით.

მოკავშირე რესპუბლიკების ამჟამად მომქმედ 9 სისხლის სამართლის კოდექსიდან 7 სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვისათვის, მიუხედავად იმისა, ეს დაფარვა წინასწარ შეპირებული იყო თუ არა, განისაზღვრება თანამონაწილეობის წესით. რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 მუხლის თანახმად, დამხმარებელ ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც „ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას რჩევა-დარიგებებით, მითითებებით, საშუალებების მიცემით, დაბრკოლების აცილებით, ან დამანაშაულის ან დანაშაულის კვალის დაფარვას“. დამხმარის ცნების ასეთივე განმარტებას იძლევა დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, გარდა საქართველოს და უკრაინის რესპუბლიკების სს კოდექსებისა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 მუხლის მიხედვით დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, ჩვენებით, საშუალების მიცემით, დაბრკოლების აცილებით, ან დანაშაულის კვალის, ან თვით დამანაშაულის დაფარვით.

საქ სსრ. სსკ 18 მუხლის მიხედვით დამნაშავის ან დანაშაულის კვალის ისეთი დაფარვა, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელისშეწყობას არ წარმოადგენს (წინასწარ შეუპირებული დაფარვა), ისჯება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული.

წინასწარ შეუპირებული დაფარვა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 80 მუხლში, რომლის თანახმადაც „დამნაშავის ან დანაშაულის კვალის ისეთი დაფარვა, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას არ წარმოადგენს, ე. ი. დაფარვა იმ პირის მიერ, რომელიც თვით დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას არ იღებდა და მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ წინასწარი შეცნობით მონაწილეობა მიიღო დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვაში, გამოიწვევს, უკეთუ ჩადენილ დანაშაულისათვის კანონით დაწესებული თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 6 თვისა ან ვადით უმეტეს, ვიდრე ერთ წლამდე, თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე“.

წინასწარ შეუპირებელ დაფარვას დამოუკიდებელ დანაშაულად განიხილავს უკრაინის სსკ 72 მუხლიც. განსხვავება საქართველოს სსკ 80-ე მუხლსა და უკრაინის სსკ 72 მუხლს შორის არის მხოლოდ სანქციებში. როგორც ზემოდ იყო მითითებული, საქ. სსკ 80 მუხლით დაფარვისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე, მაშინ როცა უკრაინის სსკ 72 მუხლი თავისუფლების შედარე-

ბით მსუბუქ სასჯელს — თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულია აზრი, რომ თანამონაწილეობად ითვლება ორი ან რამოდენიმე პირის განზრახ მონაწილეობა განზრახ ჩადენილ დანაშაულში დაფარვა, თუ იგი წინასწარ არ იყო შეპირებული, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თანამონაწილეობა. რამდენადაც თანამონაწილეობა გულისხმობს ორი ან რამოდენიმე პირის განზრახ მონაწილეობას განზრახ დანაშაულის ჩადენაში, ამიტომ საჭიროა, რომ თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს, განაპირობებდეს დანაშაულებრივ შედეგს. გამომდინარე აქედან, წინასწარ შეუპირებული დაფარვა, რასაც აღვიო აქვს დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არ შეიძლება მიჩნეული იქნას თანამონაწილეობად. აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, უკეთუ ესა თუ ის პირი აღმსრულებელს წინასწარ პირდება, რომ იგი დაფარავს მას ან მის მიერ ჩადენილ დანაშაულის კვალს. ასეთ შემთხვევაში პირი წინასწარი შეპირებით ხელს უწყობს აღმსრულებელს დანაშაულის ჩადენაში, ამიტომ იგი მიჩნეული უნდა იქნეს ინტელექტუალურ დამხმარედ, თუნდაც მან მომავალში არ შეასრულოს დანაშაულებრივი.

გამომდინარე ხსენებულიდან, ჩვენის აზრით, ლოგიკური და სწორია დაფარვის ის გაგება, რაც მოცემულია საქართველოს და უკრაინის სისხ. სამ. კოდექსებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსები წინასწარ შეუპირებელ დაფარვას განიხილავენ დამოუკიდებელ დანაშაულად, საქართველოს და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსების 80 და 72 მუხლები 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებების გამოცემის შემდეგ ამ ბრძანებულებებით გათვალისწინებულ დანაშაულთა მიმართ არ გამოიყენება, ვინაიდან აღნიშნული კანონები საკავშირო მნიშვნელობისა და მათი გამოცემის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ერთიანობის დადგენა ქონების დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ დაფარვა ქონების დატაცების შემდეგ, თუნდაც იგი წინასწარ შეპირებული არ იყოს, სსრკ უმაღლესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით უნდა განხილული იქნას, როგორც თანამონაწილეობა.

დანაშაულის დაფარვის შემადგენლობის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის ან დანაშაულის კვალის (იარაღი, ნივთიერო დამამტკიცებელი საბუთები და სხვა) დაფარვაში. დანაშაულის დაფარვა გულისხმობს დამფარველის განზრახ ბრალს. დაფარვის შემადგენლობა გაუფრთხილებლობის დროს გამოირიცხებულია.

დამნაშავის და დანაშაულის კვალის დაფარ-

ვასთან ახლოს სდგას ისეთი დელიქტები, როგორცაა: განუცხადებლობა, ცრუ ჩვენების მიცემა, და წინასწარი შეცნობით ნაქურდალის ან დატაცების სხვა რამ გზით მოპოვებული ქონების შესყიდვა. ამიტომ დაფარვის გამოიჯვანს აღნიშნული დანაშაულებისაგან განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

როგორც რსფსრ უმაღლეს სასამართლოს ერთ-ერთ აღრიწველ სახელმძღვანელო მითითებაში სწორადაა ნათქვამი: განუცხადებლობა მღვობარეობს იმაში, რომ ვინმემ, იცის რა ამითუ იმ დანაშაულის ჩადენის შესახებ, ამას არ ატყობინებს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს. დაფარვა გულისხმობს დამფარველის მხრივ ვარკვეულ აქტიურობას ჩადენილი დანაშაულის მიმართ, ხოლო განუცხადებლობას ახასიათებს დანაშაულისადმი პირის პასიური დამოკიდებულება¹.

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში ზოგჯერ არასწორად იყენებენ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მეხუთე მუხლს (განუცხადებლობა).

ასე მაგალითად, ქ. ქუთაისის სასამართლომ დამნაშავედ ცნო მოქ. გ. 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლით ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან 7 კ/გრამი მატყლის ძაფის დატაცებისათვის. ამავე საქმის გამო ბრძანებულების მე-5 მუხლით დასჯილ იქნა მოქ. დ. მან როგორც განაჩენშია აღნიშნული: „დამალა დატაცებული 7 კ/გრამი ძაფი თავის ოთახში და არ განუცხადა ამის შესახებ ზღლისუფლების ორგანოებს“. თუმცა მოქ. დ-მ ზღლისუფლების ორგანოებს არ განუცხადა დატაცების შესახებ, მაგრამ დაფარვა ყოველთვის გულისხმობს განუცხადებლობას და ამიტომ ამ ნიშნით კი არ უნდა ეხელმძღვანელა სასამართლოს, არამედ იმით, რომ მოქ. დ-მ ვარკვეული აქტიური მოქმედება შეასრულა და თავის ოთახში ვადამალა დატაცებული ქონება. ამ შემთხვევაში სახეზეა დაფარვა, რაც 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით ისჯება არა საქ. სსრ სსკ მე-80 მუხლით, არამედ როგორც თანამონაწილეობა დატაცებაში, საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. მე-17 მუხლის გამოყენებით.

სახალხო სასამართლოები ხშირად განუცხადებლობასა და დანაშაულის კვალის დაფარვას ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ, მაშინ როდესაც მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

თიანეთის სახ. სასამართლოს მიერ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „სახ. და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პ/მგებლობის შესახებ“ მე-4 მუხ-

ლით ჯ.გ-ქ და სხვები დასჯილი იქნენ საფ. დღეღებების მალახის გაქურდვისათვის, საიდანაც მოიპარეს სხვადასხვა საქონელი და „ბობედის“ მარკის ორი მაჯის საათი. ამ საქმის გამო დანაშაულის განუცხადებლობისათვის ბრძანებულების მე-5 მუხლით დასჯილი იყო ჯ.გ-ს დედა ე. გ. იმისათვის, რომ მან არ განუცხადა ზღლისუფლების ორგანოებს აღნიშნული დანაშაულის შესახებ და არ აზიულა ქურდები. სასამართლოს მიერ ე. გ-ს დანაშაულებრივი მოქმედება სწორად იყო დაკვალიფიცირებული 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-5 მუხლით, ვინაიდან მას არავითარი აქტიური მოქმედება დანაშაულის კვალის დაფარვისა არ ჩაუდენია, ამავე დროს განაჩენში უსწოროდ არის მითითებული თითქოს „ე. გ-მ დაფარა თავისი შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალი“.

დანაშაულის დაფარვა უნდა ვაგმეჯნოთ აგრეთვე ცრუ ჩვენების მიცემისაგან. საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენის მიხედვით, ნ.გ-ს მსჯავრი დაეღო საქ. სსრ სსკ მე-80 მუხლით იმის გამო, რომ მან განზრახ დაფარა ე.მ-ს მიერ ჩადენილი მკვლელობის კვალი—დაკითხვისას აჩვენა, თითქოს მკვლელობის დღეს ის და მოქ. ე.მ. ერთად იყვნენ მათ უფროსთან. ამ შემთხვევაში ნ.გ. შეეცადა შეცდომიანი შეეყვანა საგამომიებლო და სასამართლო ორგანოები და აეცდინა ე-გ-ის პასუხისმგებლობა. ნ.გ-ს მოქმედების სსკ მე-80 მუხლით დაკვალიფიცირება არ არის სწორი, ვინაიდან სსკ 80 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს არა ყოველგვარ მოქმედებას, რაც მიმართულია ჭეშმარიტების დადგენის საწინააღმდეგოდ, არამედ ვარკვეულ აქტიურ მოქმედებას, მაგალითად, დანაშაულის იარაღის მოსპობას, დამნაშავის დამალვას და სხვა. ამიტომ ნ.გ-ს მოქმედებაში მოცემულია არა სსკ მე-80 მუხლით, არამედ სსკ 95-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობა, რაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით ნაქურდალი ან სხვა რაიმე დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების შესყიდვისათვის (საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 179-ე მუხ). ეს შემადგენლობა თავისი ობიექტური ნიშნების მხრივ ახლოს დგას დაფარვის შემადგენლობასთან.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 179-ე მუხლს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლებს ძალა არ დაუკარგავთ, მაგრამ ამ მუხლის გამოყენებისას საჭიროა დიდი ყურად-

¹ Сборник разъяснений Верховного суда РСФСР, М., 1935 г., стр. 223.

ღება და ქმედობისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებების გამოცემის შემდეგ სსრკ უმაღლეს სასამართლოს მთელ რიგ დადგენილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პირმა, რომელმაც შეიძინა ნაქურდალი, რის დატაცებასაც თითონ უწყობდა ხელს, პასუხი უნდა აგოს, როგორც თანამონაწილემ დატაცებაში.

საქ.სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1957 წლის 21 ივნისის განჩენით დამნაშავედ ცნო მოქ. მ-ლი სსკ 179-ე მუხლის 1-ნაწილით და საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდ. 142-ე მუხლით იმის გამო, რომ ფ-საგან, რომელიც ბანდიტური ჯგუფის წევრი იყო და ამავე დროს მალაზიის გამგე, შეისყიდა დიდი რაოდენობის სამრეწველო საქონელი. ფ. გარდა იმისა, რომ ბანდიტური თავდასხმების მონაწილე იყო, ამავე დროს თვით ახდენდა ნაძარცვი საქონლის დიდი რაოდენობით შესყიდვას. ამიტომ სასამართლომ მას სწორად შეუფარდა სსკ 58¹⁷ მუხლი და „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლი, სულ სხვაგვარი ხასიათისაა ი. მ-ს დანა-

შაული. ეს უკანონოდ ყიდულობდა ფ-საგან სამრეწველო საქონელს, თანაც შეგნებულ პქონდა, რომ ეს საქონელი მოპოვებული უნდა ყოფილიყო დანაშაულებრივი გზით, თუმცა არ იცოდა დატაცების კონკრეტული გარემოებანი. ამიტომ, ჩვენის აზრით, სასამართლო კოლეგიამ სწორად ცნო იგი დამნაშავედ სსკ 179-ე მუხლით და არა როგორც დანაშაულის კვალის დამფარავი.

ნაძარცვი ქონების დამალვის დროს პირის მიზანია დანაშაულის ან დამნაშავეს დაფარვა; ამით იგი ხელყოფს საბჭოთა მართლმსაჯულების ინტერესებს. ნაქურდალის შემსყიდველის ძირითადი მიზანი კი, როგორც წესი, გამოიხატება მატერიალური სარგებლობის მიღებაში.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, დაფარვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც წინასწარ არ იყო შეპირებული, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით ვერ ჩაითვლება თანამონაწილეობად.

ამდენად მიზანშეწონილია მომავალ სისხლის სამართლის კოდექსში შენარჩუნებულ იქნეს დაფარვის ისეთი გაგება, რაც მოცემულია ამჟამად მოქმედ უკრაინის სსრ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში.





საქართველოთ ჯარუბო იურიდიული კვალიფიკაცია

მედი უჩაღღება საგამომძიებლო დაკვირვების მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს

1955 წელს მიღებული „დებულება საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირში“ მოითხოვს, რათა ბრძოლა დანაშაულობათა წინააღმდეგ ისე იქნას ორგანიზებული, რომ არცერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ შეძლოს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას.

გაუხსნელ საქმეთა არსებობა იმის დამადასტურებელია, რომ ამ დანაშაულთა გამოძიების დროს სათანადო არ იყოს გამოყენებული ყველა შესაძლებლობა, რაც საგამომძიებლო აპარატს გააჩნია, ანდა საგამომძიებლო და მომკვლევო ორგანოების ზოგიერთი მუშაკი სათანადოდ ვერ იყენებს კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს.


დანაშაულის გახსნა გამომძიებლისაგან მოითხოვს ოსტატობას, რომელსაც იგი განუწყვეტელი და შეუპოვარი მუშაობით იძენს.

გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლება კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა დაუფლების ბაზაზე განსაკუთრებით აუცილებელია იდგეს, როდესაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოთხოვნის შესაბამისად პროკურატურის ქვემდებარე ყველა საქმე აღძრულ და მიღებულ უნდა იქნას წარმოებაში დანაშაულის აღმოჩენის მომენტიდან. გენერალური პროკურორის ეს მითითება ეხება ისეთ სერიოზულ და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს, როგორც არის მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა, ბანდიტიზმი და სხვ.

გამომძიების მეცნიერულ ნიადაგზე გადაყვანის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა საგამომძიებლო პრაქტიკაში გამომძიების მეცნიერული მეთოდების დანერგვა.

გამომძიების მეცნიერული მეთოდების გამოყენება ნიშნავს, კერძოდ, საგამომძიებლო პრაქტიკაში სასამართლო-ობერატიული ფოტოგრაფიის და სხვა სამეცნიერო ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენებას. გამომძიებელმა უნდა იცოდეს შემთხვევის ადგილზე ნივთმტკიცებების ძებნა და შემდეგ მათი დამამტკიცებელ საბუთებად გამოყენება.

კვალი და სხვა სახის ნივთმტკიცება, რასაც გამომძიებელი პოულობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, ხშირად არა მარტო ხელს უწყობს მომხდარი დანაშაულის ხასიათის დადგენას, არამედ გვეხმარება შემთხვევის მთელი სურათის აღდგენაში.



ყოველივე ეს ავალებს გამომძიებელს კარგად იცოდეს, სად რა სანის კვალი უნდა ეძებოს, როგორ გამოავლინოს, დაიცვას, დაამაგროს და შემდეგ ამოიღოს იგი.

ამის არცოდნა ან არა სათანადოდ ცოდნა ხდება იმის მიზეზი, რომ საქმე ხშირად გაუხსნელი რჩება, და ზოგჯერ მეტად საშიში დამნაშავე დამსახურებულ სასჯელს თავიდან იცილებს.

ჩვენი რესპუბლიკის საგამომძიებლო დარგის მუშაკთა დიდ ნაწილს შეგნებული აქვს მის წინაშე მდგომი ამოცანების მთელი სერიოზულობა. ეს მუშაკები დღითიდღე იმალლებენ თავის ცოდნას. მაგრამ სამუშაოზე ჯერ კიდევ გვყავს ისეთი გამომძიებლები, რომლებიც გამოძიებას მეტად პრიმიტიულად აწარმოებენ და სათანადოდ არ ფლობენ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა მინიმუმს. იმ გამომძიებლის ხელში, რომელიც კარგად ფლობს კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, საგამომძიებლო ჩემოდანი და მასში მოთავსებული საშუალებები სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და მასალების სახით, წარმოადგენს სერიოზულ იარაღს, რომლის შემწეობით გამომძიებელი ეძებს დამნაშავეს მიერ დატოვებულ კვალს, გამოავლენს და ამაგრებს მას, რაც საბოლოოდ საშუალებას აძლევს ამხილოს დამნაშავე.

მთელ რიგ სერიოზულ საქმეთა გაუხსნელობა რომ საგამომძიებლო დარგის ზოგიერთი მუშაკის დაბალი კვალიფიკაციის შედეგია, ეს შეიძლება ილუსტრირებულ იქნას შემდეგი მაგალითებით:

1957 წლის 20 მარტს ქ. თბილისში საკუთარ ბინაზე თავის არეში ბლავჯი საგნის დარტყმით მოკლულ იქნა მარტოხელა, შუახნის ქალი სტრელკოვსკაია. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა მორიგე გამომძიებელი მილიციის მუშაკებთან ერთად. ვინაიდან მათი გამოცხადების დროისათვის უკვე დამდებოდა, აღნიშნულმა პირებმა გადაწყვიტეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება მოეხდინათ მეორე დღეს დილით. ასეთი გადაწყვეტილება კი არასწორი იყო, ვინაიდან ელექტრონის შუქზე სავსებით შესაძლებელი იყო შემთხვევის ადგილზე დათვალიერების მოხდენა. მეორე დღეს—დილით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებლად გამოცხადდა უკვე მეორე გამომძიებელი. დათვალიერებით, რომელიც მეტად არაკვალიფიციურად ჩატარდა, სტრელკოვსკაიას გვამის ახლოს ნახულ იქნა სანაყის ფერადი ლითონის ტარი, რომლითაც მოკლული იყო სტრელკოვსკაია. სტრელკოვსკაიას გვამის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ მას ხელში ჰქონდა შავი ტყავის ჩანთა (რედუკული), რომელიც, როგორც ჩანდა, მას მკვლელობის დროს ხელში კი არ სჭერია, არამედ შემდეგ, კვალის დაბნევის მიზნით, ხელში ჩაუდო ბოროტმომქმედმა. სანაყის ტარზე იქვე მყოფმა ექსპერტმა მოახდინა დამტვერიანება სპეციალური ფხვნილით და სცადა თითის კვალის გამოვლინება, მაგრამ აჩქარების გამო არაფერი გამოუვიდა და ეს მოქმედება ფიქსირებულიც არ იქნა ოქმში.

გამომძიებელს, რომელიც ახდენდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, მაშინვე უნდა ამოეღო სანაყის ტარი და ჩანთა, როგორც ნივთმტკიცებები და შემდეგ გაეზაუნა საექსპერტო დაწესებულებაში სათანადო ლაბორატორული დამუშავებისათვის ხელის თითების კვალის აღმოჩენის მიზნით. გამომძიებელი რომ თავის სიმაღლეზე მდგარიყო, მას არ უნდა მიეცა ექსპერტისათვის უფლება აჩქარებით, იქვე, შემთხვევის ადგილზე დაეწყო კვალის დათვალიერება. ასეთი სისწრაფე არაფრით არ იყო ნაკარნახევი. შემდეგში კი

აღნიშნული ნივთმტკიცება ყოველგვარი გამოკვლევისათვის უფარგისი გახდა. არ მომხდარა აგრეთვე ჩანთის დამუშავება მის ზედაპირზე თითის კვალის აღმოჩენის მიზნით.

ორ თვეზე მეტ ხანს წარმოებდა გამოძიება ამ საქმეზე, დაიკითხა მრავალი მოწმე, ჩატარდა სხვადასხვა სახის საგამომძიებლო მოქმედება, მაგრამ საქმე გაუხსნელი დარჩა. დარჩებოდა თუ არა გაუხსნელი ეს საქმე, პირველი საგამომძიებლო მოქმედება რომ კვალიფიციურად ჩატარებულყო? უნდა ვიფიქროთ, რომ არა.


საქართველოს სსრ პროკურატურამ ამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გააკეთა გამოძიებლის საქმიანი დონის ამაღლებისათვის. შეიქმნა კრიმინალისტიკის კაბინეტი, რომელიც მოწოდებულია ფართოდ დაწერგოს საგამომძიებლო პრაქტიკაში კრიმინალისტიკის სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები. 1955—1957 წლებში ჩატარდა სემინარები სხვადასხვა სახის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკაზე. სპეციალურად ჩატარდა სემინარები „საგამომძიებლო ჩემოდნის“ შესასწავლად. აღნიშნულ სემინარებზე ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა გამოძიებელმა მიიღო მონაწილეობა და აიმაღლა თავისი პროფესიული დონე. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ სტაჟირებას. სპეციალურად ტარდებოდა სემინარები ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის. სემინარების კვალიფიციურად ჩატარების მიზნით მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საქესპერტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც საგრძნობლად ხელს უწყობდა გამოძიებლების მათთან დაახლოებას. სისტემატურად ეწყობოდა მოწინავე გამოცდილების გაზიარება სპეციალურად შედგენილი საინფორმაციო წერილების ადგილებზე დაგზავნით. კრიმინალისტიკის კაბინეტი შეივსო ახალი მოწყობილობებით და ხელსაწყოებით, მოეწყო ფოტოლაბორატორია.

კრიმინალისტიკის კაბინეტში შეიქმნა გამოძიებლის ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია როგორც იურიდიული, ისე სხვა სახის ლიტერატურა. კრიმინალისტიკის კაბინეტში გამოძიებლები ღებულობენ კონსულტაციებს გამოძიების ყველა საკითხზე, განსაკუთრებით კი კრიმინალისტიკის საკითხებზე.

რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა და მომზადებულია გამოსაცემად საკავშირო კრიმინალისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ცნობარი: „პირველადი საგამომძიებლო მოქმედებანი“. ამ წიგნის ქართულ ენაზე თარგმნა დიდად დაეხმარება ჩვენს გამოძიებლებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა ვატარებას არ გამოეღოს დადებითი შედეგი. სულ უფრო და უფრო ხშირი გახდა ჩვენს საგამომძიებლო პრაქტიკაში საინტერესო საქმეთა გახსნა, კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დაუფლების ბაზაზე გამოძიებლები ღლითიღლე იმაღლებენ თავიანთ საქმიან კვალიფიკაციას და უფრო ღრმად ეუფლებიან გამოძიების ხელოვნებას.

კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის ხიდიდან 100 მეტრის დაშორებით უცნობი საბარგო ავტომანქანა დაეჯახა გზად მიმავალ სამ მოქალაქეს, რომელთაგანაც მოქ. ლ. შეშაბერიძე იქვე გარდაიცვალა, ხოლო ორმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. აღნიშნულმა პირებმა ვერ შეძლეს ვერც მანქანის



მარკის და ვერც მისი ნომრების დანახვა, ვინაიდან მანქანა მათ დაეჯახა ცენს მხრიდან. მათ მხოლოდ ის დაინახეს, რომ მანქანა საბარგო იყო. ერთი შეხედვით თითქოს ამ საქმის გახსნის არავითარი იმედები არ არსებობდა. აღნიშნული საქმის გამოძიება დაიწყო კასპის რაიონის პროკურატურის გამოძიებელმა გ. ი. თარხნიშვილმა. იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე და შეუდგა გვამის და ადგილმდებარეობის დეტალურ დათვალიერებას. გვამის ახლოს ნახულ იქნა უხეში ძაფით ნაქსოვი ტომარა, რომელიც ზურგზე ჰქონია მოკიდებული შემაბერიძეს. მანქანის დაჯახების დროს ტომარა გაგლეჯილიყო.

შემთხვევა მომხდარა დილით ადრე. გზა, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, არ იყო ცენტრალური გზა. ამან საფუძველი მისცა გამოძიებელს ეფიქრა, რომ ამ ადგილას სხვა რაიონის მანქანა არ მოხვედებოდა და ადვილად შესაძლებელია მანქანა ყოფილიყო ახლო მდებარე სოფლის რომელიმე კოლმეურნეობისა. საბარგო მანქანის დადგენის მიზნით დავალება მიეცა რაიონული მილიციის განყოფილებას. იმავე დღეს მიღებულ იქნა ცნობა, რომ სოფელ კავთისხევის კოლმეურნეობის მძღოლს საბარგო მანქანა დაეყენებია თავის ეზოში და მარჯვენა ფრთას არემონტებდა. დაკითხულ იქნა აღნიშნული მანქანის მძღოლი თ. ჯ-ლი, რომელმაც განაცხადა, რომ მანქანის ფრთა მას დაუზიანდა გარაჟში შესვლის დროს, რადგან დაეჯახა იქვე მდგარ რკინის კასრს. შემოწმებულ იქნა რკინის კასრი და მასზე მართლაც აღმოჩნდა დარტყმის კვალი. შეკითხვაზე, თუ სად იმყოფებოდა იგი დილით, მძღოლმა განაცხადა, რომ მეუღლე წაიყვანა მეზობელ სოფელში და იმ გზაზე, სადაც შემთხვევა მოხდა, სულ არ უვლია. დაკითხულმა მოწმეებმა ჯ-ლს დაუდასტურეს აღიბი. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გამოძიებელი მაინც განაგრძობდა ძიებას. ვადაწყვიტა მოეხდინა ჯ-ლის მანქანის დეტალური დათვალიერება. მანქანის დათვალიერების დროს მისი ფრთის მარჯვენა ნაპირზე ნახულ იქნა უხეში ძაფის ნაწყვეტები, რაც გამოძიებელმა ამოიღო და საქმეს დაურთო. როგორც ნივთმტკიცება.

შეკითხვაზე, თუ როგორ მოხვდა მანქანის ფრთაზე ეს ძაფები, მძღოლმა გამოძიებელს უპასუხა—მანქანას მარლის ნაჭრით წმენდს და ალბათ გაწმენდის დროს შერჩაო.

შემთხვევის ადგილზე ნახული დახეული ტომარი და მანქანის ფრთაზე აღმოჩენილი ძაფის ნაწყვეტები გაგზავნილ იქნა კრიმინალისტურ ექსპერტიზაზე. კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნით მანქანის ფრთაზე აღმოჩენილი უხეში ძაფი არ იყო მარლის ნაჭრის, იგი შემთხვევის ადგილზე ნახული ტომრიდან იყო ამოგლეჯილი დაჯახების დროს. ექსპერტიზის დასკვნა წარედგინა მძღოლ ჯ—ლს, რის შემდეგ იგი იძულებული გახდა ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა.

ასევე კარგად იყო გამოყენებული კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი თ. ზავალნიუკის მკვლელობის საქმეზე (ოჩამჩირის რაიონის პროკურატურა), ვ. როდინის მკვლელობის საქმეზე (თელავის სარაიონო პროკურატურა), ს. ვაჩიბერიძის მკვლელობის საქმეზე (ქუთაისის საქალაქო პროკურატურა), სულაშვილის და სხვათა ყაჩაღური თავდასხმების საქმეზე (სიღნაღის რაიონის პროკურატურა) და ა. შ.

მაღალ დონეზე ჩატარებული გამოძიებისა და განსაკუთრებით საშიშ და-

ნაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეულ წარმატებისათვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მადლობა დაიმსახურეს ოჩამჩირის რაიონის პროკურორმა ა. ტ. ემუხვარმა, გამომძიებელმა შ. ვ. ჩოლოკუამ, სიღნაღის რაიონის პროკურორმა ი. ბურდულაძემ, უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა ვ. მასურაშვილმა, და სხვ. საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით მადლობა გამოეცხადათ ამბროლაურის სარაიონო პროკურატურის გამომძიებელ ა. ი. წულუკიძეს, ხაშურის სარაიონო პროკურატურის გამომძიებელს ამხ. ს. ა. ბერძენიშვილს, წყალტუბოს რაიონის პროკურორს ამხ. ნ. დ. ინოზემცევს და პროკურორის თანაშემწეს ამხ. დ. მ. ვაშაკიძეს, ყვარლის რაიონის პროკურორს ამხ. შ. ზ. მერაბიშვილს, გამომძიებელ ამხ. გ. ბანტურიძეს და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართებით ყველაფერია გაკეთებული და ყველაფერი რიგზეა. როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გაუხსნელია მთელი რიგი სერიოზული დანაშაული. ეს ავადებს საგამომძიებლო დარგის მუშაკებს კიდევ უფრო აიმაღლონ თავიანთი პროფესიული ოსტატობა და შეისწავლონ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გამოძიების მეთოდთა რაც დამუშავებულია საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერების მიერ.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების მუშაკებსაც ევალებათ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ გამომძიებლების პროფესიული დონის ამაღლებას. საჭირო იქნება მომავალში უფრო მეტი პრაქტიკული დახმარების გაწევა გამომძიებლებისათვის და უშუალოდ ჩარევა განსაკუთრებით რთულ და სერიოზულ საქმეთა გამოძიებაში მათი აღძვრის მომენტიდან.

უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს გამომძიებლების შემოწმება იმ მიმართულებით, თუ როგორ მუშაობენ ისინი კრიმინალისტიკის საკავშირო ინსტიტუტის მიერ გამომძიებლებისათვის გამოცემული მეთოდოლოგიური ლიტერატურის შესასწავლად.

უნდა მოეწყოს აღნიშნული ლიტერატურის მკითხველთა კონფერენციები, რაც დღემდე არ გაკეთებულა და რაც ჩვენი მუშაობის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. სემინარებთან ერთად შემოღებულ უნდა იქნას კრიმინალისტიკის კაბინეტში გამომძიებლების ერთპიროვნული სტაჟირება, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროკურატურის ორგანოების წინაშე დგას მეტად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა. საგამომძიებლო დარგის მუშაკების კვალიფიკაციისა და ცოდნის სისტემატური ამაღლების საფუძველზე უნდა მივალწიოთ იმას, რომ არცერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი და არცერთი უდანაშაულო არ მოხვდეს ბრალდებულის სკამზე.

ი. ჟორდანი

საქ. სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტიკის



სრულყოფილად გამოვიყენოთ კრიმინალისჯგრი უქსპერტიზის შესაძლებლობანი

კრიმინალისტური ექსპერტიზა, როგორც სასამართლო ექსპერტიზის ერთ-ერთი სახე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას ასრულებს. იგი, სპეციალური ცოდნით შეიარაღებული, იყენებს რა თავის საქმიანობაში ფსიქოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემებს, დიდ დახმარებას უწევს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს დანაშაულის გახსნის საქმეში. დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი კი პირდაპირაა დაკავშირებული მის სწრაფად და ხარისხიანად გახსნასთან. კრიმინალისტური ექსპერტიზის როლი ჩვენს პრაქტიკაში დღითიდღე იზრდება. თუ წინათ სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები არცთუ ისე ხშირად მიმართავდნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი სახის მტკიცებას, დღეს შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა იმ სისხლისა და სამოქალაქო საქმის განხილვა-გამოძიებისას, რომლის დროსაც საჭიროა ექსპერტიზის დანიშვნა, მეცნიერული გამოკვლევის ეს დარგი გამოყენებულია მთელი თავისი შესაძლებლობით.

კრიმინალისტური ექსპერტიზა, სასამართლო ექსპერტიზის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, ყველაზე უფრო მრავალფეროვანი და რთულია და თუ, მაგალითად, ბუხმალტრული ექსპერტიზის გამოკვლევის საგანს საბუხმალტრო საბუთები წარმოადგენენ, ხოლო სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზა ძირითადად ადამიანის (ცოცხალისა, გვამის) და მისი ნაწილების შესწავლა-შემოწმებით შემოიფარგლება, კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოსაკვლევია ობიექტების რიცხვი მეტად დიდია. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს ხელის (წერაში), ბეჭდის, იარაღის, მასრისა და ტყვიის, ფოტოსურათების, თითის ანაბეჭდების, ფეხის კვალის, კლიტების და სხვა ობიექტების შესწავლა-გამოკვლევასთან.

ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო-პროკურატურის მუშაკები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძირითადად კარგად იყენებენ კრიმი-

ნალისტური ექსპერტიზის შესაძლებლობებს, საკმარისად იცნობენ ექსპერტიზის დანიშვნისა და შეფასების საკითხებს და, რაც მთავარია, მათ შესწავლილი აქვთ სსრკ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემული ინსტრუქცია კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისათვის მასალების გაფორმებისა და შეგროვების შესახებ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალისტური ექსპერტიზის დანიშვნისა და მისთვის საჭირო მასალების შეგროვება-გაფორმების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი:

1. არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზას ნიშნავენ ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ყოველგვარი საქსპერტო გამოკვლევის გარეშე შეიძლება. მაგალითად:

ქ. თბილისის ეკოვის რაიონის პროკურატურამ დანიშნა ექსპერტიზა იმის დასადგენად, თუ რომელი რაიონის დასახლება იყო ჩაწერილი მელნით ქვითრების ასლებზე არსებული შტამების ანაბეჭდებში, იმ დროს როდესაც აღნიშნულ ანაბეჭდებზე გარკვევით (შეუიარაღებელი თვალით) იკითხებოდა სიტყვა „სტალინი“.

1957 წელს ქუთაისის ქალაქის პროკურატურამ ს-ის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით გამოტანილ დადგენილებაში დასვა საკითხი — ს-ის შრომის წიგნაკში და დახასიათებაზე დასმული იყო თუ არა ერთერთი ვაჭრობის სამმართველოს მრგვალი ბეჭედი, მაშინ როდესაც ბეჭდებისა და ნიმუშების ტექსტებში არსებითი განსხვავება იყო. ანალოგიურ ფაქტებს აღვილი ჰქონდა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურისა და სხვათა პრაქტიკაში.

ორივე დასახლებულ შემთხვევაში გამოძიებულს საკმარისი იყო ჩატარება ხსენებული საბუთების დათვალეირება, შეიღვინა სათანადო აქტი და უკეთეს შემთხვევაში დაერთო ამ აქტისათვის ფოტოსურათები, რაც არ გამოიწვევდა ზედმეტი დროის დახარჯვას.

2. ზოგჯერ სასამართლოსა და პროკურატურ-

რის მუშაკები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ იურიდიულ და საექსპერტო ხასიათის საკითხებს, ზუსტად ვერ ერკვევიან იმაში, თუ რა საკითხი შეიძლება გადაწყდეს კრიმინალისტური ექსპერტიზის საშუალებით. აღნიშნულის დასადასტურებლად მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1955 წლის ნოემბერში ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურამ ექსპერტიზის ჩასატარებლად გაგზავნა დანა. გამოძიებელმა დადგენილებაში ასეთი კითხვა დასვა: „საქმეზე არსებული ნივთმტკიცება—საეკვი დანა წარმოადგენს თუ არა ცივ იარაღს და ზომ არ იმყოფება იგი მალაზიაში სარეალიზაციოდ“. უდაოა, რომ კითხვა—„იმყოფება თუ არა დანა მალაზიაში სარეალიზაციოდ“ ექსპერტმა არ უნდა გადაჭრას, რადგან ამისათვის არავითარი მეცნიერული ანალიზი არ არის საჭირო.

3. გურჯაანის რაიონის პროკურატურამ კ-ის ბრალდების საქმეზე ექსპერტიზის წინაშე ასეთი საკითხი დასვა: „ბრალდებულ ი. კ-ის ვენახში არსებული მუხის სარები და დაზარალებულ თ. კ-თან არსებული მუხის სარები არის თუ არა ერთი და იმავე ადგილის ზონაში მოჭრილი, ხომ არ არის ერთ-ერთი მათში მოჭრილი და მეორე დაბლობ ადგილას, ალანის მიდამოებში“? ამ საკითხს თვით ხეტყის გამოჩენილი სპეციალისტები თუ გადასჭრიან, თორემ კრიმინალისტური ლაბორატორიის ექსპერტებს კი, ცხადია, მისი გადაჭრა არ შეუძლიათ და ეს არც შედის მათ მოვალეობაში.

4. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები საექსპერტოდ დანის გამოგზავნის შემთხვევაში ექსპერტს ავალბებენ გადაწყვიტოს—ხომ არ არის ეს დანა ისეთი ცივი იარაღი, რომლის ტარებაც ისჯება სსკ 202 მუხლით, მაშინ როდესაც ექსპერტიზას შეუძლია მხოლოდ იმის გადაჭრა, მიეკუთვნება თუ არა წარმოდგენილი დანა ცივი იარაღის კატეგორიას.

დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრა ექსპერტს, ცხადია, არ ევალება.

5. აზერბაიჯანის სსრ ერთ-ერთი რაიონის პროკურატურამ დადგენილებაში ასეთი კითხვა დააყენა.— „ანონიმური წერილის ტექსტი და წერილის მეორე მხარეზე დახატული კარიკატურა შესრულებულია თუ არა ერთი და იგივე პირის მიერ“. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

კრიმინალისტურ ექსპერტიზათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ხელისა და ხელმოწერის, ანუ ე. წ. გრაფიკული ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგენილ იქნას ტექსტისა და ხელმოწერის შემსრულებელი პიროვნება ხელის (წერაში) ნიშნების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ


არა მარტო ჩვენი ლაბორატორიის პრაქტიკაში, არამედ სსრ კავშირის ყველა ლაბორატორიაში ექსპერტიზის ეს სახე მთელი გამოკვლევების თითქმის 80% შეადგენს. გრაფიკული ექსპერტიზა მრავალნაირი დანაშაულის გახსნის გავრცელებულ მეთოდია. იგი დიდ მნიშვნელობას დებულობს სამოქალაქო საქმეების მიმართ, როგორც დროსაც, მაგრამ ძირითადად დანაშაულის გახსნის მიზნით. გამოიყენება ისეთი სოციალურად საშიში დანაშაულის გახსნის მიზნით, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობა.

აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებით შევჩერდეთ ექსპერტიზის ამ სახეზე და ხაზგასმით აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც გვხვდება სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობაში ექსპერტიზისათვის საჭირო მასალების შეგროვებისა და გაფორმების დროს.

ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა ძირითადად კარგად შეისწავლეს ეს საკითხი და ამ მხრივ შეცდომებს მათთან ნაკლებად ვხვდებით. ამას უდავოდ იმან შეუწყო ხელი, რომ სავამომძიებლო განყოფილება და მისი კრიმინალისტიკის კაბინეტი სისტემატურად ატარებენ გამოძიებელთა სემინარებს სადაც კრიმინალისტური ექსპერტიზის შესაძლებლობათა და მასალების შეგროვება-გაფორმების საკითხს ყოველთვის დიდი ყურადღება აქვს დათმობილი.

უფრო სუსტად არის დაყენებული კრიმინალისტური ექსპერტიზის გამოყენების საქმე სახალხო სასამართლოების მუშაობაში. ამას დასადასტურებლად საკმარისია იმ ფაქტის მოყვანა, რომ 1956 წელს ლაბორატორიაში საექსპერტოდ შემოსულ 111 საქმიდან 28 შეჩერებული იქნა სრულყოფილი მასალების უქონლობის გამო, 22 საქმე კი საერთოდ უკან დაუბრუნდა სასამართლო ორგანოებს შეუსრულებელი სახით, რაც საერთო ჯამში თითქმის 50% შეადგენს. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1957 წელშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ქ. თბილისის ორჯონიკიძის და 26 კომისიის რაიონების, სამტრედიის, ჭიათურის, ქობულეთის და სხვ. სახალხო სასამართლოები. მაგალითად, 1956/57 წლებში ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოდან შემოსული 18 საქმიდან, 12 საქმე არასრულყოფილი მასალით იქნა წარმოდგენილი, სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოდან შემოსული 10 საქმიდან ათივე უკან იქნა დაბრუნებული ან შეჩერებული იმის გამო, რომ ამ საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე თარგმნილია ინსტრუქცია კრიმინალისტური ექსპერტიზისათვის საჭირო მასალების გაფორმებისა და შეგროვების შესახებ და 1956 წელს ლაბორატორიის მიერ გამოცემულია კრებული, სადაც სპეციალურად არის გაშუქებული აღნი-



შნული საკითხები, რაც გაეგზავნა ყველა რაიონის სახ. სასამართლოს, ნაკლოვანებანი ჯერჯერობით მაინც დიდი რაოდენობით მოგვებო- ვება. ამასი ერთჯერაი ბრალი მიუძღვის საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროსაც, რომელიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს კრიმინალისტური ექსპერტიზის საკითხებს. მოსამართლეების სემინარებზე და ზონალურ თათბირებზე იშვიათად მონაწილეობენ ლაბორატორიის მუშაკები ლექციებთა და მოხსენებებით. სასამართლოთა მუშაობაში კრიმინალისტური ექსპერტიზის დანიშნვის საკითხში არსებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რის შეუსაბამო ჩვენ ზმირად ვაყენებთ საქმის კურსში საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების განყოფილებას, სამინისტროს არცერთი სადირექტივო წერილი არ დაუშვია.

შეგვირდეთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს სახალხო მოსამართლეთა მუშაობაში ექსპერტიზის დანიშვნისა და საჭირო მასალების შეგროვება-გაფორმების საქმეში:

1. 1957 წლის 1 ოქტომბერს. ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოდან ხელმოწერების კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოვიდა სამოქალაქო საქმე სოფ. აჭყვისთავის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სარჩელისა გამო მოქ. ჯემალ სულეიმანის-ძე ანანიძესთან. სასამართლოს დადგენილებიდან და აგრეთვე მომარტვიდანაც არ ჩანდა, რომელი საბუთი იყო სადაო და რომელი ნიმუში, ამიტომ საქმე უკან დაუბრუნდა სასამართლოს შეუსრულებელი სახით, თანაც მიეთითა, რომ მასალების ხელმოგრედ გადმოგზავნის შემთხვევაში შეევსო ეს ხარვეზი და დადგენილება გამოეტანა თანახმად ინსტრუქციისა. ა/წ. 12 ოქტომბერს ანანიძის სამოქალაქო საქმე კვლავ შემოვიდა ლაბორატორიაში და ამჯერადაც არ იყო სრულყოფილი სასამართლოს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რის გამოც მისი ჩატარება შეჩერდა და სასამართლოს გაეგზავნა მეორე წერილი, რათა ახლა მაინც შეესრულებია ლაბორატორიის მითითება.

აღნიშნული სახის დარღვევა, სამწუხაროდ, ერთეული შემთხვევა არ არის. კრიმინალისტური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებათა გარკვეული ნაწილი უზარისხოდგა შედგენილი და მათ საფუძველზე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი ხდება.

სასამართლოს და პროკურატურის მუშაკებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ახსოვდეთ, რომ დადგენილება, რომელიც ექსპერტიზის ჩატარების საფუძველია, სრულყოფილი და გასაგებად უნდა იყოს შედგენილი, მასში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული მთელი რიგი მონაცემები, როგორცაა: გამოსაკვლევი ობიექტებისა და ნიმუშების ზუსტი დასახელება, კითხვები, რომლებზედაც პასუხი უნდა გასცეს ექსპერტმა, საქმის მოკლე შინაარსი და სხვ.

2. 1957 წლის 15 აგვისტოს. ხელმოწერების

ექსპერტიზის ჩასატარებლად ქ. ფხვისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოდან შემოვიდა სამოქალაქო საქმე მარიამის სარჩელისა გამო ბერიშვილთან. ბერიშვილის სადაო (გამოსაკვლევი) ხელმოწერა შესრულებული იყო რუსულ ენაზე, წარმოდგენილი ნიმუშები კი ქართულ ენაზე. მათ საფუძველზე შეუძლებელი იყო შედარებით კვლევის ჩატარება, რის გამოც საქმე უკან გაეგზავნა სასამართლოს შეუსრულებელი სახით.

გასული წლის 28 სექტემბერს ბერიშვილის სამოქალაქო საქმე კვლავ შემოვიდა ლაბორატორიაში და კვლავ მასალების არასწორად გაფორმების გამო მეორედ დაუბრუნდა სასამართლოს.

ეს მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ ჯერ ერთი, მოსამართლეს „მხედველობიდან გამოჩნა, რომ რუსულ ნაწერის ქართულთან შედარება არ შეიძლება და მეორე, თვენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში სამოქალაქო დავა ვერ იქნა გადაწყვეტილი ექსპერტიზის უზარისხოდ დანიშვნის გამო. რამაც მხარეთა უმეყოფილება, საქმის გაკვიანურება და საჩივართა ვაზრდა გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კურობიზული სახის დარღვევებს იშვიათად როდი ვხვდებით, მას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, იმავე ორჯონიკიძის რაიონის სასამართლო პრაქტიკაში ხანიშვილისა და გაბაშვილის სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით და სხვ. ორივე ამ ფაქტის შესახებ ეცნობა საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების განყოფილებას.

3. 1957 წლის ივლისში ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოდან შემოსულ სამოქალაქო საქმეში აფხაზავას სარჩელისა გამო ჭყონისთან, გადასაწყვეტი იყო საკითხი ორ ხელწერაზე: შესრულებული იყო თუ არა ხელმოწერები ავით ს. რ. ჭყონის მიერ? ამ საკითხის გადასაწყვეტად ნიმუშის სახით წარმოდგენილი იყო ჭყონის მხოლოდ ერთი ხელმოწერა და ისიც სასამართლოს უწყებაზე. ერთი ნიმუშით. ცხადია, შეუძლებელი იყო ექსპერტიზის ჩატარება, რის გამოც სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის სასამართლოს საკმარისი ვადა ჰქონდა მიცემული, მან არ გამოგზავნა ნიმუშები, ამის გამო აღნიშნული სამოქალაქო საქმე სასამართლოს დაუბრუნდა შეუსრულებელი სახით. ამ ფაქტის შესახებაც სპეციალური წერილით ეცნობა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრს.

კრიმინალისტკაში მიღებულია დებულება, რომ ხელის (წერაში) და ხელმოწერების კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებმა, გარდა სადაო საბუთებისა, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ შედარებით კვლევისათვის ხელისა (ნაწერი) და ხელმოწერის ნიმუშები. ნიმუშები, ორი სახისაა, თავისუფალი და ექს-

პერიმენტული. თავისუფალს ეძახიან ისეთ ნიმუშს, რომელიც შესრულებულია ექსპერტიზასთან დაკავშირებული საქმის აღძვრამდე, ამ საქმის გარემოებასთან კავშირის გარეშე. ასეთი სახის ნიმუშებს აღმოვაჩინეთ: ავტობიოგრაფიაში, პირად საქმეში, ხელფასის უწყისებზე, ფაქტურებზე და საფინანსო დოკუმენტებზე, პირად და სამსახურებრივ მიმოწერებში და სხვ. ექსპერტიმენტული ნიმუშები — ეს ის ტექსტები და ხელმოწერებია, რომლებიც სპეციალურად სრულდება ექსპერტიზისათვის და მისთან დაკავშირებულია, შესრულებულია კარნახით ან დამოუკიდებლად და სხვ. შესადარებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს ორივე სახის ნიმუშები რაც შეიძლება დიდი რაოდენობით. თავისუფალი ნიმუშები უნდა შეესაბამებოდნენ სადაო ხელმოწერებსა და ტექსტებს ენის მიხედვით, აგრეთვე საწერი ხელსაწყოთი და დაწერის პერიოდით.

სრულყოფილი ნიმუშების წარმოდგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებმა, რადგანაც ექსპერტიზის შედეგი და ხარისხიანობა მთლიანად დამოკიდებულია ნიმუშების რაოდენობასა და ხარისხზე.

4. ექსპერტიზის ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გადასაწყვეტი საკითხების სწორად და გასაგებად დაყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა სავსებით ნათელია, სამწუხაროდ ჩვენ ამ მხრივაც ვხვდებით მთელ რიგ დარღვევებს. ზოგიერთ დადგენილებაში კითხვა ან საერთოდ არ არის დაყენებული ან ისეა დაყენებული, რომ გაუგებარი ზდება, თუ კონკრეტულად რა საკითხის გადაწყვეტა აინტერესებს სასამართლოს ან გამოძიებელს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 1957 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის ორკონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოდან შემოსულ მასალებში ბანდურაშვილის საქმეზე სასამართლოს დადგენილებაში დასმულია კითხვა: „კალიგრაფ ექსპერტმა შეამოწმოს— აქვს თუ არა ხელით ჩამატებული და ეკუთვნის თუ არა მოზასუხე ბანდურაშვილს სიტყვა ორი და რიცხვი ორი“. სასამართლოს არ მიუთითებია იმაზე, თუ რომელ საბუთზეა მოთვსებული ეს გამოსაკვლევი ობიექტები.

კითხურის სახალხო სასამართლოს მიერ ლ. ა. გელაშვილის საქმეზე გამოტანილ დადგენილებაში კითხვა ასეა დასმული— „ეკუთვნის თუ არა ხელმოწერა ცერცვაძეს ხელწერილზე“ და ა. შ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ექსპერტიზა ვერ ჩატარდებოდა. აღნიშნული მასალები სამართლიანად დაუბრუნდათ სასამართლებს შეუსრულებელი სახით.

დასასრულ, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: დადგენილებების გარკვეულ ნაწილს ასეთი სათაური აქვს: „დადგენილება კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ“, ლაბორატორიის სახელზე გამოგზავნილ მთავრებში და თვით დადგენილებებშიც ხშირად ვხვდებით ტერმინებს „ექსპერტ კალიგრაფს“, „გრაფოლოგს“ და ა. შ. ეს გარემოება შეიძლება ხელს არ უშლიდეს ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ იმდენად რამდენადაც ასეთი ტერმინების ხმარება აშკარად არასწორია, საჭიროა ორიოდ სიტყვით მაინც შეგვირდეთ მათზე. საბუთების გამოკვლევის დარგში კალიგრაფიული, გრაფოლოგიური, გრაფომეტრიული და ნიშანთა აღწერილობითი მიმართულებანი ბუჩქუაზით მიმართულებებს წარმოადგენენ. კალიგრაფები (მხატვრები, ლიტოგრაფიისა და ტოპოგრაფიის მუშაკები, ბანკის მუშაკები და სხვ.) გამოსაკვლევ საბუთებში ეძებდნენ ასოების საერთო მსგავსებას და მას ეყრდნობოდნენ. გრაფოლოგები „ამტყიცებდნენ“ ნაწერის მიხედვით დამწერი პირის ხასიათის გაგების შესაძლებლობას, გრაფომეტრია ძირითადად გაზომვას ეყრდნობოდა და სხვ. ვიმეორებთ, რომ ამ ცრუმეცნიერულ მეთოდებზე აგებულ ექსპერტიზას არავითარი კავშირი არა აქვს საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერებასთან. ეს უკანასკნელი, ეყრდნობა რა მარქსისტული დიალექტიკის ძირითად საწყისებს, შეისწავლის ხელის (წერაში) მთლიან მექანიზმს, რის საფუძველზე ექსპერტ-კრიმინალისტს შეუძლია სწორად და მეცნიერულად გადაწყვიტოს საკითხი.


ო. აგვლაძე,

საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის საკვლევო-სამეცნიერო კრიმინალისტიკის ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.

აღმოვხსნაკომ სოხილისოური კანონიერების დაკლვისი უაქვები

პროკურატურის ორგანოები ახორციელებენ უმაღლეს ზედამხედველობას კანონების ზუსტად შესრულებაზე ყველა სამინისტროსა და უწყების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აგრე-

თვე თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ. პრაქტიკულად ონიშნული ზედამხედველობა ხორციელდება სამინისტროთა და უწყებათა ბრძანებებით, აღმასკომთა გადაწყვეტილებების (ასევე მათი განყოფილებების ბრძანებების), კოლმეურნეობების ფაგეობათა და საერთო კრებების და სხვა ორგანიზაციათა ოფიცია-



ლური დოკუმენტების კანონიერების შემოწმებით.

როგორც საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებები გვიჩვენებს, კანონის დარღვევის ხშირ შემთხვევას ადგილი აქვს კოლმეურნეობებში, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ. აღნიშნულ წერილში მე მინდა შევეხო ამგვარი დარღვევების ერთ-ერთ სახეს.

რესპუბლიკის მიერ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ უხეშად არღვევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებას „კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ნათესო წანახედი-სათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამის შედეგად ხშირად ფუჭდება ნათესი და ნარგავები, ხოლო დამნაშავეთა მიმართ არ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. კოლმეურნეობები ზოგჯერ თვითნებურად ნათესთა წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმის დადების საკითხში, სასოფლო, საღაბო და რაიონული საბჭოები კი სათანადოდ არ ეხმარებიან დარღვევებს და თვითონაც ამახინჯებენ კანონს.

მაგალითად, ყვარელის რაიონის სანავარდოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო-საბჭოს აღმასკომმა 1957 წლის 10 მაისის დადგენილებით საკოლმეურნეო ნათესების წანახედებისათვის პირუტყვთა მეპატრონეებს. ვ. ჯიოევს, ქ. მარჯიევს, ლ. ქუმარიტოვს, მ. გაგლოევს, რ. გაბაევს და სხვებს თვითონ დააწერა ჯარიმის სახით 15—100 კ/გრამამდე ხორბალი, თუმცა კანონით არ არის გათვალისწინებული ნატურალური სახის ჯარიმა და ზარალის ანაზღაურება.

ხსენებულ სასოფლო საბჭოს აღმასკომს იმავე წლის მარტის, აპრილის და ივნისის თვეებში 5-ჯერ აქვს გამოტანილი წანახედების გამო კანონსაწინააღმდეგოდ დადგენილებები. ყვარლის რაიონის პროკურორის შ. მერაბიშვილის პროტესტების საფუძველზე ხსენებული უკანონო დადგენილებები გაუქმებულია მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ გასული წლის 31 აგვისტოს № 306 დადგენილებით. ამავე დადგენილებით მშრომელთა დეპუტატების სანავარდოს სოფსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნინიევი დასჯილია დისციპლინური წესით.

არასწორი დადგენილებები გამოჰქონდა აგრეთვე ხაშურის რაიონის წაღვლის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომს. მაგალითად, გასული წლის 25 აპრილის და 25 ივნისის დადგენილებებით მსხვილფეხა პირუტყვის მეპატრონეებს—ა. სულაბერიძეს, დ. ხარაზიშვილს და სხვებს მან დააწერა პირველ შემთხვევაში ჯარიმა 25 მანეთის რაოდენობით თვითეულს, ხოლო განმეორების დროს 50 მანეთი, თუმცა კანონში პირდაპირ

არის დაწესებული მსხვილფეხა პირუტყვისათვის 50 მანეთი ჯარიმა, ხოლო განმეორების შემთხვევაში ასეთის ორმაგი რაოდენობით გადასდევნიება.

აღმასკომის მხრივ კანონის შესრულებისადმი უყურადღებობა იწვევს იმას, რომ კოლმეურნეობებშიც წანახედებთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტენ თავისი შეხედულებისამებრ, კანონის გვერდის ავლით.

მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლის კოლმეურნეობის გამგეობამ 1957 წლის 3 ივლისს მიიღო დადგენილება, რომლითაც მოძოვილი ნათესების ასანაზღაურებლად 24 კოლწევრს დაწერათ გადასახდელად 10-დან 80 კ/გრამამდე ხორბალი. ასეთივე ხასიათის დადგენილებები მიღებული აქვს ამ კოლმეურნეობას გასული წლის 29 აპრილს, 10 მაისს და 10 ივნისს.

მსგავს მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებშიც.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამახინჯებს რა კანონს, ზოგიერთი კოლმეურნეობათვითონ აწესებს სასჯელს ამა თუ იმ დარღვევისათვის.

ქარელის რაიონის სოფ. ქვენატკოცის და გეგეჭკორის რაიონის სოფ. ვედიკარის კოლმეურნეობებმა თავიანთი დადგენილებებით დაკანონეს, რომ ნათესებში განმეორებით დაკავებული პირუტყვი ჩამოერთვას პატრონებს და გადაეცეს დამზადების ორგანოებს. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პიდარეთის კოლმეურნეობის გამგეობამ დააწესა ჯარიმა 200 გრამი ხორბლის რაოდენობით საკოლმეურნეო ნათესებში დაჭერილ თითო ფრთა ბატზე.

კანონსაწინააღმდეგოდ დადგენილების საილუსტრაციოდ მოგვეყავს კაჭრეთის რაიონის სოფ. მელაანის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების მიერ 1957 წლის 30 მარტს მიღებული დადგენილება (შესწორებულია სტილისტურად):

„პირადი სარგებლობის პირუტყვის მიერ კოლმეურნეობის ნათესთა წანახედისათვის დაწესდეს შემდეგი სახის ჯარიმები:

1. სახეღარზე — პირველად 25 მან., მეორედ 50 მან., მესამედ ჩამორთმევა;
2. ცხენზე — პირველად 50 მან. მეორედ 100 მან. მესამედ ჩამორთმევა.
3. ღორზე — პირველად 25 მან, მეორედ 50 მან.; მესამედ ჩამორთმევა;
4. მსხვილფეხა პირუტყვზე — პირველად 50 მან., მეორედ 100 მან, მესამედ ჩამორთმევა;
5. თხასა და ცხვარზე — პირველად 15 მან., მეორედ 30 მანეთი, მესამედ ჩამორთმევა;
6. ფრინველზე — პირველად 5 მან., მეორედ 10 მან. მესამედ ჩამორთმევა.
7. წახდენილი ნათესების რაოდენობა დეფროს მწყემსებს და, გარდა ამისა, დაჯარიმ-

დნენ ისინი პირველად 50 მანეთით და მეორედ 100 მანეთით. დაწესდეს, რომ თუ წანახელვს აქტია შედგენილი, მეგვლეს არაფერი დაეწეროს, ხოლო უარყოფით შემთხვევაში დაეწეროს მას ზარალი“.

ამ სახის დარღვევებს გასული წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ახალქალაქისა და გორის რაიონებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური დარღვევების აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1956 წლის 11 მაისს მიღებული აქვს სპეციალური დადგენილება, ზემოთ მოხსენებული ორგანიზაციები არ აქცევენ სთანადო ყურადღებას ამ სერიოზულ საკითხს. აღსანიშნავია ისიც, რომ არ წარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა კანონის დარღვევათა აცილების მიზნით, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება, როგორც ფაქტიური მასალები გვიჩვენებს, ადგილებზე არასწორად არის გაგებული, განსაკუთრებით ზარალის განსაზღვრისა და ჯარიმის დადების საკითხში. უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილებიან მხოლოდ ჯა-

რიმების დადებით, მაშინ როცა სხვაგვარად ბრძანებულებაში, უპირველეს ყოვლისა, ხან-განხან აღნიშნულია ზარალის ანაზღაურება.

შეამოწმა რა აღნიშნული მდგომარეობა, საქართველოს სსრ პროკურატურამ დააყენა საკითხი საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა განხილულ იქნეს ეს საკითხი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით. მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის მარტო ეს არ კმარა. ჩვენის აზრით, საჭიროა ადგილებზე გაძლიერდეს იურიდიული პრობანდა, განმარტებულ იქნას ადგილობრივი პრესის ფურცლებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შინაარსი და მისი სწორად განხორციელების პირობები.

პროკურატურის ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ საზედამხებველო მუშაობა კანონიერების მტკიცედ და ზუსტად გატარების მიზნით.

8. გიორგოზიანი,

საქ. სსრ პროკურატურის საერთო ზედამხებველობის განყოფილების პროკურორი.

აქვანალოთ სსსარტლო პროცესის კულტურა

სასამართლოს სამსჯავრო პროცესის კულტურულად ჩატარებას დიდი პოლიტიკური აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი არის სამართალში მიცემულთა ბრალეულობის გადაწყვეტის უკანასკნელი სტადია. რაც უფრო ორგანიზებულად და კულტურულად ჩატარდება სასამართლო პროცესი, მით უფრო მეტი იქნება დამსწრე აუდიტორიის წინაშე მისი ავტორიტეტი, მით უფრო ქმედითი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება და განაჩენი.

სასამართლოში საქმეთა განხილვას ესწრებიან არა მარტო ის პირები, რომლებიც საქმის გადაწყვეტის შედეგით არიან დაინტერესებული, არამედ ის პირებიც, რომლებსაც სურთ მოისმინონ სასამართლოს განაჩენი ან გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება, განაჩენი, სასამართლო პროცესი საერთოდ უდიდეს გავლენას ახდენს აგრეთვე დამსწრე საზოგადოებაზე.

სამართლიანად ამობოდა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი: „სასამართლო დიდ გავლენას ახდენს როგორც იმაზე, ვინც მიცემულია პასუხისმგებაში, აგრეთვე დამსწრეებზედაც. მოსამართლე, რომელიც კარგად, უნარიანად, პატივითა და ინტელისადაც საქმეს, ყოველთვის შეძლებს უზრუნველყოს სასამართლოს კარგი აუდიტორია. ხალხი მასთან მივა ყურის დასაგდებლად და სასწავლად“.

სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო სასამართლო პროცესის კულტურულად ჩატარების დიდი მნიშვნელობა. ასეთი დამოკიდებულების შედეგად 1957 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში შემოსულ განქორწინების საქმეთაგან 20 შერიგებით დამთავრდა. ამით სასამართლო შეძლო ოჯახების შენარჩუნება. კერძო ბრალდების საქმეები 66% შერიგებით დამთავრდა. ეს სასამართლოს დადებითი მუშაობის შედეგია.

სასამართლო პროცესის კულტურა ზოგჯერ სთანადო დონეზე არა დგას. ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა მოსამართლე საქმის განხილვის დროს უხეშად, ზოგჯერ ცინიკურადც ეპყრობა სამართალში მიცემულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამართალში მიცემული ჩვენებას ცვლის, ან უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. მოსამართლეს, რომელსაც სასამართლო პროცესი კულტურულად და უნარიანად მიყავს, საქმეში მონაწილე მხარეების დახმარებით შეუძლია ასეთი ხარვეზი არ დაუშვას და მტკიცედ უზრუნველყოს საქმეში მონაწილე ყველა პირის უფლებები და ინტერესები.

არის ზოგჯერ შემთხვევები, როცა სასამართლო პროცესზე მოსამართლე წინასწარ აგრძნობინებს თავის აზრს სამართალში მიცემულს, ამ გარემოებამ არ შეუძლია გავლენა არ

მოახდინოს მთელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე.

მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლოები სამსჯავრო სხდომებს ატარებენ თავიანთ სამუშაო კაბინეტებში და განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში თვითონ რჩებიან თავის სამუშაო ოთახში, დამსწრე პირებს კი წინადადებას აძლევენ გარეთ გავიდნენ და დაელოდონ განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანას. ასეთი პრაქტიკა აღკვეთილ უნდა იქნას. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს შემადგენლობა გადის სათათბიროდ და არა დამსწრეები დარბაზიდან.

უმართებულო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ სახელმწიფო ბრალდებისა და დაცვის წარმომადგენლებს შორის ადგილი აქვს უსაფუძვლო შეკამათებას, ზედმეტი რეპლიკების მიცემას; თვით ადვოკატები ზოგჯერ უპრინციპოდ ედავებიან ერთმანეთს, ამცირებენ საბჭოთა ადვოკატის ავტორიტეტს, მიმარ-

თავენ ერთმანეთს უხეში სიტყვებით: „მე შენზე მეტი სტაჟი მაქვს. შენ არაფერი გავგებება და სხვ.“ ასეთი დამოკიდებულება ლახავს არა მარტო მათ ავტორიტეტს, არამედ მთელი სასამართლოს პრესტიჟს.

უკანასკნელ დროს საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ რამდენჯერმე მიიღო დადგენილება სასამართლოს მუშაკების მხრივ მშრომელთაგან უხეში დამოკიდებულების აღკვეთისათვის. ასეთი უხეშობისათვის სასჯელი დაედო ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს სხდომის მდივანს ანს. კობახიძეს.

სახალხო სასამართლოების ამოცანა გამოავლინონ მშრომელთაგან კულტურული დამოკიდებულება არა მარტო სამსჯავრო სხდომაზე, არამედ მთელ თავის საქმიანობაში.

გ. შვენიჩული,

ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.



მითხვლით ცრიბყხა


სახალხო მეურნეობის სისჯავაჲი იურიდული სამსახურის განმგჱცხუბისათჱვის

წარმოება-დაწესებულებების იურისკონსულტი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სამეურნეო საქმიანობაში, დაინტერესებული უნდა იყოს მუშაობის ეკონომიური შედეგებით და ყოველმხრივ ეხმარებოდეს წარმოებას მნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხთა გადაწყვეტაში. ამ მხრივ მართებულია მოთხოვნა, რომელსაც სახალხო მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით უყენებენ იურისკონსულტებს. მათი ვალია წარმოების მთელი კოლექტივის წინაშე დააყენონ საკითხი სამეურნეო საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა და არაწარმადი ხარჯების ლიკვიდაციის შესახებ.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებელია, რათა საწარმოების იურიდიული დარგის მუშაკებს განეკუთვნოს სათანადო ადგილი, ღირსეული შეფასება მიეცეს იურიდიული სამსახურის დანიშნულებას და არ ხდებოდეს იურისკონსულტების როლისა და უფლებათა რაიმე შელახვა და შეუფასებლობა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ აქვს ადგილი ჩვენი მეურნეობის ზოგიერთ საწარმოში. სწორად აღინიშნა ჩვენს იურიდიულ პრესაში (ეურნელები — Советское государство и право“ და „Социалистическая законность“), რომ იურისკონსულტების საქმიანობა უყურადღებოდ არის მიტოვებული და არ არსებობს მათი საქმიანობის მათორგანიზებელი ცენტრი.

როგორც ცნობილია, სსრკ მინისტრთა საბჭომ თავისი 1949 წლის № 1586 დადგენილებით საჭიროდ მიიჩნია აღდგენილი ყოფილიყო იურისკონსულტის თანამდებობანი იმ სამეურნეო ორგანოებში, რომელნიც ხელშეკრულებათა დადებას აწარმოებენ.

მაგრამ მთავრობის ეს დადგენილება ზოგიერთ საწარმოს ხელმძღვანელებმა არამც თუ არ შეასრულეს, პირიქით, შტატების შემცირებისას დაიწყეს იურისკონსულტთა თანამდებობის გაუქმება. მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის ტრესტში, რომელიც ერთ-ერთ დიდსა და წამყვან სამრეწველო უბანს წარმოადგენს რესპუბლიკაში, შტატში სხვა ერთეულის შეტანის მიზნით მაინც დამაინც იურისკონსულტი შეამცირეს. ი. ბ. სტალინის სახელობის ა/კ მეტალურგიულ ქარხანაში, ქარხნის სამმართველო აპარატისათვის დასახულ შესამცირებელ ერთეულად რატომღაც იურისკონსულტის თანამდებობა იქნა მიჩნეული. მხოლოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის ენერგიული ჩარევის შედეგად შესაძლებელი შეიქნა ამ გაუქმებული თანამდებობის აღდგენა.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების დებულებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ იურისკონსულტები მათი უფლებებით გათანაბრებულნი არიან განყოფილებების უფროსებთან, ემორჩილებიან წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს და არ შედიან დაქვემდებარების მხრივ რომელიმე განყოფილებაში. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შემოწმებისას გამოირკვა, რომ იურისკონსულტები რატომღაც საფინანსო განყოფილების უფროს და უმცროს იურისკონსულტებად და ემორჩილებოდნენ საფინანსო განყოფილების უფროსს, რომელიც სრულიადაც ვერ ერკვეოდა იურიდიულ საკითხებში და დიდად ზღუდავდა იურიდიული დარგის მუშაკების საქმიანობას. სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს უფროსის განკარგულებით ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნა. ქარხანასთან შეიქმნა იურიდიული ჯგუფი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა ქარხნის დირექციას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ბევრი შედარებით მსხვილი საწარმოს შტატში დღემდე არ არის გათვალისწინებული იურისკონსულტის თანამდებობა. ამის გამო საწარმოთა ხელმძღვანელები იძულებული ხდებიან იურიდიული საქმეების წარმოებისათვის მოიწვიონ ადვოკატები იურიდიული კონსულტაციიდან ან ასეთი საქმეების შესრულება მიანდონ სხვა შემთხვევით პირებს და თანამშრომლებს, რომელნიც, ცხადია, ვერ უზრუნველყოფენ საწარმოს კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას. ბათუმის საკოფეინო ქარხნის დირექციამ, რომელსაც არა ჰყავს იურისკონსულტი და რომელიც დროგამოშვებით, მოწვეულ ადვოკატს ანდობდა იურიდიული საქმეების წარმოებას, რამდენიმე ხანდაზმული სარჩელი აღძრა ქ. თბილისის სტალინის რ-ნის სახ. სასამართლოში, სადაც ამის გამო საქმე წარმოებით მოიპოო, მიუხედავად ქარხნის სარჩელის საფუძვლიანობისა.

ზოგიერთ წარმოებაში იურისკონსულტთა მუშაობისათვის არ არის შექმნილი ნორმალური პირობები. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში იურიდიულ ჯგუფს მუშაობა უხდება მეტად ვიწრო და ჯანმრთელობისათვის მავნე პაწაწინა ოთახში, სადაც მობრუნებაც კი არ შეიძლება. თბილისის ელექტრომაგლების მშენებლობის ქარხანაში იურისკონსულტს არ ჰქონია შექმნილი ელემენტარული სამუშაო პირობები (არ ამარაგებდნენ საჭირო ინვენტარით და საკანცელარიო ნივთებითაც კი) და სხვ.

ბევრ ჩვენს წარმოება-დაწესებულებაში მომუშავე იურისკონსულტის ხელფასი უფრო მცირეა, ვიდრე სხვა იქ მომუშავე, ზოგ შემთხვევაში საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებისაც კი. დიდი სხვაობა არსებობს არა მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთი და იგივე დარგობრივი სამმართველოების წარმოებათა და დაწესებულებათა იურისკონსულტების, არამედ თვით სახ. მეურნეობის სამმართველოს იურისკონსულტთა ხელფასებს შორისაც, ადგილი აქვს სათანადო განაკვეთებით დადგენილი ხელფასების შემცირებას სხვა თანამშრომელთა ხელფასის გაზრდის მიზნით. ყოველივე ეს აძნელებს სახალხო მეურნეობის სისტემაში კვალიფიციური იურიდიული კადრების მიზიდვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ზემოთხსენებულ დებულებაში აღნიშნულია, რომ იურისკონსულტების პრაქტიკული საქმიანობის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და ისეთ საკითხთა გამოვლინებისათვის, რომელნიც უფლებრივ რეგულირებას მოითხოვენ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან უნდა ეწყობოდეს სისტემატური თათბირები, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი თათბირები არ მოწყობილა. იუსტიციის სამინისტროს ხაზით ხშირად ეწყობა სახალხო მოსამართლეების, სასამართლოს აღმასრულებლებისა და სხვათა თათბირები. ამ თათბირებზე რატომღაც არ იწვევენ წარმოება-დაწესებულებათა იურისკონსულტებს, რომელთაც შეუძლიათ მიუთითონ ბევრ ნაკლზე, მაგალითად, სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობაში.

სასამართლო ორგანოებში და უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიებში სახელმწიფო დაწესებულებათა საქმეები ზოგ შემთხვევაში თითქმის სხდომის ბოლოს ირჩევა, იურისკონსულტებს მთელი დღის განმავლობაში უხდებათ ლოდინი და მოწყვეტილი არიან მიმდინარე საქმიანობას.

ასევე შეიძლება ითქვას სასამართლო კანცელარიებიდან იურისკონსულტების მიერ საჭირო ცნობების მიღების შესახებაც.


არ არის დამყარებული კავშირი პროკურატურის ორგანოებსა და იურისკონსულტებს შორის, რაც სარგებლობას მოუტანდა საწარმოებში იურიდიული მომსახურების მაღალ დონეზე დაყენების საქმეს.

ჩვენს იურიდიულ პრესაში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში იურისტების მომზადება მოწყვეტილია სამეურნეო მშენებლობის საკითხებს. ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო პროცესი ისეა აგებული, თითქოს მის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს სპეციალისტების მომზადება მართო სასამართლო და პროკურატურის ორგანოებში მუშაობისათვის. ამის გამო ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა სპეციალისტი-იურისტი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა სწავლების კურსი, სრულიად არ იცნობს სახელშეკრულებო ურთიერთობის უმარტივეს საკითხებს, ვერ უზრუნველყოფს საწარმოს კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას. ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანატმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას, ხშირად მიავიღოს ისინი ჩვენს დიდ სამრეწველო უბნებზე, სამეურნეო საქმიანობასთან შეფარდებული იურიდიული მომსახურების პრაქტიკის შესწავლისათვის.

უურნალ „საბჭოთა სამართლის“ გამოცემის განახლება მეტად სასიხარულო მოვლენას წარმოადგენს სამართლის დარგის ყველა მუშაკთათვის და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იგი ხშირად გააშუქებს თავის ფურცლებზე წარმოება-დაწესებულებებში იურიდიული მომსახურების მდგომარეობისა და სწორად წარმართვის საკითხებს.

ნიკ. შამათელი,

საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უფროსი არბიტრი
იურიდიული ჯგუფის უფროსი.



ბოლო მოულოთ საქმის უსაფუძვლო ახილვას

ს. ქაჯაია

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოში აცილების წესით შემოსულ საქმეთა ანალიზი გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთი სახალხო მოსამართლე უსაფუძვლოდ იცილებს საქმეებს, მიუხედავად იმისა, რომ საქმის აცილების საკითხი რეგლამენტირებულია სსსკ 42—47-ე მუხლებით, სადაც გარკვევით მითითებულია თუ რა შემთხვევაში უნდა განერიდოს მოსამართლე საქმის განხილვას, უსაფუძვლო აცილება კი იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას, საქმეში მონაწილე პირთა ინტერესების შელახვას, ზემდგომი სასამართლო ორგანოების ზედმეტად გადატვირთვას და სახელმწიფო თანხების უმიზნო ხარჯვას.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (სახალხო მოსამართლე ამხ. დევდარიანი) 1957 წლის 7 დეკემბერს აიცილა გოგინაშვილისა და ბალიაშვილის ბრალდების საქმე იმ მოტივით, რომ გოგინაშვილმა განაცხადა — „ვინაიდან 1949 წელს გასამართლებული და დასჯილი ვიყავი ამავე სასამართლოს მიერ, არ მსურს ამჟამად ჩემი საქმე ამავე სასამართლომ განიხილოს“. ბალიაშვილმა კი განაცხადა — „ვინაიდან გოგინაშვილი წინააღმდეგია საქმის აღნიშნულ სასამართლოში განხილვისა, არც მე მსურს საქმე მოსმენილ იქნას ქარელის რაიონის სახ. სასამართლოში“.

დაბოლოს დაზარალებულმა შუბითიძემაც განაცხადა, რომ — „ვინაიდან სამსჯავრო გამოძიებას ესწრებიან მისი თანასოფლელები, მასაც აცილება აქვს სასამართლოზე“.

საქმის ასეთი მოტივით აცილება სსსკ 42 და 43 მუხლებით გათვალისწინებული არ არის და ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილება სასამართლოს მხრივ კანონის უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს.

მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 15 ოქტომბერს აიცილა თამლიანის ბრალდების საქმე იმის გამო, რომ დაზარალებულმა ხვისტანმა იშუამდგომლა — „რადგან საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიება სრულყოფილი არ არის, მე ეჭვი მეპარება სასამართლოს ობიექტურობაში“.

სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ უარეყო ასეთი კანონსაწინააღმდეგო შუამდგომლობა, უსაფუძვლოდ აიცილა საქმე, რის შედეგად საქმის განხილვა რამდენიმე თვით გაჭიანურდა.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 11 ოქტომბრის სამსჯავრო სხდომის დადგენილებით აცილებული იქნა ბუზალაძის ბრალდების საქმე.

საქმის აცილებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო სამართალში მიცემულის განცხადება: — „ვინაიდან საქმეში მონაწილე დაზარალებული არის სახალხო მსაჯული, ის გავლენას მოახდენს სასამართლოს შემადგენლობაზე“.

საქმის აცილების დასახელებული მოტივი კანონით გათვალისწინებული არ არის. გაუგებარია, თუ რა გავლენა უნდა მოეხდინა სასამართლოს შემად-

გენლობაზე მსაჯულს, მაშინ როდესაც ის საქმეში მონაწილეობას იღებდა როგორც დაზარალებული და არა როგორც მოსამართლე.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 19 აგვისტოს თავისი ინიციატივით აიცილა ქიმერიძის ბრალდების საქმე იმ მოტივით, რომ საქმეში დაზარალებული იყო ამავე სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი.

საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირთ საქმის აცილების საკითხი არ დაუყენებიათ და კიდევ რომ დაეყენებიათ, სასამართლოს ის უნდა დაეტოვებია უშედეგოდ, რადგან საქმის აცილების მსგავსი მოტივი კანონით გათვალისწინებული არ არის.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 7 აგვისტოს აიცილა სურამელაშვილის ბრალდების საქმე. საქმის აცილებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო სამართალში მიცემულ სურამელაშვილის შუამდგომლობა: — „ვინაიდან სასამართლომ მიმართა დავმჯდარიყავი სამართალში მიცემულთათვის მიჩნეულ ადვილას, მან ამით გამოამყდავანა თავისი სურვილი ჩემი საბოლოოდ დასჯისა და არ ვენდობი აღნიშნული რაიონის სახ. სასამართლოს“.

გარდა იმისა, რომ სასამართლოს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ასეთი უმოტივო შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა, მან საშუალება მოუხპო ლენინის რაიონის სხვა მოსამართლეებს განეხილათ ეს საქმე, რაც დაუშვებელი და კანონსაწინააღმდეგოა.

ხშირად ვხვდებით საქმის აცილების უფრო მეტ კურიოზულ შემთხვევებს. მაგალითად ახალქალაქის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით აცილებულ იქნა ტურჯანაიანის ბრალდების საქმე. სასამართლომ საქმის აცილებას საფუძვლად დაუდო სამართალში მიცემულის შუამდგომლობა: „ვინაიდან პროცესი მიმდინარეობს კულტურის სახლში და პროცესს მიეცემა საჩვენებელი ხასიათი, მე არ მსურს საქმე გარჩეული იქნეს ახალქალაქის რაიონში“.

ასეთი კანონსაწინააღმდეგო შუამდგომლობის შემდეგ სასამართლომ (მოსამართლე ამხ. მინასიანი) შეწყვიტა ყოველმხრივ მომზადებული პროცესი და საქმე გადმოგზავნა საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოში საქმის აცილების მიზნით.

• იმავე სასამართლოს შემადგენლობამ 1957 წლის 27 აგვისტოს აიცილა ხრიშიანის ბრალდების საქმე. სასამართლომ საქმის აცილებას საფუძვლად დაუდო ხრიშიანის შუამდგომლობა: — „ვინაიდან მოსამართლე მინასიანი ახლო დამოკიდებულებაშია რაიონის მილიციის უფროსთან, რომლის ინიციატივითაც აღძრულია ჩემი ბრალდების საქმე, არ არის გამორიცხული მოსამართლის საქმისადმი დაინტერესება“.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ბანცური) საქმე აიცილა იმ მოტივით, რომ სამართალში მიცემულმა ლეფტეროვმა განაცხადა: „ვინაიდან მოსამართლე კარგ განწყობილებაშია პროკურატურის სახალხო გამომძიებელთან, მე არ ვანდობ სასამართლოს საქმის გარჩევას“.

თუ გავიზიარებთ ამხ. მინასიანისა და ბანცურის მოსაზრებებს, მაშინ ვერც ერთი მოსამართლე ვერ გაარჩევს თავის სამოქმედო რაიონში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს.

მოსამართლე ამხ. მინასიანის მხრივ ხშირია ასეთი უსაფუძვლო შუა-

მდგომლობით საქმეთა აცილება. მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე მიეთითა მომავალში არ დაუშვას მსგავსი მოქმედება, ის კვლავ განაგრძობს კანონსაწინააღმდეგო მოტივებით საქმეთა აცილებას. მაგალითად 1957 წლის დეკემბრის თვეში მან აიცილა კულუხსუზიანის ბრალდების საქმე. საქმის აცილების საფუძველად კი გამოიყენა დაზარალებულის განცხადება: „ვინაიდან ბრალდებული არის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნათესავი, მე არ ვანდობ რაიონის სახალხო სასამართლოს საქმის გარჩევას“.

არის შემთხვევები, როდესაც შუამდგომლობას აკმაყოფილებენ იმ მოტივით, რომ მოსამზადებელი სხდომის დადგენილებით აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას. მაგალითად, მიაკოვსკის რაიონის სახ. სასამართლომ აიცილა მეფარიშვილის ბრალდების საქმე (მოსამართლე მილორავა) იმის გამო, რომ მან მეფარიშვილს აღმკვეთი ღონისძიება თავდებობა შეუცვალა პატიმრობით. ეს მაშინ, როდესაც მეფარიშვილის პატიმრობაში აყვანა სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან სამჯავრო გამოძიებაზე მისი არაპატივსაღებები მიზეზით გამოუცხადებლობის გამო რამდენჯერმე ჩაიშალა პროცესი.

არის შემთხვევები, როდესაც შუამდგომლობას აკმაყოფილებენ იმ მოტივით, თითქოს საქმეში გამავალი რომელიმე მხარე ნათესაურ ან კარგ ურთიერთობაშია რაიონის ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკთან. ასეთი მოტივით აცილება დაუშვებელია და ის ჩრდილს აყენებს თვით სასამართლოს ავტორიტეტს.

თუ რამდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქმის აცილებას და აცილებული საქმის სხვა რაიონში განხილვის საკითხს, ჩანს ფილფანის ბრალდების საქმიდან, რომელიც სამართალშია მიცემული დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისებაში.

აღნიშნული საქმე მესტიის სახალხო სასამართლომ 1957 წ. თებერვალში აიცილა იმ საბაბით, რომ მოწმეთა უმრავლესობა ცხოვრობს ზუგდიდის რაიონში (მოსამართლე ქალდანი). ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს კი აღნიშნული საქმე 1958 წლის თებერვლის თვემდე გაურჩეველი ჰქონდა (სასამართლოს თავმჯდომარე გოგონია).

საქ. უმაღლეს სასამართლოში 1957 წელს აცილების წესით შემოსულ საქმეთა დაახლოებით 70 პროცენტზე შეტანილ იქნა პროტესტი დადგენილებათა გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნების შესახებ. აღნიშნულ პროცედურას (საქმის გამოგზავნას, პროტესტის შედგენას, მის განხილვას და საქმის დაბრუნებას) სჭირდება სულ მცირე ერთი თვე.

საქმეთა უკანონო აცილება ზოგჯერ სახალხო მსაჯულთა მიზეზითაც ხდება, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მიეწერება ჩვენს სუსტ მუშაობას. სახალხო მოსამართლეებმა არა მარტო თვითონ უნდა აითვისონ საფუძველიდან სსსკ 42—47 მუხლების მოთხოვნა, არამედ მათ ევალებათ აღნიშნულ საკითხზე ჩაატარონ გარკვეული მუშაობა სახალხო მსაჯულებთანაც, რათა მომავალში მთლიანად აღიკვეთოს სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძველად აცილების ფაქტები.

საკითხი. როგორც ღვაპს არ უნდა იწვევდეს

მოსამართლის კაბინეტში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. მას ხელში პატარა ბავშვი უჭირავს, სათნო სახეზე განცდილი მწვავე მღვლავარების აშკარად აღი აზის, ხოლო შეწითლებული და ოდნავ შესიებული ქუთუთოები უხვად დაღვრილ ცრემლებზე მეტყველებენ.

საუბარში დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მოსამართლისათვის ნათელი გახდა, რომ ამ ახალგაზრდა ქალის ღრმა შემფოთება უსაფუძვლო როდია და რომ მისი ცრემლები მეტად მტკივნეული სულიერი განცდების შედეგია.

მოქალაქე სკაჩკო სასამართლოში ბავშვის საზრდოს საკითხზე მოსულა. მას ბავშვი მოქალაქე ა-სთან თანაცხოვრების შედეგად შეძენია. ა-ს თურმე ბავშვი ძალიან უყვარს, არ უარყოფს, რომ იგი მისი შვილია, მაგრამ... შვილის აღზრდა-პატრონობაზე მაინც ხელი აუღია.

გასაოცარი ამბავია: ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც მამები უარს აცხადებენ თავიანთ შვილებზე. აქ კი თითქოს ასეთ რამეს ადგილი არ აქვს. მაშ რაშინა საქმე? თურმე ა-ს კანონი არ ავალებს საკუთარ შვილზე მზრუნველობას, ამიტომ მას შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მას მოესურვება! შვილს ცნობს, თავის საკუთარ სახლში ჰყავს, მაგრამ საზრდოს არ აძლევს: ეს მისი უფლებაა და ამ უფლებას იგი ისე იყენებს, „როგორც კანონში წერია“.


ყველაფერი რომ უფრო გასაგები გახდეს, სჯობია ისტორია თავიდან დავიწყოთ.

მოქალაქე ა. თბილისის მკვიდრია. მას ჰყავდა ცოლი, რომელთანაც ორი თუ სამი წელი იცხოვრა და მიატოვა, თუმცა მასთან არ განქორწინებულა. შემდეგ მახინჯაურში მოქალაქე სკაჩკოს ქალთან ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობა დაამყარა და იგი თბილისში ჩამოიყვანა. ა-ს მშობლებმა სკაჩკო ისე მიიღეს, როგორც ნამდვილი რძალი. ამ ოჯახში ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ ქალს შეეძინა ბავშვი — ალა, რომელიც დღეს წლინახევრისაა და ა-ს ოჯახში ითვლება ნამდვილ შვილად და შვილიშვილად. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დახეთ უბედურებას! 1957 წელს მოქალაქე პირველ ცოლთან განქორწინდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მას მოქალაქე სკაჩკოსთან ფაქტიურად დამყარებული ცოლქმრობისთვის კანონიერი სახე მიეცა, შვილისათვის კი თავისი ნამდვილი გვარი და მამობა მიენიჭებინა, ერთ მშვენიერ დღეს მან დაჰკრა ფეხი და თბილისიდან წაიქცა და საღდაც „ნამდვილი ოჯახი“ შექმნა.

მოქალაქე ა. თავის წერილებში მშობლების ოჯახში დატოვებულ „უკანონო“ მეუღლეს ჰპირდება, რომ შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ დაეხმარება შვილს, მაგრამ მამის აღთქმა ლიტონი სიტყვები აღმოჩნდა: უკვე კარგა ხანი გადის, მამა კი ბავშვისადმი არავითარ მზრუნველობას არ იჩენს.

ახალგაზრდა დედა ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა შექმნილ მდგომარეობაში, რადგან ა-ს მშობლებს პირველ ხანებში სკაჩკოსადმი თავიანთი დამოკიდებულება არ შეუცვლიათ, იგი მათთან ცხოვრობდა და, რაც მთავარია, მატერიალურ სივიწროვეს არ განიცდიდა.

მაგრამ გავიდა ხანი და ახალგაზრდა ქალმა მთელი სიმწვავეთ ივრძნო თავისი მდგომარეობის სიმძიმე. მისი ყოფილი მეუღლის მშობლებმა გაიგეს, რომ მათ შვილს ახალი ცოლი შეურთავს და სკაჩკოს ქალს ზურგი შეაქციეს. საქმე



იქამდე მივიდა, რომ ქალს საშუალება არ აქვს ბავშვი სახლში დატოვოს და თვითონ სამუშაოდ წავიდეს, რადგან ბებია და ბაბუა მას ამაში არამც თუ ხელს არ უწყობენ, არამედ ცდილობენ ქალს საცხოვრებელი ბინაც კი დაატოვებინონ, ურჩევენ მას „იქ დაბრუნდეს“, საიდანაც ოთხი წლის წინათ მათივე შვილის სურვილით ჩამოვიდა.

საქმე ისაა, რომ რაც სკაჩკოსა და მისი პატარა პირმშოს გარშემო ხდება, საბჭოთა მორალს აშკარად ეწინააღმდეგება, მაგრამ იგი არ ეწინააღმდეგება „კანონის ანბანს“, რომელიც მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ჩვენი ნორჩი თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მათდაუნებურად მშობლების მიერ ქორწინების აქტის რეგისტრაციის გარეშე გაჩნდნენ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამ დააკანონა, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, მამად ცნობა, აღიშენების გადახდევინება, ბავშვისათვის მამის გვარის მიკუთვნება, სამემკვიდრეო უფლებები მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე წარმოწმობიან. თუ ბავშვის მშობელთა შორის ქორწინების აქტი რეგისტრირებული არ არის, შვილს კანონი ისეთ უფლებასაც კი უკვეცავს, როგორცაა საკუთარ დოკუმენტებში მამის ვინაობის აღნიშვნა.

ჩვენ არ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად იცავს ეს კანონი დედისა და ბავშვის ინტერესებს და რა როლი შეასრულა მან თავისი არსებობის 14 წლის მანძილზე საბჭოთა ოჯახის განმტკიცების საქმეში. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა: ეს კანონი დღეისათვის უკვე დრომოკმულია და იგი არსებული სახით ეწინააღმდეგება საბჭოთა ადამიანების მართლშეგნებას, მათ მისწრაფებებს. ამის უტყუარი საბუთია მშრომელთა მრავალი გამოხმაურება ამ საკითხებზე ჩვენს ცენტრალურსა და რესპუბლიკურ პრესაში.

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ 1956 წლის 9 იანვარს დაიბეჭდა ი. ერგენბურგის, პროფ. სპერანსკის, დ. მოსტაკოვიჩისა და ს. მარშაკის წერილი, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ:

„...დიდი ფაქტიური მასალა მთელი სიცხადით ლაპარაკობს იმ ბავშვებისა და ქალების მიძიმე და ორჭოფულ მდგომარეობაზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული ბრძანებულების მოქმედება.

დედობა, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი დიდი და ნათელი გრძნობაა, ფაქტიურად იყოფა დაკანონებულ და დაუკანონებელზე. ბრძანებულება წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ჩვენს მორალთან, საბჭოთა კანონმდებლობასთან, რომელიც ყოველთვის იცავდა დედისა და ბავშვის ინტერესებს, საბჭოთა კონსტიტუციასთან, რომელიც კანონის წინაშე მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობას განამტკიცებს. ოჯახურ ურთიერთობაში ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად ვ. ი. ლენინი ქორწინებისა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა თანასწორობას მიიჩნევდა“.

საკოდიფიკაციო მუშაობა, რომელიც ამჟამად საბჭოთა კანონმდებლობის დარგში მიმდინარეობს, საფუძველს იძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ მოკლე დროში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებაც გადასინჯული იქნება.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ კანონმდებლობის დეტალურ განხილვას. ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ პრაქტიკულ საკითხზე, რომელიც მოქმედ კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, მაგრამ სასამართლო ორგანოების მუშაობაში რატომღაც სათანადო გამოხატულებას ვერ ჰპოვებს.

თანახმად საქართველოს სსრ „საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის“ 74-ი მუხლისა „არასრულწლოვანის ფაქტიური, იურიდიულად გაუფორმებელი, მიღება ოჯახში წევრად სასამართლოს შეუძლია საფუძვლად დაუდგას იმას, რომ არასრულწლოვანს მინაჩქოს შენახვის მოთხოვნის უფლება იმ პირისაგან, ვის ოჯახშიც იგი მიღებული იყო“. კოდექსის ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებას და იძლევა, იმ ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებას, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციის გარეშე დაიბადნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღებულნი იყვნენ მამის ოჯახში.

მართალია, იგი არ წარმოშობს ისეთ უფლებრივ შედეგებს, როგორცაა შვილად ანდა მემკვიდრედ ცნობა და სხვ., მაგრამ სამაგიეროდ იგი აკანონებს ნორჩი თაობის აღზრდისათვის აუცილებელ მატერიალურ უზრუნველყოფას იმ პირის ხარჯზე, რომელსაც თავის ოჯახში უკვე მიღებული ჰყავდა არასრულწლოვანი და რომელიც მისდამი მზრუნველობას იჩენდა. ასეთ პირებად ბევრ შემთხვევაში ნამდვილი მამებიც გამოდიან და ბუნებრივია, რომ შვილების უზრუნველყოფის საკითხი პირველ რიგში მათ უნდა დაეკისროთ.

პრაქტიკულად ეს, სამწუხაროდ, არ ხორციელდება. იურისტების ერთი ნაწილი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ აქვს რეგისტრირებულ ქორწინებას, ყველა პირობებში კრძალავს მამაზე შვილისადმი მატერიალურ დახმარებას აღმოჩენის ვალდებულების დაკისრებას. ასეთ თვალსაზრისს კი აბსურდამდე მიყვავართ: უკეთუ მცირეწლოვანი გარეშე პირმა მიიღო თავის ოჯახში, მის მიმართ კოდექსის 74-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია, ხოლო თუ მამამ შვილი მიიღო ოჯახში, მაშინ კანონის ეს მუხლი უვარგისია (!). საკითხის ასეთი დაყენების უსაფუძვლობა თავისთავად ცხადია.

ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს კანონმდებლობა. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით შ. გ. შამათავას დაეკისრა თავისი ორი შვილის აღსაზრდელად სარჩოს გადახდა მათ სრულწლოვანობამდე იმ საფუძველზე, რომ მართალია, ეს ბავშვები რეგისტრირებული ქორწინების პირობებში არ დაბადებულან, მაგრამ ბავშვების დედმამა ფაქტიურ ცოლქმრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და ბავშვები დაიბადნენ ერთ ოჯახად ცხოვრების პერიოდში. ანალოგიური გადაწყვეტილება გამოტანილი აჭარაში ვალვას სარჩელს გამო ხრამოვთან.

აქ სასამართლოებმა მოქმედი კანონმდებლობა სწორად გამოიყენეს, მაგრამ მათი გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილი იმ მიზეზით, რომ დაინტერესებული პირები, ასაბუთებენ რა გადაწყვეტილების უსაფუძვლობას რეგისტრირებული ქორწინების აუცილებლობით, საქმე სასამართლოს ერთი ინსტანციიდან მეორეში გადააქვთ.

მაგრამ დაფუბრუნდეთ ისევ მოქალაქე ა-ს და მისი ქალიშვილი ალას საქმეს. სკაჩკოს ქალი ითხოვს პატარა ალას აღსაზრდელად მამისათვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრებას. ჩვენის აზრით, ქალის მოთხოვნა საფუძვლიანია და სასამართლომ იგი უნდა დააკმაყოფილოს. და არა მარტო სკაჩკოს ქალის!...

3. შვანია,

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე

საბჭოთაო ქონების ღაჯაყების კვალიფიკაციის შესახებ

საბჭოთა იურიდიული ლიტერატურა დღემდე არ შეხებია საეკლესიო ქონების დატაცების კვალიფიკაციის საკითხს.

დანაშაულობათა კლასიფიკაციის სისტემაში არ არის განსაზღვრული, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს საეკლესიო ქონების ხელყოფა. ეს ხშირად იწვევს ერთგვარ გაუგებრობას, საბჭოთა კანონის უხეშ დარღვევას.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1954 წლის 14 აგვისტოს განაჩენით ვ. პ. დანიელოვი და გ. მ. სემიკალენოვი დასჯილ იქნენ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით. ვ. პ. დანიელოვი და გ. მ. სემიკალენოვი ცნობილ იქნენ დამნაშავედ მასში, რომ მათ 1954 წელს 30 ივნისს დაიტაცეს საეკლესიო ქონება და აგრეთვე ეკლესიის მსახურთა ქონება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოქტომბრის რაიონის პროკურატურის მუშაკებმა დანიელოვისა და სემიკალენოვის მიერ ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირეს „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით და „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით ერთობლივად, სახალხო სასამართლომ კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხოლოდ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით.

მოგვყავს მეორე მაგალითი:

1955 წელს 25 ივნისს კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით გაასამართლა თ. ვ. თუშიშვილი, რომელიც ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან გამოძიებისათვის დაუდგენელ პირებთან ერთად დაიტაცა საეკლესიო ქონება.

თ. ვ. თუშიშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებას მხარს უჭერდა კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწე. მან თუშიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდების კვალიფიკაცია სცნო კანონის შესაბამისად და თავის საბრალდებლო სიტყვაში შეეცადა დაემტკიცებინა, რომ საეკლესიო ქონება წარმოადგენს ისეთსავე საზოგადო ქონებას, როგორც არის საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონება.

ზემოთ მოყვანილი ორივე განაჩენი დატოვებულ იქნა ძალაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ.

სრულიად სხვაგვარ თვალსაზრისს იზიარებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკა.

მაგალითად, კალინინის საოლქო სასამართლომ 1954 წლის 26—30 ივლისს „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გაასამართლა ალექსანდრე პავლეს-ძე ორავესკი და მასთან ერთად 9 პიროვნება, რომელთაც ბრალი ედებოდათ საეკლესიო ქონების დატაცებაში.

რსფსრ-ის უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა კალინინის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ამრიგად, არსებითად ერთი და იგივე სახის დანაშაული სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ესმით და სხვადასხვანაირად აკვალიფიცირებენ, რის შედეგადაც ვღებულობთ თბილისის „ბრძანებულებას“ და კალინინის ოლქის „ბრძანებულებას“.

ასეთი მდგომარეობა პრინციპულად ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მიზანსა და შინაარსს. ბრძანებულება გამოცემულ იქნა იმ მიზნით, რომ დამყარებულიყო ერთიანი კანონმდებლობა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკის ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საეკლესიო ქონებას აიგივებს საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონებასთან. ასეთი გაიგივება კი იწვევს 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლის აზრის დამახინჯებას. ამ ბრძანებულების მე-4 მუხლი ითვალისწინებს საკოლმეურნეო, კოოპერაციული და სხვა საზოგადო ქონების დატაცებას. ზოგიერთები „და სხვა საზოგადო-ქონების“ ცნებაში გულისხმობენ საეკლესიო ქონებასაც.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პრაქტიკა იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომ ეკლესია არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ ორგანიზაციას¹ და ამდენად საეკლესიო ქონებაც არ შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლის თანახმად, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს ჩვენს კანონმდებლობას.

საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის (და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების) თანახმად, რელიგიურ ან საეკლესიო ორგანიზაციებს აკრძალული აქვთ მიითვისონ სადამინისტრაციო, სასამართლო ან საჯარო სამართლებრივი ხასიათის სხვა რამ ფუნქცია და იურიდიული პირის უფლება.

დროა ზუსტად იქნას განსაზღვრული საეკლესიო ქონების არსი, ხასიათი და ამისდამესაბამისად აგრეთვე ისეთი ქმედობის დასჯადობაც, რომელიც ხელყოფს საეკლესიო ქონებას.

ჩემის აზრით, რადგან საეკლესიო ქონება თავისი ბუნებით არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც საზოგადო ქონებას, მისი დატაცება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, მხოლოდ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“.

ადვოკატი ნ. მოსულინიშვილი

¹ „Судебная практика“, 1948, გამოშვება 1, გვ. 5.

უზენაესი და უმაღლესი!

პროფ. ვ. ბერიძე

ორივე საჭიროა, ორივე აუცილებელია, რადგან თვითეული მათგანი სხვა-დასხვა ცნების აღმნიშვნელია. უზენაესი რუსული „**верховный**“-ს შესატყვისია, ხოლო უმაღლესი—„**высший**“-სა.

ასე იყო დასაბამიდან უკანასკნელ დრომდე.

მაგრამ ზოგს ვისმე არ მოეწონა უზენაესი სიტყვა—ხუცურიცა, დღევანდელ ქართველს არ ესმისო, ერთპიროვნულად დაადგინა უზენაესის უფარვისობა და გააძევა იგი ქართულიდან.

და დღეს „**верховный**“-სა და „**высший**“-ს შესატყვისად გვაქვს მხოლოდ ერთი ტერმინი—უმაღლესი.

ორი ცნების საკითხის მეტი, რომ არ გვქონდეს მოსაგვარებელი, მაშინ ჩვენც არაფერს აღარ ვიტყოდით, მაგრამ საქმე ის არის, რომ უზენაესს და უმაღლესს სიტყვებთან მთელი რიგი ცნებებია დაკავშირებული და მხოლოდ უმაღლესთან, რომ შევასიტყვოთ ეს ცნებები, არ იქნება გამართლებული. ამით საქმეს გავირთულებთ და ორაზროვანებასაც ხელს შევუწყობთ.

ქართულად ურთულეს ცნებათა გამოხატვა შეგვიძლია და ნუთუ ისე დავკინდით, რომ ამ უბანზე ორი ძირითადი ცნებისათვის ერთი ტერმინი ვიხმაროთ.

მერე საიდან დაასკვნეს, რომ უზენაესი დღევანდელ ქართველს არ ესმისო?! უზენაესის საწყისია ზენა (როგორც უმაღლესის საწყისია მაღალი) რაც ქართველისათვის ყოველდღიურად ხმარებული სიტყვაა და თუ ვისმე თითო-ოროლას ეს არ ესმის, ისწავლოს და თავის არცოდნას კანონად არ უნდა უდებდეს მთელ ქართველობას, მთელ საქართველოს.

დავუბრუნდეთ უზენაეს და უმაღლეს სიტყვებთან დაკავშირებულ ცნებებს.

Верховенство	იყო უზენაესობა
Верховенство личное	პირადი უზენაესობა
Верховенство над лицами	უზენაესობა პირებზე
Верховенство судебное	სასამართლო უზენაესობა
Верховенство территориальное	ტერიტორიული უზენაესობა
Верховная власть	უზენაესი ხელისუფლება
Верховная собственность	უზენაესი საკუთრება
Верховное обладание	უზენაესი მფლობელობა
Верховный глава	უზენაესი მეთაური და სხვა მრავალი

ყველა ამ შემთხვევაში უზენაესობა შეცვლილია ტერმინით უმაღლესობა, რაც ცნებას სათანადოდ არ გადმოგვცემს, ამახინჯებს.

მაგრამ მთლად უცნაური მდგომარეობა იქმნება, როდესაც „**верховный**“ და „**высший**“ უპირისპირდება ერთმანეთს. მაგ., „**верховная опека**“— ახლებურად არის „უმაღლესი მეურვეობა“ და „**высшая опека**“-ც უმაღლესა მეურვეობა.

«Высшие руководящие органы Советского государства формируются непосредственно Верховным Советом СССР».

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებს აწესებს უშუალოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. „ВЫСШИЙ“ და „ВЕРХОВНЫЙ“ კვლად ერთი ტერმინითაა გადმოღებული და აზრიც დამახინჯებულია.

ანდა „Пленум Верховного суда является высшей судебной инстанцией“. აბა, გამოთქვას ეს ქართულად უზენაესის გამძევებელმა!

როდის აქეთ დასჩემდა ქართულს ასეთი უკმარობა ზიტყვებისა? უზენაესი კვლად უნდა აღდგეს და დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი აუცილებლად.





სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მს პლენუმის

დადგენილება № 13

18 სექტემბერი, 1957 წელი

„სამოქალაქო შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულებამ „საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლისათვის და საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენისათვის მუშებისა და მოსამსახურეების სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებამ „შრომითი დავის განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ არსებითი ცვლილებები შეიტანეს მოქმედ შრომის კანონმდებლობაში, რის გამოც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ 1952 წ. 11 იანვარს მიღებული დადგენილება სამოქალაქო შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ თავის მნიშვნელოვან ნაწილში არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.


აღნიშნულის გამო იღებს რა მხედველობაში სასამართლო ორგანოებიდან შემოსულ შეკითხვებს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს, მიეცეს სასამართლოებს შემდეგი განმარტებანი:

1. შრომითი დავის განხილვის წესის არსებული დებულების შესაბამისად სასამართლოში განსახილველად შეიძლება მიღებულ იქნას შრომითი დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შრომითი დავის კომისიაში განხილულ დავაზე გამოტანილ იქნა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება, მაგრამ თუ მუშაკი არ დაეთანხმება გამოტანილ დადგენილებას, ან ადმინისტრაციამ, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას მიმართა სასამართლოს განცხადებით შრომითი კონფლიქტის სასამართლო წესით განხილვის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ—ეწინააღმდეგება თუ არა პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება მოქმედ კანონმდებლობას, წყდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვისას.

სასამართლო წესით შრომითი დავა შეიძლება განხილული იქნას აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ კომისიის მიერ პროფკავშირულ ორგანიზაციისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემადგენლობით დავის განხილვის შემდეგ მუშაკმა მიმართა სასამართლოს განცხადებით შრომითი დავის გადაწყვეტის შესახებ იმის გამო, რომ იგი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, ან კომისიაში არ იქნა მიღებული მხარეთა შორის შეთანხმება.

თუ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში არ არის პროფკავშირის არც საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, არც პროფკავშირული ორგანიზატორი, მაშინ შრომითი დავა მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის განიხილება უშუალოდ სასამართლო წესით (მაგალითად, ისეთი პირის შრომითი დავა, რომელიც სამხედრო ნაწილში მუშაობდა თავისუფალ დაქირავების წესით, შინამოსამსახურისა, აგრეთვე, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობდა შრომითი ხელშეკრულებით და ა. შ.). ასეთივე წესით უნდა იქნეს



განხილული იმ მუშაკთა შრომის დავანი, რომლებიც იმყოფებიან პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის შტატში.

2. შრომითი დავა, გადაწყვეტილი კომისიის მიერ პროფკავშირული ორგანიზატორის და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შეზღვევლობით ან პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ შეიძლება განსახილველად მიიღოს სასამართლომ აგრეთვე პროკურორის განცხადებით.

3. მუშაკის, ადმინისტრაციის ან პროკურორის მიერ იმ ვადის გაშვება, რომელიც დადგენილია დებულებაში შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ სასამართლოში განცხადებით მიმართვისათვის, არ წარმოადგენს საფუძველს განცხადების მიღებაზე უარის სათქმელად, ცნობს რა საბატიოდ ვადის გაშვების მიზეზებს, სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა საქმის არსებითად განხილვისას.

4. სასამართლოში არ განხილება ისეთი შრომის დავა, რომელიც დაკავშირებულია დათხოვნასთან, მათ შორის დავა დათხოვნის მოტივებთან (ფორმულირებასთან) თანამდებობაზე აღდგენასა, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან და იმ მუშაკებისათვის დისციპლინური სასჯელის დაღებასთან, რომელთა თანამდებობანი ჩამოთვლილია შრომითი დავის განხილვის წესის მოქმედი დებულების № 1 დანართში, აგრეთვე დავა დისციპლინური სასჯელის დაღების საკითხებზე, იმ მუშაკებისათვის, რომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება სადისციპლინო წესდებით.


ამ პუნქტში მოხსენებულ მუშაკთა ყველა დანარჩენი შრომითი დავა განხილება შრომითი დავის განხილვის წესით, მოქმედი დებულების ზოგადი წესების მიხედვით.

5. საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის მოთხოვნა მუშაკისაგან ქონებრივი ზიანის გადახდევინების შესახებ, როცა მოქმედი კანონის მიხედვით ზიანის გადახდევინება დაუშვებელია, რომ შესრულდეს ადმინისტრაციის განკარგულებით ხელფასიდან დაქვითვის საშუალებით, შეიძლება წარდგენილი იქნას უშუალოდ სახალხო სასამართლოში საერთო სასარჩლო წარმოების წესით („მუშა-მოსამსახურეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ იმ ზიანისათვის, რომელსაც ისინი მიაყენებენ დამქირავებელს“ სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილების მუხლი 2-რე).

მუშაკს, რომელიც არ დაეთანხმება ადმინისტრაციის განკარგულებას ხელფასიდან დაქვითვის შესახებ, შეუძლია მიმართოს შრომითი დავის განხილველ კომისიას განცხადებით, ადმინისტრაციის განკარგულების არასწორად ცნობისა და მისგან უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ (იხ. სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს ხსენებული დადგენილების 1-ლი მუხლი).

6. შრომითი დავების თავისდროზე და სწორად გადაწყვეტის მიზნით სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან რსტსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 80-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართლის საპრ. კოდექსების სათანადო მუხლების მოთხოვნები, საქმის წინასწარ მომზადების ჩატარების შესახებ და უზრუნველყონ საქმის განხილვის დღისათვის მოცემულ საქმეზე ყველა საჭირო მტკიცებების, აგრეთვე შრომითი დავის განხილველი კომისიის ოქმის და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების წარდგენა.

5. საბჭოთა სამართალი № 1.



7. განურჩევლად იმისა, მუშაკმა, ადმინისტრაციამ თუ პროკურორმა შეიტანა სასამართლოში განცხადება შრომითი დავის გადაწყვეტის შესახებ, საქმე განიხილება სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით, სადაც მოსარჩელედ ითვლება მუშაკი, რომელმაც ასეთი მოთხოვნით მიმართა შრომითი დავის განმხილველ კომისიას, ხოლო მოპასუხედ კი ის საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც სადაოდ ხდის ამ მოთხოვნას.

საქმის განხილვისას სახალხო სასამართლო, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ვალდებულია გამოარკვეოს მხარეთა ნამდვილი ურთიერთ დამოკიდებულება და გადაწყვიტოს დავა შრომის კანონებისა და საქმის გარემოებათა შესაბამისად.

რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 176 მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად, სასამართლო ვალდებულია აღნიშნოს გადაწყვეტილებაში თუ რა მოთხოვნებია სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული, ან თუ უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე—რა საფუძველზე, სახელდობრ რა რაოდენობით და რომელი მოპასუხის მიმართ?

პროცესში მართა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები წარმოადგენენ იმ ორგანოებს, რომელნიც მოწოდებულნი არიან გადაწყვიტონ შრომის დავა და ამიტომ არ შეიძლება სასამართლოების მიერ მათი ჩაბმა მონაწილეობის მისაღებად მოპასუხის, თანამოპასუხის ან მესამე პირის სახით, შრომის დავების სასამართლოში განხილვისას.

8. ფულადი მოთხოვნების შესახებ დავათა გადაწყვეტისას სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება მუშაკის სასარგებლოდ იმ თანხის მისჯის შესახებ, რაც ერგებოდა მას განვლილი დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს იმ სამი თვისა, რომელიც წინ უძღოდა ამ განცხადების შრომითი დავის განმხილველ კომისიაში შეტანას. გამოუყენებელ შვებულებისათვის კომპენსაციაზე დავის გამო სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება საკომპენსაციო თანხების გაცემაზე არა უმეტეს 2 უკანასკნელი სამუშაო წლის მიხედვით, ხოლო განაპირა ჩრდილოეთის რაიონებში და შორეულ ადგილებში არა უმეტეს 3 უკანასკნელი წლის მიხედვით.

9. უკანონოდ ცნობს რა მუშაკის გადაყვანას სხვა სამუშაოზე ან სხვა ადგილზე და აღადგენს რა მუშაკს წინანდელ სამუშაოზე, სასამართლოს შეუძლია გადაახდევინოს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას იმ მუშაკის სასარგებლოდ, რომელიც არ შესდგომია ახლად სამუშაოს, იძულებით განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა, ხოლო იმ მუშაკის სასარგებლოდ, რომელიც შეუდგა სხვა ისეთ სამუშაოს, სადაც ნაკლები ხელფასია, შეიძლება გადახდევინებული იქნას ხელფასის განსხვავება გადაყენების მთელი დროის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

10. სასამართლომ არ უნდა მიიღოს განსახილველად მუშაკის განცხადება განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რადგან „საწარმოებიდან და დაწესებულებიდან თვითნებური წასვლის და საპატიო მიზეზის გარეშე ვაცდენისათვის ნუშებისა და მოსამსახურეების სასამართლო პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად შრომის ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და მუშაკი თავისი სურვილით განთავისუფლებულად, ორი კვირის განვლის შემდეგ იმ დღი-

დან, როცა იგი გააფრთხილებს ადმინისტრაციას თავისი სურვილით მისი განთავისუფლების შესახებ.

11. განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ დავა განიხილება საერთო საფუძველზე შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ არსებული დებულების მიხედვით.

ასეთივე წესით უნდა იქნეს განხილული დავა იმ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, რომლებიც ვალდებული არიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებელთა დამთავრების შემდეგ მიუშაონ წარმოებაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, უკეთეს დაკმაყოფილებული იქნება მუშაკის მოთხოვნა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 48-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების სათანადო მუხლების მიხედვით. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე მუშაკთან ხდება სრული ანგარიშსწორება.

12. შრომითი დავა, აღძრული კოოპერაციული სარეწაო არტელის წევრთა შრომის გამოყენების შესახებ, ექვემდებარება სასამართლო განხილვას. სარეწაო კოოპერაციული სარეწაო არტელის წევრის უფლებებში აღდგენის შესახებ მიიღება სასამართლოში განსახილველად იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სარეწაო კავშირის საბჭოს დადგენილება არტელის წევრის არტელიდან გარიცხვის შესახებ (კოოპერაციული არტელის სანიმუშო წესდების 21-ე პუნქტი).

შრომის იმ დავის გამო, რომელიც აღიძრა ინვალიდთა კოოპერაციულ არტელებში შრომის გამოყენების შესახებ, მოქმედობს ისეთივე წესი, უკეთეს სსრ კავშირის მთავრობისა ან მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური დადგენილებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

13. მუშისა და მოსამსახურის მოთხოვნა პრემიალური გასამრჯელოს გადახდევინების შესახებ შეიძლება დააკმაყოფილოს სასამართლომ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც პრემია მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში წარმოადგენს მუშაობის ობიექტურ მონაცემებზე დამყარებულ შრომის ხელფასის ანაზღაურების სისტემით გათვალისწინებულ პერიოდულ გასამრჯელოს და ის არ ატარებს წამახალისებელ გასამრჯელოს ხასიათს, რომელიც გაიცემა ადმინისტრაციის შეხედულებით.

14. როდესაც დამტკიცებულია, რომ საზეგანაკვეთო მუშაობა შესრულებულია ადმინისტრაციის განკარგულებით, სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს მისი ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ყოფილა სათანადოდ გაფორმებული. თანამდებობის პირის მიმართ რომელმაც დაუშვა საზეგანაკვეთო მუშაობა სათანადო ნებართვის და გაფორმების გარეშე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება მისი დისციპლინური, ხოლო სათანადო შემთხვევაში კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მუშაკის მოთხოვნა საზეგანაკვეთო მუშაობის ანაზღაურების შესახებ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას სასამართლოს მიერ, მაგრამ არა უმეტეს იმ სამი თვისა, რაც უძღოდა წინ შრომითი დავის განმხილველ კომისიაში განცხადების შეტანას.

15. მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნა ყოველკვირეულ დასვენების დღეებში მუშაობისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ შეიძლება დაკმაყოფი-



ფილებული იქნას სასამართლოს გადაწყვეტილებით საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ მათთვის დასასვენებლად სანაცვლო დღეების მიკუთვნებით.

მოთხოვნა ყოველკვირეულ დასვენების დღეებში მუშაობისათვის ფულადი ანაზღაურების შესახებ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მუშაკს მოცემულ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან დათხოვნის გამო არ შეუძლია ისარგებლოს სხვა გამოსასვლელი დღით.

16. იმ დავის გადაწყვეტისას, რომელიც დაკავშირებულია საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შტატების შემცირებასთან, სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში საწარმოს დაწესებულების, ორგანიზაციის საწარმოო ინტერესები, იმის გათვალისწინებით, რომ შტატების შემცირება წარმოადგენს აპარატის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, საწარმოს მუშაობის რაციონალიზაციას და მათი უფრო კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ერთერთ ღონისძიებას.

შტატების შემცირების შედეგად დათხოვნილ პირთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელების განხილვისას, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს— მოხდა თუ არა სინამდვილეში შტატის შემცირება და დაცულია თუ არა შრომის კანონმდებლობის ნორმები.

17. შრომითი დავების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მუშაკის დათხოვნა შრომის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის მოტივით შეიძლება რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „დ“ პუნქტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების სათანადო მუხლების შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშაკზე შრომის ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობამ მიიღო სისტემატური ხასიათი და მის მიმართ მიღებულმა საზოგადოებრივმა და დისციპლინური ზომების შეფარდებამ სათანადო შედეგები არ გამოიღო, რის გამოც, მუშაკის შემდგომში დატოვება სამუშაოზე ეწინააღმდეგება წარმოების ინტერესებს.

18. იმ პირს, ვინც დათხოვნილია სამუშაოდან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, ან სამუშაოდან გადაყენებულია ამავე მიზეზით, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოთა მოთხოვნით, ან ადმინისტრაციის ინიციატივით და შემდგომში რეაბილიტირებულია სისხლის სამართლის საქმის მოსპობის ან სასამართლო წესით გამართლების გამო, აქვს უფლება მიიღოს განაცდური დროის ხელფსი, რაც დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემასთან, მაგრამ არა უმეტეს ვიდრე ორი თვისა, განურჩევლად იმისა, იყო თუ არა ის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში; მის მუშაობასთან დაკავშირებული თუ არადაკავშირებული დანაშაულის ბრალდების გამო.

აღნიშნული ხელფასი გამოიანგარიშება მუშაკის რეაბილიტაციის დღისთვის იმ თვიური ხელფასის განაკვეთიდან და იმ თანამდებობის სამუშაოს მიხედვით, რაც მუშაკს ეკავა სამუშაოდან დათხოვნის ან გადაყენების დღისათვის, ან სხვა ანალოგიური თანამდებობის (სამუშაოს) მიხედვით.

19. თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დადგენილი იქნება თანამდებობის პირის უმართებულო მოქმედება, დამადასტურებელი შრომის კანონმდებლობის უხეშად დარღვევისა და კერძოდ კი მუშაკთა უკანონოდ

დათხოვნის ფაქტი, აპარატიდან ადმინისტრაციისათვის არასასურველ მიზნის გატყვების მიზნით, სასამართლომ უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება დამნაშავე თანამდებობის პირის დისციპლინური, ხოლო სათანადო შემთხვევაში კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

20. მუშაკის დათხოვნის უმართებულოდ ცნობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა აღადგინოს მუშაკი წინანდელ სამუშაოზე ან თანამდებობაზე, თუ კი არ იქნება ასეთი სამუშაო ან თანამდებობა შტატის შემცირების ან აპარატის რეორგანიზაციის გამო, სასამართლო დათხოვნას ცნობს არასწორად, მუშაკს არ აღადგენს და გადაწყვეტილებაში აღნიშნავს მიზეზს, რის გამოც შეუძლებელია მუშაკის აღდგენა წინანდელ სამუშაოზე ან თანამდებობაზე.

იძულებით განაცდური დროის ხელფასი ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა.


თუ უმართებულოდ დათხოვნილ მუშაკს უკვე აქვს სხვა დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში თავისი კვალიფიკაციისა და ხელფასის შესაფერისი სამუშაო და მოცემულ სამუშაოზე დატოვება მის ინტერესებს არ მიაყენებს ზიანს (მოცემული კატეგორიის მუშაკისათვის დაწესებული განუწყვეტელი სტაჟის, შეღავათების უპირატესობანი და ა. შ.) მაშინ სასამართლოს შეუძლია დაკმაყოფილდეს თავის გადაწყვეტილებაში მუშაკის უმართებულოდ განთავისუფლების ცნობით და სათანადო შემთხვევაში გადაახდევინოს განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა და არ გამოიტანოს დადგენილება მუშაკის წინანდელი თანამდებობის ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

21. მუშაკის მოთხოვნა მისი სამუშაოდან განთავისუფლების მიზეზის ფორმულირების შეცვლაზე, უკეთეს შრომის წიგნაკის იმ ნაწილში, სადაც ნაჩვენებია „ცნობები მუშაობის შესახებ“ დათხოვნის მიზეზის ფორმულირება ჩაწერილია არასწორად ან არ შეესაბამება შრომის მოქმედ კანონმდებლობას, შეიძლება წარმოდგინო იქნას სასამართლოში თანახმად ზოგადი წესებისა, რაც დადგენილია შრომითი დავის განხილვის წესის დებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების მე-4 პუნქტში.

ცნობს რა დათხოვნის მიზეზთა ფორმულირებას არასწორად ან შრომის მოქმედ კანონმდებლობის შეუსაბამოდ, სასამართლო ვალდებულია თვითონ შეცვალოს იგი და გადაწყვეტილებაში უჩვენოს დათხოვნის მიზეზი შრომის მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირებასთან ან მუხლებთან ზუსტი შესაბამისობით.

თუ დამტკიცდა, რომ დათხოვნის მიზეზთა არასწორმა ფორმულირებამ წაართვა მუშაკს სხვა დაწესებულებაში ან წარმოებაში სამუშაოდ შესვლის შესაძლებლობა, სასამართლოს შეუძლია გადაახდევინოს მის სასარგებლოდ იძულებით განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს 20 სამუშაო დღისა.

22. უმართებულოდ დათხოვნილ მუშაკთა თანამდებობაზე ან სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე სასამართლოს რსფსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 172-ა მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამ. საპ. კოდ. შესაბამისი მუხლების საფუძველზე შეუძლია საკუთარი ინიციატივით ჩააბას საქმეში მესამე პირის სახით მოპასუხე მხარეზე ის თანამდებობის პირი, რომლის განკარგულებითაც მოხდა დათხოვნა, და თუ დადგენილი იქნება, რომ დათხოვნა მოხდა კანონის აშკარა დარღვევით, იმავე პროცესზე დააკისროს დამნაშავე



თანამდებობის პირს გადაუხადოს დააწესებულებას ან საწარმოს ზარალი მოწვეული დათხოვნილი მუშაკისათვის განაცდური საზღაურის გადახდით. თანამდებობის პირისათვის ამ შემთხვევაში გადასახდელად მისჯილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

23. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაცია დააყოვნებს სასამართლოს გადაწყვეტილებას უმართებულოდ დათხოვნილი ან უმართებულოდ გადაყვანილი მუშაკის აღდგენის შესახებ, სასამართლოს შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ არსებული დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად გამოაქვს განჩინება იმის შესახებ, რომ მიეცეს უმართებულოდ დათხოვნილ მუშაკს იძულებითი განაცდური დროის ხელფასი ან მიეცეს უმართებულოდ გადაყვანილ მუშაკს ხელფასის განსხვავება. ამ შემთხვევაში ხელფასი ან ხელფასის განსხვავება გადახდება მუშაკის სასარგებლოდ მთელი დროისათვის გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან მისი შესრულების დღემდე.

დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ მუშაკისათვის გადახდილი განაცდური დროის ხელფასი, რაც გამოწვეული იყო სამუშაოზე აღდგენის შესახებ შრომითი დავის განხილველ კომისიის, პროფკავშირის, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით, შეიძლება დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის რეგრესული სარჩელით ან პროკურორის სარჩელით გადახდეს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირს. თანამდებობის პირის მიმართ ამ შემთხვევაში მისჯილი თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირის სამი თვის ხელფასს.

24. ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1952 წლის 11 იანვრის № 1 დადგენილება „სამოქალაქო შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“; 2) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 1-ლ ოქტომბრის სოქმო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1952 წლის 11 იანვრის № 1 დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ“; 3) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 29-ე პლენუმის 1930 წლის 12 მაისის დადგენილება „შრომის კონფლიქტების მომრიგებელ-სამედიატორო და სასამართლო განხილვის წესების 21-ე მუხ. „ბ“ პუნქტის და 36-ე მუხ. განმარტება სახალხო სასამართლოს მიერ შრომის საქმეების განხილვის წესის შესახებ, რომლებიც მათთან შემოვიდა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით გაუქმების გამო“; 4) სსრკ უმაღლესი სასამართლო სპლენუმის 1950 წლის 3 მარტის № 5/4/3 დადგენილება „იმ მუშაკების თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე სარჩელების სასამართლო ორგანოების ქვემდებარეობის შესახებ, რომლებიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილი იყვნენ რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტის ორგანოებიდან, კავშირგაბმულობის და იმ სხვა ორგანოებიდან, რომლებშიც მოქმედებენ წესდებები მუშებისა და მოსამსახურეების დისციპლინის შესახებ.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე: ა. გორკინი.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი: ი. გრიშანინი.



I სისხლის სამართლის საქმეები

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედა პრ ინჰეპის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უკეთუ იგი ჩადენილია აუთილაგული მოგაჩიების დღმომპაკობაში, მისი საზღვრის გაღაუთილაგულად

მ. ა. ჭელიძის საქმე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 სექტემბრის დადგენილება

საქ. სსრ მიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 11 თებერვლის განაჩენით გ. ჭელიძეს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევით.

საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1956 წლის 6 მარტს განაჩენი ჭელიძის მიმართ ძალაში დატოვა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 23—მარტს არ დააკმაყოფილა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, რომელშიც დაყენებული იყო საკითხი ჭელიძის მიმართ გამოტანილი განაჩენისა და საკასაციო ინსტანციის განჩინების გაუქმების შესახებ საქ. სსრ სსკ 12 მუხლის საფუძველზე, ჭელიძის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

სახალხო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ჭელიძე ცნობილ იქნა დანაშაუდ მასში, რომ მან 1955 წლის 12 დეკემბერს ღამის 3 საათზე ძლიერი სულიერი აღელვების ზეგავლენით, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით, სანადირო თოფის გასროლით მოკლა მოქ. გენელიძე.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარემ უსაფუძვლოდ ცნო ჭელიძის მსჯავრდადება ამ საქმის მიხედვით და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმში შეიტანა პროტესტი, რომელშიც დააყენა საკითხი საქმის მოსპობის შესახებ, ვინაიდან ჭელიძის მოქმედება ჩადენილი იყო აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და ამიტომ არ შეიცავდა დანაშაულის შემადგენლობას.

პლენუმმა, განიხილა რა საქმის მასალები, პროტესტის მოტივები და აგრეთვე მოხსენა რა დასკვნა სსრ კავშირის გენერალური პრო-

კურორის მოვალეობის აღმსრულებლის აშ. პ. ი. კუდრიავცევისა, რომელიც მხარს უჭერდა პროტესტს, დააკმაყოფილა იგი შემდეგი საფუძვლების გამო:


წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ 1955 წლის 12 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, დაზარალებული გენელიძე თავის მეგობარ მ. ა. ჭელიძესთან ერთად შეიჭრა მსჯავრდადებულის სახლში და მოსთხოვა მას, საშუალება მიეცა მისთვის წაეყვანა სახლიდან ჭელიძის არასრულწლოვანი და ნორა ჭელიძე, წინააღმდეგ შემთხვევაში გენელიძე მოკვლით ემუქრებოდა ჭელიძეს.

ჭელიძე, აღელვა გენელიძის ამ მოქმედებამ და მოთხოვნამ, გენელიძისა და მისი მეგობრის თავდასხმისაგან დისა და თავისი თავის დაცვის მიზნით მან ხელი წამოავლო ორულულიან სანადირო თოფს და წინადადება მისცა თავდასხმელებს მიმდგარიყვნენ ოთახის კუთხეში და ხელები მაღლა აეწიათ.

მ. ა. ჭელიძემ შეასრულა მსჯავრდადებულის ასეთი მოთხოვნა, მაგრამ დაზარალებული გენელიძე არ დაემორჩილა მას, ისევ მოკვლით ემუქრებოდა მსჯავრდადებულს, თანაც მარჯვენა ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩადებული, ხოლო შემდეგ გაიწია ამ უკანასკნელისაკენ. ამის გამო მსჯავრდადებულმა მოახდინა გამაფრთხილებელი გასროლა, ხოლო როდესაც დაინახა, რომ ყველა ეს გამაფრთხილებელი ღონისძიება გენელიძეზე არ მოქმედებდა და ის კვლავ მიიწევდა მისკენ მოკვლის მუქარით, მეორედ პირდაპირ ესროლა მას. მიღებული ჭრილობისაგან გენელიძე მალე გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით გენელიძე გარდაიცვალა სისხლის დაკარგვის, ნაწლავებზე საფანტით მრავალ მიყენებული ჭრილობებისა და მუცლის აორტის გასკდომის გამო.

მსჯავრდადებულმა ჭელიძემ არ უარყო გე-



ნელიძის მკვლელობა, მაგრამ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. იგი ამტკიცებდა, რომ იცავდა რა დასა და თავის თავს გენელიძისა და მისი მეგობრის თავდასხმისაგან, იძულებული იყო მოეხდინა ვასროლა. თავდასხმის გარემოებანი და გენელიძის მოქმედება მას საფუძველს აძლევდა ჩათვალა, რომ გენელიძეს თან ჰქონდა იარაღი, რადგან ის იწევდა მისკენ მუქარით, მარჯვენა ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაღებული, არ შეუშინდა მისკენ მიმართულ თოფს და არც გამაფრთხილებელ ვასროლას.

ტელიძემ, რომელიც თვლიდა, რომ თვით მისი და აგრეთვე ახლობელი ადამიანების სიცოცხლე საფრთხეში იყო, ესროლა გენელიძეს იმ მომენტში, როცა ეს უკანასკნელი იმდენად ახლო მივიდა მასთან, რომ ერთი ნაბიჯის ვადადგმის შემდეგ შეეძლო ჩაჭიდებოდა თოფს და განეიარაღებოდა იგი.

გ. ა. ტელიძის საქ. სსრ სსკ 146 მუხლით მსჯავრდადების დასასაბუთებლად სასამართლომ თავის განაჩენში მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ტელიძის მიერ მეორედ ვასროლის მომენტში მის სახლში იმყოფებოდა 6 ადამიანი, რომელთა ადგილად შეეძლოთ გენელიძის დამორჩილება, და რომ ამის გამო მსჯავრდადებულის მოქმედება თავდასხმისაგან თავდაცვის აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

სასამართლოს მიერ განაჩენის ასეთი დასაბუთება ეწინააღმდეგება საქმის მასალებს.

საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა მ. ლ. ყორჯოლიანმა, ნ. კ. ყორჯოლიანმა, ე. ვ. მინაძემ, ა. ე. მინაძემ, ნ. ა. ტელიძემ, და ჩ. ა. ტელიძემ დაადასტურეს, რომ გენელიძე მოკვლით ემუქრებოდა ტელიძეს და როდესაც მასზე იწევდა, მარჯვენა ხელი ჯიბეში ედო. ამის გამო ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გენელიძე დანით იყო შეიარაღებული და ეშინოდათ მისულიყვნენ მასთან მსჯავრდადებულის დასახმარებლად.

ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს, რომ როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ჩანს, მოკლულ გენელიძის

ახლოს ეგდო ფინური დანა, რომლის კუთვნილება არც წინასწარ გამოიძიეს და არც სასამართლოს არ გამოუჩვენებია.

ამგვარად, კიდევ რომ ჩათვალათ, რომ გენელიძე არ იყო შეიარაღებული, ასეთ შემთხვევაშიც საქმის ყველა გარემოება, სახელდობრ: ჯგუფური თავდასხმა დამით, დაზარალებულის მუქარა, მიუხედავად მსჯავრდადებულის მიერ მიღებული გამაფრთხილებელი ზომებისა, საკმაო საფუძველს აძლევდა ტელიძეს ეფიქრა, რომ მასზე მოახდინეს რეალური თავდასხმა, რაც საფრთხეში ადგებდა მის სიცოცხლეს.

მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული და ცნო რა, რომ გ. ა. ტელიძემ ზემოხსენებული მოქმედება ჩაიდინა მასზე და მის არასრულწლოვან დაზე თავდასხმის აუცილებელი მოგერიების პირობებში მისი საზღვრის გადაუცილებლად, პლენუმი თვლის, რომ ეს საქმე ტელიძის მიმართ უნდა მოისპოს მის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების მე-9 მუხლის (საქ. სსრ სსკ მე-12 მუხლის) შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი დაეთანხმა პროტესტს და იხელმძღვანელა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტით, დაადგინა: საქ. სსრ მთავრობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 11 თებერვლის განაჩენი, აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 6 მარტის განჩინება და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1956 წლის 23 მარტის დადგენილება გ. ა. ტელიძის მიმართ გაუქმდეს და საქმე მის მიმართ მოისპოს მის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

(იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი № 6, 1957 წ.).

ყარაღობა გულიხსნობს დაზარალებულის ქონებას დაუფლავის გენერალს

ა. კ. სტარკოვასის საქმე

ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 26 სექტემბრის დადგენილება

ლიტვის სსრ ვაბალნიკის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. კ. სტარკოვასი ერთობლივობის წესით მსჯავრდადებულ იქნა რსფსრ სსკ 74 მუხლის მე-2 ნაწილით და „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძა-

ნებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით. ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს განაჩენი ძალაში დატოვა. განაჩენით დადგენილია, რომ 1953 წლის 20 ნოემბრს ვაბალნიკის რაიონის სოფელ მელიუნიში სტარკოვასი არაფხიზელ მდგო-

მარობაში შევიდა მოქალაქე შულგისის სახლში და იქ მოახდინა დებოში. უფრო გვიან, იმავე საღამოს იგი მივიდა მოქალაქე აუგუსტინევიჩენეს სახლთან, გააღო ეზოს კარები, აუგუსტინევიჩენეს ქალიშვილს თავი ბანდიტად გააცნო და აიძულა იგი სახლში შეეშვა. ხოლო როდესაც სახლში შევიდა, იმავე ქალიშვილს მოსთხოვა ლუდი, ხორცი და პური. ამ უკანასკნელმა მოუტანა მას დასაღველად ლუდი, მოუჭრა რამდენიმე კილოგრამი ხორცი და პური.

ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა იმავე სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი მიუთითა რომ სტარკოვასი უსაფუძველოდ იყო მისჯილი ყაჩაღობისათვის.

სტარკოვასმა უჩვენა, რომ იგი შევიდა სახლში მოქალაქე აუგუსტინევიჩენესთან ისეთ მთვრალ მდგომარეობაში, რომ ანგარიშს ვერ

აძლევდა თავისთავს, თავს აცხადებდა ბანდიტად და მოითხოვა ლუდი და საუზნე.

ამ საკითხზე დაკითხულმა დაზარალებულმა უჩვენა, რომ მსჯავრდადებულმა უბრძანა მას შაშხი მოეტრა, ხოლო არც შაშხი და არც სხვა რამ თან არ წუღდა.

ასეთ პირობებში არ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ სტარკოვასის განზრახვა მიმართული იყო აუგუსტინევიჩენეს ქონების დაუფლებაზე; მისი ასეთი მოქმედება, პირველი ეპიზოდის მსგავსად, უნდა შეფასებულიყო როგორც ხულიგნობა, რაც დაკვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო რსფსრ სსკ 74 მუხლის მე-2 ნაწილით.

პრეზიდიუმმა შეცვალა სტარკოვასის დანაშაულის კვალიფიკაცია და შესაბამისად შეუმცირა მას სასჯელი.

(სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი № 6—1957 წ.)

საზოგადო ქონების ნაკრძალიანი ქარღობა პრასნორად იქნა დაკვალიფიცირებული „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სსკ-ის პარაგრაფის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით

აქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წ. 20 დეკემბრის განჩინება № 5728

ი. ვ. არსენიძის საქმეზე

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 16 ნოემბრის განაჩენით არსენიძეს „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სსკ-ის პრეზიდიუმის 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების მე-3 მუხლით მიესაჯა 7 წლით შრომა-გასწორებით ბანაკში პატიმრობა; მის მიმართ გამოყენებული იქნა „ამნისტიის შესახებ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად“ სსრკ უმაღლესი სსკ-ის პრეზიდიუმის 1957 წლის 1-ლი ნოემბრის ბრძანებულება და შეფარდებული სასჯელი გაუწახვევრა.

მსჯავრდადებული არსენიძე საკასაციო საჩივრით მოითხოვდა მის მიერ ჩადენილი ქმედობის „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების 1-ლი ნაწილით გადაკვალიფიცირებას.


არსენიძე ცნობილი იყო დამნაშავედ მასში, რომ მან 1957 წლის იანვრის თვეში სოფ. სოჩხეთის კოლმეურნეობის საწყობიდან მოიპარა

წყალსადენის 4 ც. რკინის მილი, ღირებულო 158 მან. 60 კაპ.

არსენიძისადმი წარდგენილი ბრალდება საქმის მასალებით დადასტურებულია, მაგრამ მისი დანაშაულებრივი ქმედობა არასწორად იყო დაკვალიფიცირებული „სახ. და საზ. ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სსკ-ის პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-3 მუხლით.

არსენიძის მიერ დატაცებული ქონება მცირე რაოდენობის და ღირებულებისაა, საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ არსენიძის განზრახვა მიმართული იყო უფრო დიდი ქონების დატაცებისადმი. ასეთ პირობებში მისი დანაშაულებრივი მოქმედება განხილულ უნდა იქნას როგორც საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცება.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, საფუძვლიანად ცნო რა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, ტყიბულის რაიონის სახ. სასამართლოს 1957 წლის 16 ნოემბრის განაჩენში შეიტანა ცვლილება: „არსენიძის დანაშაულებრივი



მოქმედება გადააკვალიფიცირა „სახელმწიფო და 1 ნაწილზე, შეუფარდა მას 3 თვით უმაღლესი საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის თა და „ამნისტიის შესახებ“ სსრკ უმაღლესი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულების 1 მუხლის საფუძველზე სსს-1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულების ჯელის მოხდისაგან გაანთავისუფლა.

დანაშაულებრივი ქმედობა) გეთვალისწინებული ს.ჯ. სსრ სსკ 142 მუხლით არასწორად იქნა დაქვალუიფიცირებული „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 20 ნოემბრის განჩინება № 632

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 28 აგვისტოს განაჩენით დავითაიას დანაშაულებრივი ქმედობა საქ. სსრ სსკ 142 მუხლიდან გადაკვალიფიცირებული იქნა „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წ. 11 ივნისის ბრძანებულებაზე და სასჯელის ზომად შეეფარდა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, განიხილა რა აღნიშნული საქმე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტით, რომელიც ითხოვდა დავითაიას მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას, პროტესტის მოთხოვნა საფუძვლიანად ცნო.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ დავითაიამ ცხაკაიას რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე სასპეკულაციოდ შეისყიდა ერთი სული მსხვილფეხა პირუტყვი. დაკლა იგი და ხორცს რეალიზაცია უყო ქ. ბათუმში. დავითაიას აღრეც იყო შემჩნეული სპეკულაციაში.

სახალხო სასამართლომ, დადგენილად მიიჩნია რა დავითაიასადმი წარდგენილი ბრალდება, არასწორად დააკვალიფიცირა მისი დანაშაულებრივი ქმედობა „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებით.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა დავითაიას მიმართ განაჩენი და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახლად განსახილველად სამსჯავრო გამოძიების სტადიიდან.

II. სამოქალაქო საქმეები

ხელშეკრულების ბათილობის საქმის არასწორად განხილვა განსაკუთრებული წარმოების წესით

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ბათუმის უფროსი ნოტარიუსის 1950 წლის 26 ივნისის მოქმედების გაუქმების შესახებ

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 16 დეკემბერს განიხილა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი ა. ა. მელქოიანის საქმეზე.

ა. ა. მელქოიანმა 1957 წლის მაისის თვეში საჩივრით მიმართა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს; იგი მოითხოვდა გაუქმებული ყოფილიყო ქ. ბათუმის უფროსი ნოტარიუსის 1950 წლის 26 ივნისის მოქმედება, რომლითაც გაფორმებული იყო ქ. ბათუმში სოხუმის ქუჩაზე მდებარე № 9 სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ა. ა. მელქოიანსა და ნ. ი. ჭეიშვილს შორის. მოქ. მელქოიანი აღნიშნავდა, რომ სახლის გაყიდვაზე მას თანხმობა არ მიუცია და არც მისი ცოლისათვის არ გადაუცია სახლის გასხვისების რწმუნება.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1957 წლის 31 მაისის განჩინებით დააკმაყოფილა მელქოიანის საჩივარი და გააუქმა ნოტარიუსის მოქმედება მელქოიანის სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ.

სასამართლო კოლეგიის აღნიშნული განჩინება საქ. სსრ პროკურორის პროტესტის საფუძველზე გაუქმებულ იქნა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 19 ივლისის განჩინებით და ძალაში იქნა დატოვებული. ქ. ბათუმის უფროსი ნოტარიუსის 1950 წლის 26 ივნისის მოქმედება სადაო სახლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

პროტესტში მოთხოვნილი იყო ორთავე ზემოხსენებული განჩინებების გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა.

პრეზიდიუმმა პროტესტი მისაღებად ჩათვალა შემდეგ მოსაზრებათა გამო:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსის მოქმედებაზე საჩივრის შეტანისათვის დაწესებულია 15 დღის ვადა იმ დღიდან, როდესაც მომჩივანისათვის ცნობილი გახდება ნოტარიუსის მოქმედება.

აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ მელქოიანის საჩივარი მიიღო შეიდი თვის ხანდაზმულობით.

გარდა ამისა, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად განიხილა მელქოიანის საჩივარი საქმის განსაკუთრებული წარმოების წესით, რადგან მელქოიანის საჩივრიდან ჩანს, რომ იგი უარყოფს მის თანხმობას სადაო სახლის გაყიდვაზე. ამასთანავე 1950 წლიდან სახლის მესაკუთრედ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ითვლება ჭეიშვილი, რომელმაც სადაო სახლში გადაიხადა 18.000 მანეთი და დაფარა მელქოიანზე რიცხული კომუნალური ბანკის ვალი 9334 მანეთი. ასეთ ვითარებაში მელქოიანის მოთხოვნა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ წარმოადგენს საერთო სახის სამოქალაქო სასარჩელო დავას და ის უნდა გადაწყვეტილიყო საქმის არა განსაკუთრებული წარმოების წესით, არამედ საერთო სასარჩელო წესით, საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესზე ნოტარიუსის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლის და მოწმეთა გამოწვევით.

აღნიშნულ ვარემოებათა მიხედვით პრეზიდიუმმა გააუქმა ა. ა. მელქოიანის საქმეზე სასამართლო კოლეგიების ორთავე განჩინება და საქმე წარმოებით მოსპო.

ზინენი ანაზღაურება უნდა დაეკისროს იმ სანაგროს, იარაღმანქანების ან ძრავების მფლობელს, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებულია მომავალში საურთხე და არა იმ მუხას ან მოსამსახურეს, რომლის მოქმედებით მიყენებულია ზინენი

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წ. 14 თებერვლის განჩინება № 110

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1957 წლის 14 თებერვალს განიხილა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი მცხეთის რაიონის სახალხო

სასამართლოს 1956 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე ი. მ. ხუროშვილის ხარჩელისა გამო მოპასუხე გ. ი. ჭლამაძის მიმართ—ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ხუროშვილმა სახალხო სასამართლოში აღძრა სარჩელი, რომელშიც მოითხოვდა მოპასუხე გ. ი. ჭლამაძისაგან 7.886 მან. გადახდევინებას მისდამი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, იმ მოტივით, რომ მოპასუხე ჭლამაძემ ავტომანქანის დაჯახებით მოკლა მისი შვილი, რომლის დაკრძალვაზე დაეხარჯა ხსენებული სასარჩელო თანხა.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1956 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ხუროშვილის სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა.

პროტესტში მოთხოვნილი იყო შემოხსენებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლად განსახილველად სახალხო სასამართლოში.

სასამართლო კოლეგიამ პროტესტი საფუძვლიანად ცნო, რადგან საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ავტომანქანა, რომლის დაჯახებით დაღუპულია მამიებლის შვილი, ეკუთვნის არა მოპასუხეს, არამედ დაწესებულებას.

ასეთ შემთხვევაში საქ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად პასუხისმგებლობა ზარალის ანაზღაურებაზე ეკისრება ავტომანქანის მფლობელს და არა მის მძღოლს.

ამგვარად, ხუროშვილის მიერ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ. მოპასუხედ ამ საქმეში უნდა ყოფილიყო ავტომანქანის მფლობელი, რომელსაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დარჩებოდა რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის უფლება ავტომანქანის მძღოლის მიმართ.

ამასთანავე მოპასუხეს სათანადო გადაანგარიშებით შეიძლება დაეკისროს ისეთი ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელია დასაფლავებისათვის და არა ყოველგვარი ხარჯები, რაც დაკავშირებულია გარდაცვალებასთან. სახალხო სასამართლომ კი ამ შემთხვევაში მოპასუხეს დააკისრა გადაანგარიშების გარეშე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი თანხის მთლიანად ანაზღაურება.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, სასამართლო კოლეგიამ, გააუქმა რა ამ საქმეზე მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე დაუბრუნა ხელახლად განსახილველად სახალხო სასამართლოს.

მკობის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ღ“ პუნქტით მუშაკის დათხოვნა შეიძლება, უკეთეს მუშაკის მიერ შინა განაწესის ღარდაკრებას სისჯიმაჟიკი ხსნიათი პქსს

საქ. სსრ უმაღლეს სახამართლოს სამოქალაქო საქმეთა სახამართლო კოლეგიის 1956 წ.

3 სექტემბრის განჩინება № 5774

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1956 წლის 3 სექტემბრის სხდომაზე განიხილა გ. ნიპარიშვილის საკასაციო საჩივარი კასპის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე.

ნიპარიშვილი მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის კასპის რაიონის განყოფილებაში ინსპექტორის თანამდებობაზე.

1956 წლის 11 თებერვალს ნიპარიშვილი დათხოვნილ იქნა სამუშაოდან

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, რაც გამოიხატა უფროსის ბრძანებით შეუსრულებლობასა და პირადი შეურაცხყოფის მიყენებაში.

ნიპარიშვილმა სამუშაოდან დათხოვნა ჩათვალა არასწორად, ამიტომ მიმართა სასამართლოს, მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ ნიპარიშვილს სარჩელზე უარი უთხრა.

სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ნიპარიშვილის საქმეზე არასწორად ცნო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნიპარიშვილს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არცერთი საყვედური არ ჰქონია გამოცხადებული შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. მამასადავამ, შრომის დისციპლინის სისტემატურ დარღვევას აღვილი არ ჰქონია. ამიტომ ნიპარიშვილის განთავისუფლება სამსახურიდან შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „დ“ პუნქტის მოთხოვნას არ შეესაბამება.

აღნიშნულისა გამო სასამართლო კოლეგიამ გააუქმა კასპის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება გ. ზ. ნიპარიშვილის მიმართ და ეს უკანასკნელი აღადგინა თავის თანამდებობაზე, 20 დღის განაცდური ხელფასის ანაზღაურებით.

დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არასათანადო მოკასუნისაგან

საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წ.

8 იანვრის განჩინება № 20

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1957 წლის 8 იანვარს განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი ზედამხედველობის წესით ქ. ფოთის II უბნის სახალხო სასამართლოს 1956 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოქალაქე გ. რ. მიმინოშვილის სარჩელი მოპასუხე ფოთის ნავსადგურის სამმართველოსთან და თანამოპასუხე „სოფფრაბტთან“ დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილებული იქნა, ზარალის ანაზღაურების თანამოპასუხე „სოფფრაბტზე“ დაქისრებით.

პროტესტი მოითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლად განსახილველად დაბრუნებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე მიმინოშვილი იყო ფოთის ნავსადგურის თანამშრომელი, რომელიც ფოთის ნავსად-

გურის დავალებას ასრულებდა „სოფფრაბტის“ სამუშაოებზე, სადაც მან მიიღო სხეულის დაზიანება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ საწარმომ ან ორგანიზაციამ, რომლის მიერ იგი დაზღვეული იყო.

ამრიგად მიმინოშვილის მიმართ პასუხისმგებელია ფოთის ნავსადგური. სახალხო სასამართლომ კი ზარალის ანაზღაურება დააკისრა თანამოპასუხე „სოფფრაბტს“ ისე, რომ ეს უკანასკნელი სასამართლოშიც არ გამოუწვევია.

აღნიშნულ გარემოებათა გამო სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი, გააუქმა ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოხსენებულ საქმეზე და ეს საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს ხელახლად განსახილველად.

დაკრძალვის კონსულტაცია მოსახლეობას



რა წესით აუნაზღაურდება შრომა სახალხო მსახურს, რომელიც დროებით სახალხო მოსამართლის მოვალეობას ასრულებს?

1) სახალხო მსახურს მუშათა ან მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომელსაც თანახმად სსრკ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-19 მუხლისა, შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მიერ დაეკისრება სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულება, ამ უკანასკნელის ადგილზე დროებით არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება, მივლინება მოკლევადიან კურსებზე, სამხედრო სასწავლო შეკრებაზე მონაწილეობა და ა. შ.)—ენახება ხელფასი მის სამუშაო ადგილზე ზემოხსენებული კანონის მე-13 მუხლის თანახმად.

2) იმ შემთხვევაში, როდესაც სახალხო მსახურის შრომის ხელფასი მის ძირითად სამუშაო ადგილზე ნაკლებია სახალხო მოსამართლის შრომის ხელფასზე, ეს განხილავება სახალხო მსახურს მიეცემა სახალხო სასამართლოს სახსრებიდან.


3) სახალხო მსახურს, რომელიც არ არის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან, სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულების პერიოდში ხელფასი აღუზღაურდება სახალხო სასამართლოს სახსრებიდან, სახალხო მოსამართლისათვის დადგენილი ხელფასის განაკვეთის მიხედვით (სსრკ იუსტსახკომის 1939 წლის 9 მაისის ბრძანება, დამტკიცებული სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 10 მაისის დადგენილებით).

რა წესით მიეცემა ხელფასი შრომელს სახალხო მსახურის მოვალეობის შესრულების პერიოდში?

სახალხო მსახურის მოვალეობის შესრულების პერიოდში მუშაკს ენახება საშუალო ხელფასი მის ძირითად სამუშაო ადგილზე (სსრკ შრ.სახ.კომისათვის 1931 წლის 22 ივლისის დადგენილება).

სახალხო მსახურს, რომელიც არ არის მუშა ან მოსამსახურე, სახალხო სასამართლოში თავისი მოვალეობის შესრულებისათვის სასამართლოს სახსრებიდან მიეცემა დღიური 10 მანეთის ოდენობით თვითეულ სამუშაო დღეზე.

სახალხო მსახურს კუთვნილი თანხა მიეცემა მისი სასამართლოში მუშაობის არაუგვიანეს უკანასკნელი დღისა (რსფსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 8 ივლისის დადგენილება).



ინეთ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის უფლებები, როგორც შემადგენელი ცნობილი იქნა ბათილად

სასამართლოს მიერ შემდეგში ბათილად ცნობილ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის უფლებები გათანაბრებულია იმ ბავშვის უფლებებთან, რომელიც დაბადებულია ნამდვილ, რეგისტრირებულ ქორწინებაში (სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის № 12(8)უ დადგენილება „განქორწინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“).

რა ოდენობით დამკისრება კოლმეურნეს პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო კირუტყვის დაღუპვისათვის?

კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის კუთვნილ მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის ან თხის დაღუპვისათვის ბრალეული პირისადმი სარჩელის წარდგენის დროს, სასამართლომ ზარალის თანხა უნდა განსაზღვროს შესასყიდი ფასების ერთჯერადი ღირებულებით, ხოლო ჯიშიანი ან ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის ღირებულება ჯიშიანი ან გაუმჯობესებული პირუტყვის ფასით.

კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი ცხენის დაღუპვისას ბრალეული პირისადმი სარჩელის წარდგენის დროს ზარალის თანხა უნდა განსაზღვროს ცხენის ერთჯერადი ღირებულებით მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომის ან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ ფასებში, ხოლო ჯიშიანი ცხენის დაღუპვის შემთხვევაში — ჯიშიანი ცხენის ფასით.

როგორ უნდა მოხდეს საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფა ან ამ ქონებიდან გამოყოფა, უკეთეს კომლის შემადგენლობაში არიან მუშები ან მოსამსახურეები, როგორც კოლმეურნეობის წევრნი არ არიან, მაგკამ მონაწილეობას დაულოგან კოპლის დამხმარე მეურნეობის წარმოებაში?

საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში შესაძლებელია იყვნენ მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც რეგისტრირებული იქნებიან როგორც კომლის წევრები სასოფლო საბჭოს საკომლო სამეურნეო წიგნში.

უკეთეს საკოლმეურნეო კომლში ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი მუშაობს წარმოებაში. თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1940 წლის 1 აპრილის ინსტრუქციისა სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის წარმოების შესახებ, ისინი აღრიცხებიან საკომლო სამეურნეო წიგნში ამ კომლის შემადგენლობაში და მათზე ცალკე პირადი ბარათი არ გაიხსნება. ამგვარად მუშებს და მოსამსახურეებს — საკოლმეურნეო კომლის წევრებს უფლება აქვთ წილზე კომლის საერთო ქონებაში.

ამ წილის ოდენობას, შესაბამისად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივლისის დადგენილებისა — „საკოლმეურნეო და ერთბიროვნულ გლეხურ კომლის ქონების გაყოფის და ქონების გამოყოფის თაობაზე სასამართლოების მიერ საქმეების განხილვის შესახებ, იმ შემთხვევაში,

როდესაც კომლის წევრი იმყოფება წითელ არმიის ან სამხედრო სახელმძღვანელოში“ სასამართლო განსაზღვრავს იმის მიხედვით თუ რა მონაწილეობა ექნება მიღებული იმ პირს, რომელიც ეყოფა კომლს, თავისი შრომით და საშუალებებით კომლის, მეურნეობის წარმოებაში და საერთო ქონების დაგროვებაში, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით თუ რა ქონება შეიტანა მან კომლში, როდესაც ის იქ შევიდა.

საკრედიტო კოლეგია


მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. თოფურაძე, გ. ინჯირველი,
 გ. კერესელიძე (პ/მგ. მდივანი), ხ. როსტიაშვილი, თ. წერეთელი.



ფასი 5 ჰაბ.

6-5788

5-9/169



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Министерства юстиции, Прокуратуры и Верховного Суда
Грузинской ССР

